

N O132-5981

საბჭოთა საგარეო



8
38

1988

1



ან აქცია
2002 წ.
ლ. მ.

მთავარი რედაქტორი
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია.

ლევან ალექსიძე
ანზი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)

გელა ბერძენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

ანზორ გაბიანი
შოთა გორგოძე
აკაკი კარანაძე
დურმიუხან ლორია
ვახტანგ რაჭმაძე
გრიგოლ როდინიშვილი
თამაზ უაგვუღიძე
ვიქტორ შარაშენიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორჯენაძე


Главный редактор
Талаквადзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)

Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)

Габiani А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.



საჯჳოთს სამკრთაღი

№ 1

ინჳარი
თებერვალი

1988 წელი

მურალი გავოღის 1988 წლის 1 მარტიღან

სამკრთველოს სსრ იუსტიციისა და უინაგან სამხეთა სამინისტროგის,
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმალღესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

უ ინ ა ა რ ს ი

ა. ზურაბაშვილი — ყველაზე დიდი ბედნიერება ახალი კანონი მოჳმეღეგაზი	3
ბ. ჯორბენაძე — სახელმწიფო საწარმოების ახალი სამართლებრივი სტატუსი	4
გ. რაჳმაძე — კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში რესპუბლიკის პროკურატურის კომუნისტთა როლის მკვეთრად ამაღლებისათვის	12
იუსტიციის ორგანოები — 70	
ა. კვიციანი — საბჭოთა სასამართლოები სამოცდათი წლისა გარღაჳნა დროის მოთხოვნას!	21
შ. გვანცელაძე — რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში კანონმდებლობის სის- ტემატიზაციის სრულყოფისათვის	25
ჳ. ქეცბა — სსრ კავშირში ეროვნული თანასწორობის უზრუნველყოფის უფლებათა გარანტია	27
დისკუსია და განხილვა	
მ. ლიკვეიშვილი — სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სის- ტემის სრულყოფისათვის	34
ინტერვიუ	
პედაგოგიური პროცესის ქვაკუთხედი	39
გაგაღაჳვატოთ უზრომელ უმოსავალს!	
ბ. ქანტურიშვილი — ჩვენი საბრძოლო ამოცანა	43
ნარკომანიას — დაუნღოგელი ბრძოლა!	
ჳ. ჳანაშია — ნარკომანიასთან ბრძოლის აქტუალური პრობლემები	48
სახალწო მსაჯულის ტრიგუნა	
ღ. ფაჩუღიძე — ნღობას გამართლება უნდა	52
მხოლოდ ციფრები	55
ოზიციაღური მახალა	
საქართველოს სსრ უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება	56
სახოტარო და მმარის ორგანოების პრაქტიკა	57
ინფორმაცია	59
ე. ყიფიანი, თ. შავგუღიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“	62
კრიმინალისტიკის ისტორიღან	
კნობილო სისხლის სამართლის საქმეები	71
ჩვენი პროფესიის მოწინაგენი	
გ. მეფისაშვილი — აღმასრულებელი	77
ბიბლიოგრაფია	78

СОДЕРЖАНИЕ

А. Зурабашвили — Самое большое счастье	3
Новый закон в действии	
С. Джорбенадзе — Новый правовой статус государственных предприятий	4
В. Размадзе — Повышение роли коммунистов прокуратуры республики в деле укрепления правопорядка и законности	12
Органы юстиции — 70	
А. Квициния — Советским судам семьдесят лет	21
Перестройка — веление времени	
Ж. Гванцеладзе — Совершенствование систематизации законодательства в органах прокуратуры республики	25
В. Кецба — Гарантия равноправия национальностей в СССР	27
Дискуссия и обсуждения	
М. Леквейшвили — Совершенствовать систему особенной части уголовного кодекса	34
Интервью	
Красноугольный камень педагогического процесса	39
Преградить путь нетрудовым доходам!	
Б. Чантуришвили — Наша боевая задача	43
Наркомании — беспощадный бой!	
Д. Джанашия — Актуальные проблемы борьбы с наркоманией	48
Трибуна народного заседателя	
Л. Панчулидзе — Доверие должно быть оправдано	52
Только цифры	55
Официальный материал	
Указ Президиума Верховного Совета ГССР	56
Практика ЗАГСа и нотариата	57
Информация	59
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех	62
Из истории криминалистики	
Известные уголовные дела	71
Передовые люди нашей профессии	
Г. Мепишашвили — Судебный исполнитель	77
Библиография	78



© „საბჭოთა სამართალი“, 1988 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, ალექსანძვის პრ. 108, ტ. 95-58-49, 95-58-87.

ბალეტე წარმოებას 15. 01. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 02. 88 წ.,

ფორმატი 70 × 1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი

ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.

შეკვ. № 93.

ტირაჟი 42.900.

უკ 01259.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ყველაზე დიდი ბედნიერება

ავლია ზურაბაშვილი

დაიწყო ახალი წელი და მინდა, რომ ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ საშუალებით მის მრავალათასიან მკითხველს უწინარესად ეუსურვო სიმშვიდე, სიფხიზლე, ურთიერთ ზრუნვა და დახმარება, გამარჯვებანი გარჯაში...

პატრიოტული სიამაყის გრძნობით უნდა განვაცხადო, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა...“ ოდითგანვე ასახავდა ქართველი კაცის ტრადიციულად დამკვიდრებულ მორალურ-ეთიკური სიბრძნის სიმალლესა და სიმტკიცეს, ხოლო ქართულ მეტყველებაში ცნება — ზნეობა — გულისხმობს სწორი და მართალი საქმისა და მოქმედების დღესასწაულს ანუ დღეობას.

45781

ჩვენს დროში ფორმულა: ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ, უკვე აღარ კმარა, და საჭირო გახდა გარკვეული ფილოსოფიური დეტონაცია შემდეგი სახით: ვწითლდები სირცხვილისაგან, მაშასადამე, ვარსებობ. სოციალურ-ფსიქოლოგიურად ჰომო მორალის ცნება უფრო მეტია, ვიდრე ჰომო საბიენს, ვინაიდან მორალური ადამიანის ფსიქიკურ აპარატში არ წამოიჭრება და არც უნდა წამოიჭრეს ამორალური, ასე ვთქვათ, ნეგატიური აზრი და ფიქრი, ხოლო მცოდნე, გნებავთ განათლებული ადამიანის ფსიქიკურ აპარატში შესაძლოა სოციალურ-ფსიქოლოგიურად ნეგატიური აზრის წამოჭრა.

უეჭველად საყურადღებოა სოციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობისა და დანიშნულების შემდეგი ფორმულები: უფრო ადვილია მუშაკი იყოს დიდი პროფესორი, ვიდრე დიდი ადამიანი. ხოლო შესაძლოა მასწავლებელი იყოს დიდად განსწავლული, მაგრამ არ იყოს დიდი ადამიანი, მაგრამ თუ მასწავლებელს ყავს ღირსეული შეგირდ-მოწაფეები, იგი ჭეშმარიტად დიდი ადამიანია. ადამიანის მოქმედების ყოველ დარგში წამყვანი მნიშვნელობა აქვს შინაგანი სინდისის ეღერადობას. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ქართველი ერის მასწავლებლის, დამრიგებლისა და მამის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ილია ჭავჭავაძის დებულება შრომისა და ზნეობის ურთიერთგანუყრელობის შესახებ. მისი აზრით, ჭეშმარიტი მშრომელი, უეჭველად ზნეობრივია, და პირიქით, მორალური ადამიანი უეჭველად მშრომელია. ხოლო გულმოწყალებისა და მადლის დაკარგვა დიდად სანაღვლო საქმეა, საჭიროა ყოველმა მუშაკმა თავისი ყოველდღიური მოქმედება განსაჯოს ზნეობრივი გაცხრილვის შუქზე.

დიდი ილიას თანახმად, ზნეობრივი ხინჯი და დეპრივაცია დროის ამოვარდნილობის ნიშანია და იგი საზოგადოებისათვის მეტად მძიმე ვითარებას ქმნის, ვინაიდან მორალური გაბინძურება უზილავად და უჩინარად მოქმედებს ადამიანის სულიერ სამყაროზე.

არსებობს მთელი რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც იწვევს და ხელს უწყობს ზნეობის დაქვეითება-დეპრივაციას. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა იყოს აღნიშნული ეგრეთწოდებული სნობიზმი. ესე იგი, ვითარება, როდესაც ადამიანი ბაძავს სხვის აზრსა თუ მოქმედებას ჯეროვანი კრიტიკის გარეშე.

ხმამალა ვაცხადებ, რომ მორალური ატმოსფეროს კონტამინაცია ანუ გა-

აქ. სსრ კ. პარტიის
სახ. საბ. რედაქტ.

ბინძურება, სოციალურ-ფსიქოლოგიურად უფრო მძიმეა საზოგადოებისათვის, ვიდრე ატმოსფეროს ფიზიკური კონტამინაცია.

მორალურ-ეთიკური მოდუსის ანუ ადამიანის შინაგანი სინდისის ქლერადობის გაძლიერებისათვის წამყვანი და ქმედითი მნიშვნელობა აქვს მაგალითს შრომაში, ქცევაში და მოქმედებაში. ხოლო ხსენებული მაგალითის ვექტორი უნდა მიემართებოდეს არა ქვემოდან ზევით, არამედ ზემოდან ქვევით.

შინაგანი სინდისის ქლერადობის გაძლიერებას ხელს უწყობს თვითკრიტიკა, თვითმომთხოვნელობა და თვითდისციპლინა. მთავარია წესრიგის არსებობა ყველგან, ყოველთვის და ყოველუამს.

ცხადია, ხსენებული დებულება ყურადსაღებია, პირველ რიგში, სამართლის დარგის ყოველი მუშაკისათვის.

ასეთი აზრითა და გრძნობებით ვესალმები სამართლის საქმის ყოველ მუშაკს და ვუსურვებ ბედნიერებას, სულიერ სიმშვიდესა და სულიერ სიმხნევებს. გვახსოვდეს, შრომისა და მორალის პრინციპებისადმი სამსახური ყველაზე დიდი ბედნიერებაა!



ახალი კანონი მოქმედებაში

**სახელმწიფო სანარკოტის ახალი
სამართლებრივი სტატუსი**

სარგო ჯორჯანაძე

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1987 წლის 30 ივნისს მიიღო მეტად მნიშვნელოვანი და უამრავ სიახლეთა ფუძემდებლური სამართლებრივი აქტი — „კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“, რომელიც მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

ამ კანონის მიღება თვით ცხოვრებამ განაპირობა. საქმე კი ეხება ეკონომიკის ძირითად რგოლში — საწარმოში, იქ, სადაც მატერიალური ღირებულებანი იქმნება, მეურნეობრიობის პირობებისა და მეთოდების ძირფესვიან შეცვლას. უამისოდ გარდაუვალი იყო ქვეყნის სერიოზული ჩამორჩენა და სოციალიზმის დიდი უპირატესობის გამოუყენებლობა. არსებულის უცვლელად დატოვებას გამოუსწორებელი ზარალი შეეძლო მოეტანა მთელი სახალხო მეურნეობისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე თქვა: „განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა საწარმოებისა და გაერთიანებების სამეურნეო-ანგარიშგებრივი უფლებების შეზღუდვას. ეს ძირს უთხრიდა მატე-

რიალური სტიმულირების საფუძველს, აბრკოლებდა საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას, იწვევდა ადამიანთა შრომითი და სოციალური აქტიურობის დაქვეითებას, დისციპლინისა და წესრიგის მოშლას“.

ახალ კანონს სახალხო მეურნეობის მხოლოდ ძირითადი რგოლის — საწარმოთა (გაერთიანებათა) მთელი საქმიანობის გარდაქმნა კი არ აქვს დასახული თავის მიზნად, არამედ ამავე დროს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ახალი სამეურნეო მექანიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამიტომაც მისი მნიშვნელობა მართოდენ სამოქალაქო, სამეურნეო და შრომის სამართლით არ ისაზღვრება, მას ფუძემდებლური ცვლილებები შეაქვს აგრეთვე სოციალისტური სამართლის სხვა დარგებშიც.

საწარმოთა რეალური სამეურნეო დამოუკიდებლობა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე როდი ნიშნავს ცალკეულ საქონელმწარმოებელთა შორის საერთო-სახალხო საკუთრების ერთიანი ფონდის გახლეჩვას; ღრმა ეკონომიკური გარდაქმნა სრულიადაც არ გულისხმობს საწარმოთა დენაციონალიზაციასა და მათ გადაცემას ცალკეული კოლექტივების საკუთრებად.

როგორც კანონის პრეამბულაშია აღნიშნული, მისი მიღების მიზანია განამტკიცოს წარმოების საშუალებათა სახელმწიფო (საერთო-სახალხო) საკუთრება მრეწველობაში, მშენებლობაში, აგროსამრეწველო კომპლექსსა და სხვა დარგებში, გააფართოს ამ საკუთრების ეფექტიანი გამოყენება და საწარმოთა და გაერთიანებათა მართვაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობის შესაძლებლობა. კანონი უარს კი არ ამბობს, არამედ აღრმავებს ცენტრალიზებულ საწყისებს სახალხო მეურნეობის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში, როდესაც ითვალისწინებს მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებას, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ფართო გამოყენებას, დემოკრატიული საფუძვლების გაფართოებასა და თვითმმართველობის განვითარებას. სწორედ ამიტომ ახალი კანონი უმნიშვნელოვანეს ნიშანს ეტყობს იქცევა სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი პოტენციალის მძლავრად ამოქმედების გზაზე. საქმე ეხება არა გეგმიანობასა და ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, არამედ ოპტიმალური თანაფარდობის დაფუძნებას, ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და საწარმოს დამოუკიდებლობას შორის.

ახლა, ადმინისტრაციული მეთოდები ზემდგომ ორგანოთა საქმიანობაში იცვლება მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებით. ასეთ დროს, რასაკვირველია, მართვა უფრო ძნელია, რადგან მართო ბრძანებით, დირექტივით, განკარგულებით, თანამიმდევრულად ვერ განხორციელდება ეკონომიკური აუცილებლობა.

გეგმიანობისა და სამეურნეო ანგარიშის, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის შეხამება ითხოვს თვითმმართველობის ახალი ფორმების შემდგომ გაფართოებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის საკანონმდებლო სიახლენი, რაც კოლექტივების სამეურნეო-ანგარიშებრივი შემოსავლის სტრუქტურასთან, მის განაწილებასთან და გამოყენებასთან არის დაკავშირებული. აქ იგულისხმება საწარმოს მართვა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების საფუძველზე, ხელმძღვანელთა არჩევითობა, შრომითი კოლექტივის უფლებამოსი-

ლებათა გაზრდა, როგორც საწარმოო, ისე სოციალური განვითარების საკითხების ახლებური გადაწყვეტა და ა. შ.

საბჭოთა სამართლის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც კანონით მოწესრიგდა საწარმოთა (გაერთიანებათა) სამართლებრივი მდგომარეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ვერავითარი საუწყებო ინსტრუქცია ან რომელიმე ქვეკანონური აქტი ვერ შეცვლის იმას, რაც ახალმა კანონმა აღიარა.

სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ამოსავალი პუნქტია სწორედ კანონი საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელსაც შემდგომში მოჰყვა სხვა ნორმატიული გადაწყვეტილებები, რათა ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი უზრუნველყოფა განხორციელებულიყო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1987 წლის 30 ივნისს მიღებული კანონი ისეთი პირდაპირი მოქმედი იურიდიული აქტია, რომელიც თითქმის არ მიუთითებს სხვა ნორმატიულ აქტებს. ამასთან, კანონი არ იზღუდება საწარმოთა (გაერთიანებათა) იურიდიული მდგომარეობით და აქვე განსაზღვრავს საწარმოების (გაერთიანებების) ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან, ამ უკანასკნელთ აღარ შეუძლიათ სხვადასხვა ინსტრუქციებით ძალა დაუკარგონ ამ კანონის მოქმედებას. უფრო მეტიც, ახალი კანონი განმსჭვალულია სულისკვეთებით, რომ შემდგომი ორგანოები განუხრელად იცავდნენ საწარმოთა (გაერთიანებათა) აღიარებულ უფლებებს. აი რას ამბობს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი: „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი საწარმოებისა და მათი შრომითი კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობის ინიციატივასა და სოციალისტური გერგილიანობის განვითარებას...“

...შემდგომი ორგანო მოვალეა მთელი თავისი საქმიანობით უზრუნველყოფდეს საწარმოს ეფექტიანი მუშაობის პირობებს, მტკიცედ იცავდეს საწარმოს უფლებებს, ხელს უწყობდეს მათს სრულ რეალიზაციას, არ ერეოდეს საწარმოს ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში, აგრეთვე აცნობდეს საწარმოს შრომითს კოლექტივს თავის საქმიანობას“.

საწარმოთა (გაერთიანებათა) უფლებების დაცვის გარანტიები, როცა ისინი გადადიან ეკონომიკური მართვის ახალ სისტემაზე და საერთოდ, მომავალშიც, სამეურნეო მექანიზმის მოქმედების დროს, სპეციალურადაა განსაზღვრული კანონის 24-ე მუხლით: „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა დაცვისათვის ამ კანონის პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტების მიღებისას და თავიანთ ურთიერთობას საწარმოებთან და გაერთიანებებთან წარმართავენ აღნიშნული კანონის ზუსტი შესაბამისობით“.

ახალმა კანონმა დიდად გააფართოვა ცალკეულ საწარმოთა უფლება-უზარიაანობის ფარგლები. ეს კი პრინციპული სიახლეა. სახელმწიფო საწარმოთა სპეციალური უფლებაუზარიაანობის ვიწრო ჩარჩოებში მომწყვდევას ხშირად უფრო ზიანი მოჰქონდა ხოლმე მათი სასარგებლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხებოდა მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ფართო მოხმარების საქონლით.

ახალი კანონის პირველივე მუხლში მკვეთრად არის განსაზღვრული, რომ საწარმო თავისი პროფილის მიუხედავად ახორციელებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას და მოსახლეობას უწყევს ფასიან მომსახურებას. მას შეუძ-

ლია ერთდროულად ეწეოდეს რამდენიმე სახეობის საქმიანობას (აგრარულ-სამრეწველო, სვაჭრო-სამრეწველო, სამრეწველო-სამშენებლო, სამეცნიერო-საწარმოო და სხვა).

ეს ძირეული ცვლილება საწარმოთა უფლებაუნარიანობის განსაზღვრაში, კარგად უნდა გაიგოს და გაითვალისწინოს, როგორც საწარმოს ადმინისტრაციამ, ისე მთელმა კოლექტივმა. ეს ეხება აგრეთვე იმ შემდგომ ორგანოსაც, რომელიც კონტროლს უწევს საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობას.

უფლებაუნარიანობის ფარგლებს განსაზღვრავს საწარმოთა საქმიანობის მიზნები და ამოცანები. კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტით საწარმოთა მთავარი ამოცანაა დააკმაყოფილოს საზალხო მეურნეობისა და მოქალაქეების მოთხოვნილებანი მის პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე, ამასთან, უზრუნველყოს კარგი სამომხმარებლო თვისებები და ხარისხი, მინიმალური დანახარჯებით გაზარდოს თავისი წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, მიაღწიოს თავისი კოლექტივისა და მისი წევრების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

„მომხმარებლის მოთხოვნები — ნათქვამია ამ მუხლში — სავალდებულოა საწარმოსათვის, ხოლო მისი სრული და დროული დაკმაყოფილება ყოველი შრომითი კოლექტივის საქმიანობის დედაარსი და ნორმა“.

როგორც ვხედავთ, ახალ კანონში არ გვაქვს საწარმოთა უფლებების არც სანიმუშო და მით უფრო, არც ამომწურავი ჩამოთვლა, როგორც ეს ადრე იყო. ადრინდელი კანონი ზუსტად განსაზღვრავდა საწარმოების იმ უფლებებს, რომელიც მათ შეეძლოთ განეხორციელებინათ და რაც კანონით იყო ნებადართული. ახლა პრინციპულად შეიცვალა ეს საკითხი. ამ კანონით დადგენილი ამოცანებისა და უფლებამოსილების განხორციელების ინტერესებისათვის „საწარმოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით მიიღოს ყველა გადაწყვეტილება, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას“.

აქ საქმე გვაქვს საზალხო მეურნეობის ძირითადი რგოლის — საწარმოთა უფლებების ძირეულ გაფართოებასთან. აღარ შეიძლება საწარმოს მიერ გამოძღვანებული ქმედუნარიანობა ეჭვის ქვეშ დავაყენოთ იმის გამო, რომ იგი კანონით არ არის პირდაპირ ნებადართული, რომ იგი კანონის გვერდის ახვევით ხორციელდება, ანდა სახელმწიფოსათვის საზიანოა. ამიერიდან საწარმოებს უფლება ეძლევათ გააკეთონ ყველაფერი რაც აკრძალული არ არის კანონმდებლობით და არა მხოლოდ ის, რაც კანონითაა ნებადართული. საწარმოთა კოლექტივის და მათი ხელმძღვანელის მიერ გამოჩენილი ინიციატივა, სოციალისტური გერგილიანობა არ შეიძლება უარყოფილ და მით უფრო გაიციხული იყოს იმის გამო, რომ იგი პირდაპირ არ არის ნებადართული კანონით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „მეურნეობრიობის სფეროში ამა თუ იმ მოქმედების კანონიერებისა და უკანონობის საკითხში ბუნდოვანება მთლიანად უნდა გამოირიცხოს. უფრო ფართოდ უნდა ვიყენებდეთ ზოგადსამართლებრივ პრინციპს: „ნებადართულია ყოველივე, რისი კეთებაც არ არის აკრძალული კანონით“.

1987 წლის ივნისის პლენუმმა თავის დადგენილებაში, „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი“, ჩაწერა: „საწარმოს ენიჭება კანონით აუკრძალავი ყოველი ეკონომიკური საქმიანობის უფლება“.

ეკონომიკური აღმავლობის დაჩქარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური

პროგრესის მიღწევათა წარმოებაში განუხრელად დანერგვისათვის საწარმოებს არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს. ეკვისა და ყოყმანის დრო აღარ არის, ცუდია, როდესაც ხელმძღვანელი პოზიტურ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმიტომ არ იღებს, რომ ამაზე ზემდგომი ორგანოს მითითება არ აქვს, ის კი სრულიადაც არ აღელვებს, რომ საწარმოს შეუძლია გაცილებით უკეთესად იმუშაოს, თუ არ უგულვებლყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. ასეთი ხელმძღვანელი უკვე ვეღარ იმართლებს თავს საინსტრუქციო მითითებების უქონლობით.

კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ განსაზღვრავს იმ ორგანიზაციულ წარმონაქმნთა სტრუქტურას, ფუნქციებს, მიზნებს, რაც კონკრეტულ ასახვას პოულობს საწარმოთა საქმიანობის განმსაზღვრელი წესდებით. ამ ბაზაზე საწარმო (გაერთიანება) თვითონ ახორციელებს პოზიტურ კონსტრუქციულ მოქმედებას. ახალი კანონი კი თვითონ უწყობს ხელს საწარმოთა ოპერატიულ-სამეურნეო აქტიურობის გამოჩენას.

წესდების დამტკიცების დღიდან საწარმო იურიდიული პირია. ცივილისტიკის აზრით იურიდიული პირი ხელსაყრელი სამართლებრივი კონსტრუქციაა საერთო-სახალხო საკუთრების განცალკევებული ნაწილის მართვისათვის, მაგრამ იგი ამ პრობლემის ყველა მხარეს მაინც ვერ ასახავს. კანონის მეხუთე მუხლის თანახმად გაერთიანებაში შეიძლება შედიოდნენ დამოუკიდებელი საწარმოები, რომლებიც სარგებლობენ ამ კანონით დაწესებული უფლებებით. გაერთიანება ხელმძღვანელობს რა ასეთ საწარმოებს, ახორციელებს ზემდგომ ორგანოს ფუნქციებს და უფლება აქვს მოახდინოს მთლიანად ან ნაწილობრივ მათი ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაცია. ამას გარდა, წარმოების კონცენტრაციის შემდგომი ამალგებისათვის საწარმოები, გაერთიანებები და ორგანიზაციები შეიძლება შეყვანილ იქნენ მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების — სახელმწიფო საწარმოო გაერთიანების შემადგენლობაში ისე, რომ კვლავ შეინარჩუნონ თავიანთი სამეურნეო დამოუკიდებლობა.

ორგანიზაციულ ფორმათა ამგვარი სხვადასხვაობა ხელს უწყობს სამეურნეო-ოპერატიული მოღვაწეობის ეფექტურობის ამაღლებას და სწორედ ამიტომ აწესებს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომ სახალხო მეურნეობის დარგებში სამეურნეო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების, მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციის თავისებურებათა შესაბამისად მოქმედებდნენ სხვადასხვა სახეობის გაერთიანებები და დამოუკიდებელი საწარმოები.

მაშასადამე, იურიდიული პირის ცნებასთან ერთად, სამეურნეო ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს კიდევ სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი.

საწარმოები თავის მხრივ შედგება შინაგანი სამეურნეო ანგარიშის ან კოლექტიური იჯარის საწყისებზე მოქმედი ქვედანაყოფებისაგან განსაზღვრული უფლებებით და მოვალეობებით.

თუ გაერთიანებაში შედის ისეთი სტრუქტურული ერთეული, რომელიც არ არის აურიდიული პირი, მას შეიძლება მიენიჭოს უფლებები, რათა დადოს სამეურნეო ხელშეკრულებანი გაერთიანების სახელით, ან თავისი სახელით და პასუხისმგებლობა იკისროს მათი შესრულებისათვის. სტრუქტურული ერთეულის ნაცვლად გაერთიანება პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ერთეული მარტო თვითონ ვერ ართმევს თავს პასუხისმგებლობას.

საწარმოთა უფლებების გაფართოება იმაშიც გამოიხატება, რომ კანონის მეოთხე მუხლით საწარმოებს უფლება ეძლევათ ზემდგომ ორგანოებთან შეუთანხმებლად გადასცენ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, გაყიდონ, გაცვალონ, იჯარით გადასცენ, მისცენ დროებით სარგებლობაში უფასოდ ან სესხად გამოუყენებელი შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ჩამოწრონ ისინი ბალანსიდან თუ გაცვეთილი და მორალურად მოძველებულია.

საწარმოების მუშაობის მნიშვნელოვან ორგანულ შემადგენელ ნაწილად ახალი კანონით აღიარებულია საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. საწარმოს ევალება უზრუნველყოს საექსპორტო პროდუქციის პირველ რიგში მიწოდება, რადგან საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, როგორც წესი, სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე ხდება.

საწარმოთა საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში პრიორიტეტი ენიჭება სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან თანამშრომლობას, მათთან პირდაპირი კავშირის დამყარებას. ურთიერთსარგებლიანობისა და თანასწორობის პრინციპებზე აქვე გათვალისწინებულია საწარმოთა კავშირურობის კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ფირმებთან.

თანამშრომლობა საზღვარგარეთის წარმომადგენლებთან, როგორც წესი, ხორციელდება სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე.

იმ საწარმოს, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების საექსპორტო მიწოდებებს, შეიძლება უფლება მიეცეს უშუალოდ განახორციელოს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები, მათ შორის კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ბაზრებთან და ამ მიზნით შექმნას სამეურნეოანგარიშიანი საგარეო-სავაჭრო ფირმა. საწარმოებს კი, რომელთაც არ აქვთ საგარეო ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლის უფლება, შეუძლიათ თავიანთი ან სხვა სამინისტროებისა და უწყებების საგარეო-სავაჭრო გაერთიანებების მეშვეობით განსაზღვრონ საკუთარი პროდუქციის გასაღების სამუშაოების და მომსახურების პირობები.

ახლებურად და პრინციპულად არის განსაზღვრული საწარმოს (გაერთიანების) უფლება-მოვალეობანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ახალი კანონით საწარმო პასუხისმგებელია არა მარტო გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ მისი საქმიანობა მთლიანად პასუხობდეს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფით ამაღლებდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, უზრუნველყოფდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას და მის განახლებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სრულად ამოქმედებისათვის საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საექსპერიმენტო ბაზის განვითარება, განამტკიცოს იგი ენერგიული მეცნიერ მუშაკებითა და სპეციალისტებით, პირდაპირი, სტაბილური ურთიერთობა უნდა დაამყაროს სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებთან. საწარმოს უფლება აქვს აგრეთვე სამეურნეო ანგარიშგებრივ საფუძველზე ხელშეკრულებები დადოს გამოკვლევებისა და ნამუშევრების შესრულებისათვის სამეცნიერო დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან,

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებთან და სხვა საწარმოებთან, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

საწარმოებმა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა, სამეცნიერო ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმები და რაც მთავრია, შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნან შრომით კოლექტივებში. სწორედ ამ მიზნით ზრის გათვალისწინებული კონკურსებისა და საკონსტრუქტორო-საპროექტო ნამუშევრების გამოფენათა მოწყობა. არსებითი სიახლეა ისიც, რომ კონკრეტული მიზანდასახულობით მათ შეუძლიათ შექმნან დროებითი სამეცნიერო კოლექტივები.

ახალი კანონი ზუსტად განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მოვალეობას. მთავარი კი ის არის, რომ მათ უზრუნველყონ გამოკვლევებისა და ნამუშევრების მაღალი დონე, მოითხოვონ პროდუქციის ხარისხიანობის მაქსიმალური გაუმჯობესება, რათა ყოველმხრივ გაუთანაბრდნენ ისინი მსოფლიო სტანდარტებს. ამან აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ასეთი პროდუქციის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში. ეს მხოლოდ მოწოდება არ არის. კანონის მეთერთმეტე მუხლის მე-5 პუნქტით უმაღლესი მსოფლიო დონის ძირითადი მაჩვენებლის შეუსაბამო ნამუშევრების წარმოებაში გადაცემისათვის ორგანიზაციებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა, ხოლო მათ ხელმძღვანელებს და შემუშავებლებს — დისციპლინური პასუხისმგებლობა.

პროდუქციის ხარისხიანობისათვის ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმის ნაცადი ფორმები ახალ კანონში მთლიანადაა გამოყენებული. ვხვდებით აგრეთვე, სამართლებრივ სიახლეებსაც. მაგალითად, კანონის მე-15 მუხლის მეოთხე პუნქტით თუ საწარმოს სისტემატურად აწვდიან პროდუქციას, რომლის ხარისხი არ შეესაბამება მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს ან დადებულ ხელშეკრულებებს, მას აქვს უფლება ცალმხრივი წესით მოშალოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ან დამმუშავებელთან და მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. ამასთან, მომხმარებელ საწარმოს უპირატესი უფლება აქვს რათა შეინარჩუნოს და გააფართოოს დამამზადებელთან დამყარებული სამეურნეო ურთიერთობა და აირჩიოს მიწოდების ფორმა, ცხადია, დიდ სარგებლობას მოიტანს აგრეთვე ხარისხის ჯგუფების შექმნა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობა, რადგან უკვე თვითონ კოლექტივის წევრების მატერიალურ შემოსავალზე ახდენს გავლენას უხარისხო ან მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვება. უნდა გვახსოვდეს, რომ წუნის მკეთებლობასთან შეუწყნარებლობა მხოლოდ მაშინ მოგვცემს შედეგს, თუ ერთობლივად ჩავატარებთ მატერიალური, დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

საწარმოების სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს წამატებების, თვალისახვევის ფაქტების და სახელმწიფო ანგარიშების სხვა დამახინჯებისათვის, ამის გამო ისინი მიეცემიან კიდევ დისციპლინურ, მატერიალურ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამასთან, წამატებებისა და თვალისახვევის შემთხვევებს

განიხილავს შრომითი კოლექტივი და დასახავს ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის.

როგორც წესი, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, მაგრამ ეს ყველაფერს არ წყვეტს, როცა საქმე ეხება ვალდებულების რეალურ შესრულებას. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია კანონის მე-16 მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი წესი: „ხელშეკრულებათა პირობების დარღვევისათვის ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს საწარმოს პროდუქციის მიწოდების, სამუშაოების წარმოებისა თუ მომსახურების გაწევის ვალდებულებათა შესრულებისაგან“. ამ პრინციპით განუხრელად უნდა ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები.

კანონის სიახლეა ისიც, რომ არბიტრაჟის ორგანოები სამეურნეო დავებს განიხილავენ არა მარტო ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ კრილშიც. ზემდგომი ორგანოები საწარმოს ხელმძღვანელობას ახორციელებენ უწინარესად ეკონომიკური მეთოდებით და ზარალი, რომელიც საწარმოს მიადგება ხოლმე საწარმოს უფლების დამრღვევი ზემდგომი ორგანოს მითითების შედეგად, უნდა აანაზღაუროს ამ ორგანომ. ეს კი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ნოველაა. მართალია მას დიდი ზანია გვთავაზობს სამოქალაქო და სამეურნეო სამართლის მეცნიერება, მაგრამ კანონის ძალა მხოლოდ ახლა მიენიჭა, რამაც დაადასტურა საწარმოთა სრული სამეურნეო ანგარიშიანობისა და თვითდაფინანსების განხორციელების აუცილებლობა. ახალი კანონით ზემდგომ ორგანოებს შეუძლიათ საწარმოს მისცენ მითითებანი მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, რაც კანონმდებლობით არის დადგენილი. თუ ეს ორგანოები გამოსცემენ აქტს, რომელიც არ შეესაბამება მის უფლებებს ან არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს, საწარმოს უფლება ენიჭება მიმართოს სახელმწიფო არბიტრაჟს ასეთი აქტის მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობისათვის.

ეს ნორმატიული სიახლე ალბათ სერიოზული მუხრუჭი გახდება ბიუროკრატად ქცეული მაღალი სამეურნეო ჩინოვნიკისათვის, რომელიც არსად და არავისთან აგებდა პასუხს უკანონო განკარგულებისათვის. საწარმოო კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელისათვის სამეურნეო ანგარიშებრივი დამოუკიდებლობის დაცვა მარტო უფლება კი არა, მოვალეობაცაა, ამიტომ, კანონით აღიარებული უფლებების გამოუყენებლობა განხილული უნდა იყოს, როგორც გაუმართლებელი და გასაკიცხი მოქმედება.

როგორც ცნობილია, ადრინდელი ნორმატიული აქტებიც ითვალისწინებდნენ სოციალისტურ საწარმოთა შეწყვეტის წესს, მაგრამ ახალმა კანონმა სრულიად პრინციპული სიახლე შეიტანა შეწყვეტის საფუძველში. თუ საწარმო ხანგრძლივად ზარალიანი და გადახდის უუნაროა, ამავე დროს არ სალდება მისი პროდუქცია, ხოლო დასახული ღონისძიებანი საკმარისი არ არის მდგომარეობის გამოსწორებისათვის, საწარმო უნდა დაიხუროს, მაგრამ ამგვარი ლიკვიდაციის დროს წარმოების გაკოტრებასთან კი არა გვაქვს საქმე, რო-

გორც ეს კაპიტალისტური ურთიერთობისათვისაა დამახასიათებელი, არამედ სრულიად განსხვავებულ, სოციალისტურ წესთან. ასეთ შემთხვევაში საბჭოთა სახელმწიფო თავის თავზე იღებს გამოთავისუფლებულ მუშათა სოციალურ დაცვას. ბუნებრივია, ის წარმოება, რომელიც უიმედოდ დაძველდა, ისე დაძველდა, რომ მისი მოდერნიზაცია აღარ შეიძლება, ცხადია, უნდა გადაკეთდეს ან დაიხუროს, მაგრამ აქ აუცილებელია აღინიშნოს მთავარი: ამ დროს პიროვნებაზე ზრუნვას თვითონ საბჭოთა სახელმწიფო კისრულობს, მას არ ეშინია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და არ ივიწყებს, რომ თითოეული ადამიანი ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში ჩესკოსლოვაკის პროკურატურის კომუნისტთა როლის გვერდით ავალდებისათვის

ვახტანგ რაზმაძე,
საქართველოს სსრ პროკურორი

„სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცებაში საპროკურორო ზედამხედველობის როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 4 ივნისის დადგენილებაში და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 21 ივლისის შესაბამის დადგენილებაში მთელი ძალით ითქვა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატია არ არსებობს კანონს გარეშე და კანონზე მაღლა; საზოგადოების წინსვლისათვის უნდა განმტკიცდეს კანონიერება და სოციალური სამართლიანობა; პარტიასა და სახელმწიფოში კანონი და დისციპლინა ყველასათვის ერთია. პარტიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი პროკურატურის მუშაკთა ავტორიტეტის ასამაღლებლად, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გასაძლიერებლად. ამასთან, ხაზგასმულია, რომ პარტიის მხარდაჭერა ავალდებულებს პროკურატურის ორგანოებს, რათა მეტი შემართებით იბრძოდნენ მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის, რაც ცხადია, მოითხოვს საკადრო პოლიტიკის სერიოზულ გაუმჯობესებას, დემოკრატისა და საჯაროობის უნარიანად გამოყენებას; მათ უნდა კარგად ახსოვდეთ, რომ ის, ვინც მართლწესრიგის საქმეს ემსა-

ხურება, თვითონ უნდა იყოს კრისტალურად წმინდა კანონის, პარტიისა და ხალხის წინაშე.

პარტია უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგამოძიებო ორგანოების მიერ სახელმწიფო ინტერესების დაცვის ყველა გზებისა და საშუალებების სრულყოფას, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების უზრუნველყოფას. ამჟამად საგამოძიებო აპარატის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მუშავდება შესაბამისი დოკუმენტები, რომლებშიც კონკრეტულად, პოლიტიკურ-სამართლებრივად იქნება რეალიზებული აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ უმოძრაობის პერიოდში ფორმალზმის ქანგი, სამწუხაროდ, პროკურატურის ორგანობსაც მოედო. საპროკურორო ზედამხედველობა სათანადოდ ვერ ასრულებდა თავის უმთავრეს დანიშნულე ბას — მთელ ქვეყანაში ერთიანი კანონიერების მტკიცე გარანტიის შექმნა, მისი ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა. ბევრმა პროკურორმა ვერ შეინარჩუნა პრინციპული პოზიცია, გამოავლინა კუთხურობა, მოჩვენებითი აქტიურობა. სამწუხაროდ, ასეთი ვითარება კვლავ ბევრ ადგილზე შეიმჩნევა. მდგომარეობის გამოსწორებისა და პროკურატურის მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ დაშვებული შეცდომებიდან, განუხრელად ავამაღლოთ საზედამხედველო საქმიანობის როლი და ეფექტიანობა. სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული „უმაღლესი ზედამხედველობის“ ფუნქციები გავხადოთ მთელი ჩვენი სამართალგამოყენებითი პრაქტიკის ქმედით რეალობად. სწორედ მის ამ არსში, რომელიც ადრე სათანადოდ არ ფასდებოდა, ვხედავთ დღეს პროკურატურის ორგანოების მთელი მუშაობის გარდაქმნის საფუძველს. ამჟამად, პროკურატურა მოწოდებულია იმოქმედოს კანონიერების უზრუნველყოფის მთელ მექანიზმზე დაყრდნობით, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს ამ მექანიზმის სრულად ამოქმედებას, იმუშაოს გამართულად, მკაფიოდ და ეფექტიანად. პროკურატურის მუშაებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ მმართველობის ორგანოების, სამეურნეო ხელმძღვანელების, იურიდიული საარევიზიო სამსახურების, მაკონტროლებელი დაწესებულებების მიერ მათზე დაკისრებულ კანონიერების უზრუნველყოფისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამ მიზნით რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა კომიტეტმა შეიმუშავა ცენტრალური აპარატის კომუნისტთა კონკრეტული პროგრამა, რომლის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს მუშაობის გარდაქმნაში რესპუბლიკის პროკურატურის ყველა რგოლისა და მუშაკის აქტიურად ჩაბმას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ობიექტურად შევფასოთ თუ სად, კონკრეტულად რომელ სფეროში შევძელით წინსვლა და სად ვტყეპნით ადგილს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ გარდაქმნა ხანმოკლე მოვლენა კი არ არის, არამედ ის შეუქცევადი პროცესია, რომელმაც უნდა აგვიყვანოს თვისებრივად ახალ სიმაღლეზე.

რესპუბლიკის პროკურატურის კომუნისტები დაძაბულად, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით შრომობენ და აქტიური, შემოქმედებითი შრომის, ახალ ამოცანათა უნარიანი, პროფესიული გადაწყვეტის სანიმუშო პირად მაგალითს იძლევიან. მაგრამ, ამასთან ერთად, ჯერ კიდევ ყველა კომუნისტის შეგნებაში როდი ხდება გარდაქმნა, არ ჩანს შინაგანი სურვილი, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ცენტრალური აპარატის წი-

ნაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. განა რესპუბლიკის პროკურატურის ზოგიერთი მუშაკის ინერტული მუშაობის შედეგად არ მიეცა შესაძლებლობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურებს წლების მანძილზე ემუშავათ უკონტროლოდ? თითქმის ორი წელი მოუნდა საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრას. მაგრამ დასახელებული პროკურატურების მუშაობის დონე კვლავ დაბალია, მათ მუშაობაში არ ჩანს ინიციატივა, ახლის ძიება.

განა საგამოძიებო სამმართველოსა და სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის გაწყობილების კომუნისტებს არ მიუძღვით ბრალი იმ თვითნებობაში, რასაც ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანების კალანდაძისა და წილოსანის საქმეზე?

წარსული შეცდომები ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს, მწარე, მაგრამ ყურადსაღები გაკვეთილი. სწორედ ასეთი ანალიზის საფუძველზე მოგვიწევს ჩვენ მუშაობის სტილისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნა, მინდობილი საქმისადმი კადრების პასუხისმგებლობის განუხრელი ამბლლება, დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოების პირობებში მუშაობის სწავლა, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლენის აღმოფხვრა, პროკურატურის მთელი მუშაობის შედეგიანობის ამბლლება.

ყოველივე ეს რომ ცოცხალი პრაქტიკის კუთვნილება გახდეს და გვქონდეს მორალური უფლება, რათა მკაცრად მოვთხოვოთ ქვემდგომ პროკურატურებს, უნდა დავიწყოთ საკუთარი თავით. უწინარესად, რესპუბლიკის პროკურატურაში არის საჭირო სისტემატური გააზრებული მოქმედება, ვინაიდან გარდაქმნა ხანგრძლივი, ყოვლისმომცველი პროცესია და ერთი რაიმე მიღწევით ვერ დავმშვიდდებით. ახლა უკვე საქმარისი არ არის კარგი დოკუმენტის მომზადება, გადაწყვეტილების მიღება; მთავარია ორგანიზატორული მუშაობა და მისი შედეგი საპროკურორო საქმიანობის ყველა სფეროში, ყველა რგოლში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის პროკურატურის აპარატში ბევრი რამ არის გასაკეთებელი ასეთი ვითარების შესაქმნელად. ამას წინათ გადავედით შრომის ორგანიზაციის საგნობრივ პრინციპზე, რომელიც ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე მთელი ძალებისა და ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაციის, მათი მაღალ პროფესიულ დონეზე გადაწყვეტის პირობებს ჰქმნის. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს საშუალებას იძლევა წარმოჩნდეს მუშაკთა უნარი და მათი დამოკიდებულება საქმისადმი. ამყამად, კომპლექსური ღონისძიებები მიმართულია ამ პრინციპის დანერგვისაკენ.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობამ და პარტიულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ მიადწიეს ურთიერთ კოლევიალურ თანამშრომლობას, ყოველივე სიახლის წახალისებისას არცთუ იშვიათად გარკვეული უპირატესობა ენიჭებათ შემსრულებელ, მაგრამ ინიციატივას მოკლებულ თანამშრომლებს.

ხშირად ჩვენი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების ურთიერთობა ხალხთან, როგორც იტყვიან კაბინეტის კედლებს არ სცილდება. ეს პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რადგანაც იგი, გარკვეულწილად, ყველას ეხება. მიმაჩნია რომ დღენიადავ უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: „ზემდგომი“ ხელმძღვანელების ურთიერთობა რიგით მუშაკებთან, გვასწავლიდა იგი, არა მარტო კადრების შერჩევის საშუალებაა, არამედ მმართველო-

ბის აპარატში რეზერვების გამოვლენაც. ლენინმა დაავალა თავის მოადგილეებს, რათა უსასრულო თათბირების ნაცვლად მეტი ყურადღება დაეთმოთ აპარატის გაუმჯობესებისა და გამოსწორებისათვის.

მართალია, პროკურატურა ცენტრალიზებული სისტემაა, მაგრამ ეს ცენტრალიზმი დემოკრატიულია, მით უფრო ამჟამად. ჩვენ კი ხშირად ბიუროკრატიული ცენტრალიზმისაკენ ვილტვით; ასეთი ვითარება უნდა აღიკვეთოს.

კარგა ხანია ვამჩნევთ და ვლაპარაკობთ, ზემოდან ქვემოთ დაშვებულ დავალებათა უზარმაზარ რაოდენობაზე, მაშინ, როცა კარგად ვიცით, რომ უშუალოდ პროკურორების მიერ დაგეგმილი ღონისძიებანი უფრო მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე ზევიდან თავსმოხვეული. ცხადია, ცენტრალიზებულ დავალებებს გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ მათ არ უნდა დათრგუნონ ინიციატივა ადგილებზე, რადგან ეს კიდევ უფრო ზრდის პასიურ შემსრულებელთა რიცხვს. სამწუხაროდ, ჩვენი საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილება სუსტ ზეგავლენას ახდენს დაგეგმვის პრაქტიკაზე, რაც აშკარად ვერ უპასუხებს გარდაქმნის მოთხოვნებს.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი და რთული ამოცანაა კანონიერების უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში. რთული იმიტომ, რომ ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს თვით ნორმატიული ბაზა და ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ მოგვარდება, უნდა ვიმუშაოთ ახალი და მოძველებული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ერთდროული მოქმედების ვითარებაში, ეს კი პროკურორებისაგან მოითხოვს პოლიტიკური და სამართლებრივი შეგნების განსაკუთრებულ მოწიფულობას. საჭიროა უფრო კონკრეტული, მიზანსწრაფული მოქმედება, რათა ინიციატივიანი, საქმიანი ადამიანები, რომელთა მოქმედება უპასუხებს დროის ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანებს, არ გახდნენ უწყებრივი ბიუროკრატიზმისა და არქაული რეგლამენტების მსხვერპლი.

საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რადგან ამ ნეგატიური მოვლენის გამო დაზიანებული აღმოჩნდა არა მარტო ცალკეული წარმოებები და ორგანიზაციები, არამედ მმართველობის ორგანოების მთელი რგოლები, თვით სამინისტროებიც კი.

ყოვლად შეუწყნარებელია სახალხო დოვლათის დაცვაზე პასუხისმგებლობის გაუპიროვნების თითოეული ფაქტი, რაც საშუალებას იძლევა დაუბრკოლებლად და დაუსჯელად ჩამოიწეროს ასეულ ათასობით მანეთი საწარმოს სახსრები. ასეთი ვითარება მომხვეჭელობისა და უშრომელი შემოსავლის მოყვარულთა წისქვილზე ასხამს წყალს, და სამწუხაროა, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ამას ურიგდება, ხოლო პროკურორები თავიანთი პასიურობით, ინერტულობით და საერთო საზედამხედველო საქმიანობის შესუსტებით ხელს უწყობენ უპასუხისმგებლობის გამოვლინებებს.

ასეთი ვითარების აღმოსაფხვრელად რესპუბლიკის პროკურატურის აპარატმა უნდა განახორციელოს შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებანი:

პირველი. საჭიროა ღრმად გავანალიზოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით კანონიერების მდგომარეობა. ოპერატიული მუშაკები უნდა დაეუფლონ ეკონომიკურ ცოდნას, რათა ყოველთვის იყვნენ სამეურნეო სფეროში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებათა კურსში.

მეორე. აპარატის მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნება

იმის პროფილაქტიკისაკენ, რომ აღიკვეთოს დატაცებებისა და უყაირათობით სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენების შესაძლებლობანი. ამის ნათელი მაგალითია გასულ წელს საერთო ზედამხედველობის განყოფილების მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა გორის რაიკავშირის დამზადების გაერთიანებაში მოსახლეობისაგან ვაშლის ჩაბარების ფიქტიური გაფორმების ფაქტზე, რამაც შესაძლებელი გახადა 4 მილიონ მანეთზე მეტი სახელმწიფო ქონების დატაცების აღკვეთა და დამნაშავეთა დროზე გამოვლენა.

აპარატის ქვედანაყოფთა მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული განცალკევებულობა და თავისებური უწყებრიობა საგრძნობლად ასუსტებს უმაღლესი ზედამხედველობის შესაძლებლობებს. აპარატის პარტიულმა კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი უნდა იმუშაონ ქვედანაყოფთა ურთიერთკავშირის სრულყოფისა და საპროკურორო ზედამხედველობის ამოცანის გაერთიანებისათვის. ეს ყველასათვის გადაუდებელი მოთხოვნა უნდა გახდეს.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველვყოთ კანონის მთელი სიმკაცრით გამოყენება იმათ მიმართ, ვინც სახელმწიფოს ატყუებს. ასეთივე ამოცანა დგას ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქების, რაიონების და ტრანსპორტის პროკურორების წინაშე, რომლებმაც პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და მხარდაჭერით უნდა მიღწიონ უფრო სისტემური, უკომპრომისო ბრძოლის ორგანიზაციას წამატებებისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევების აღმოსაფხვრელად. საგამოძიებო სამართველო კონტროლს უწევს ამ კატეგორიის ყველა საქმეს, მაგრამ მდგომარეობა ბევრგან უცვლელი რჩება. სწორედ ამ საქმეებზეა მიღებული მრავალი დაუფიქრებელი, ნაჩქარევი გადაწყვეტილება. ადგილობრივი გავლენის შედეგად ბოროტი თვალისამხვევნი ზოგჯერ თავს აღწევენ პასუხისმგებლობას. ვფიქრობ, დამატებითი ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც გავრცელებულია წამატებები და რეალური დახმარება და მხარდაჭერა გავუწიოთ ადგილობრივი პროკურატურის ორგანოებს იმ კონკრეტულ საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება ფერხდება სწორედ კუთხური გავლენის გამო და თუ საჭიროა, პრინციპულად დაესვათ საკითხი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე ზოგიერთი ხელმძღვანელის არასახელმწიფოებრივი პოზიციის შესახებ. საპროკურორო ზედამხედველობის ცენტრალიზაციის პრინციპს, მის დამოუკიდებლობას ადგილობრივი ორგანოებისაგან უფრო პრინციპულად განვახორციელებთ.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების საქმეში პროკურატურის ორგანოების დიდ შესაძლებლობებზე, მაგრამ პრაქტიკულად, საჭირო შედეგი არა ჩანს, ვინაიდან ეს მუშაობა არ არის განმტკიცებული სათანადო ორგანიზაციითა და კონტროლით, არ არის აღკვეთილი ფორმალისმის გამოვლინებები. ბევრგან ამ უბანზე მუშაობას კვლავინდებურად შემოწმებების, წარდგინებების, პროტესტების, დასჯისა და სხვა მსგავს ღონისძიებათა რაოდენობის მიხედვით აფასებენ. ხშირად ამ სტერეოტიპს თავს ვერ აღწევენ თვით კომუნისტებიც კი.

კვლავ მწვავე პრობლემად რჩება საგამოძიებო მუშაობის მდგომარეობა. მიუხედავად მისი დამახასიათებელი სტატისტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისა, გამოძიების გავლენა დამნაშავეობაზე კვლავ ნაკლებ ეფექტიანია. ნელა

უმჯობესდება დანაშაულობათა გახსნის მაჩვენებლები. 1987 წელს გაუარესდა განზრახ მკვლელობათა და სხვა მიძიმე დანაშაულობათა გახსნა. საგამოძიებო აპარატის მუშაობაში გამოვლენილია კანონიერების უხეში დარღვევის მრავალი ფაქტი. ამ მიმართებით განხორციელებულმა ღონისძიებებმა ჯერ კიდევ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი თუმცა საგამოძიებო სამმართველოს ხელმძღვანელობა დაპირებებს უხვად იძლევა.

ვერ შეგუირადებით იმ ფაქტს, რომ კვლავ მეორდება მოქალაქეთა უკანონოდ დაპატიმრება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. დაპატიმრებულთა არც თუ მცირე რაოდენობა თავისუფლდება ე. წ. „პატიმრობის სახით აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების აუცილებლობის არ არსებობის გამო“. ამ ფორმულირების ქვეშ კი უკანონობის მთელი წყება იმალება. მკვეთრად რომ გაუმჯობესდეს კანონიერების დაცვის მდგომარეობა სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში, პირველყოვლისა, აუცილებელია, ამ საკითხებისადმი დამოკიდებულების შეცვლა ჩვენთან — აპარატში; თითოეული კომუნისტი უნდა განიმსჭვალოს პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიის პოლიტიკური მნიშვნელობით; ეს გარანტია კი, პირველ რიგში, ჩვენ — პროკურორებმა, უნდა უზრუნველვყოთ. სამწუხაროდ, სამმართველოსა და განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციები რატომღაც საზედამხედველო საქმიანობის პრაქტიკის გარდაქმნის ამ მნიშვნელოვან საკითხს გვერდს უვლიან. აი, იმის ერთი მაგალითი, თუ ჩვენთან ზოგჯერ როგორ ხორციელდება კანონიერების გარანტიის რეალიზაცია: წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში ეჭვმიტანილის სახით დააკავეს ძმები ომარ და მურმან ხადურები, აგრეთვე ბიბილეიშვილი და გაბიძაშვილი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ დაკავების წინ, ოთხიდან სამი არავის არ დაუკითხავს, თუმცა ისინი ეჭვმიტანილი იყვნენ მრავალი ყაჩაღური თავდასხმისა და ქურდობათა ჩადენაში. უფრო მეტიც, აღნიშნულ პირთა დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტისას ქალაქის პროკურორმა (ამხ. ჯაყელი) არა თუ არ შეასრულა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანების მოთხოვნა, რომ პირადად დაეკითხა არასრულწლოვანები, არამედ საერთოდ არ გასცნობია გამოძიების მასალებს და ისე გასცა ოთხი მოზარდის დაპატიმრების სანქცია.

შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებასა და მოკვლევაზე ზედამხედველობის განყოფილებაში აღნიშნული საქმის შესწავლამ, რომელსაც უკვე ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფი იძიებდა, ცხადყო, რომ ბიბილეიშვილისა და გაბიძაშვილის ბრალდება საეჭვო აღიარებასა და განთქმას ეფუძნებოდა, ხოლო ძმები ხადურების ბრალდება — პროცესუალურ ნორმათა უხეში დარღვევებით მოპოვებულ მტკიცებებს. ამიტომ საპატიმრო ვადის გაგრძელების შეუამდგომლობა, რომელსაც მხარს უჭერდა ჯერ აღნიშნული რაიონის ყოფილი პროკურორი, შემდეგ კი ქუთაისის პროკურორის მოადგილე ი. ზ. ფეტვიაშვილი, არ დაკმაყოფილდა.

შემდგომმა გამოძიებამ დაგვარწმუნა, რომ ბიბილეიშვილი და გაბიძაშვილი აშკარად უსაფუძვლოდ იყვნენ დაპატიმრებული, ძმები ხადურების დაპატიმრება კი არ იყო აუცილებლობით გამოწვეული. დადგენილია ისიც, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენეს მოკვლევის აკრძალული მეთოდები.

2. „საბჭოთა სამართალი“, № 1

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რეაბუბ.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ საპროკურორო ზედამხედველობა საქმის გამოძიებაზე არ ხორციელდებოდა, რითაც ისარგებლა მილიციის ზოგიერთმა უპასუხისმგებლო მუშაკმა და მოქმედებდნენ პირადი შეხედულებით, თვითნებობდნენ, არღვევდნენ სოციალისტურ კანონიერებას.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ პრინციპული შეფასება მისცა აღნიშნულ დარღვევებს და მკაცრად დასაჯა პროკურატურის მუშაკები, ხოლო მოკვლევის აკრძალული მეთოდების გამომყენებელ მილიციის მუშაკთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

„სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების თანახმად ხალხის ნდობასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით, უნდა ვისწავლოთ გაფართოებული დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში მუშაობა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა ბევრს ავალებს კანონის სადრავჯოზე მყოფ კომუნისტებს. საჭიროა უფრო სწრაფად და განუხრელად განვახიზნოთ საკადრო პოლიტიკა, გავხადოთ იგი უფრო აქტიური და მიზანდასახული. საქმე ეხება არა კადრების უბრალო შეცვლას, არამედ მათს თვისებრივ განახლებას.

ჩვენი პარტიის ლიდერმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ღრმად გააანალიზა დაშვებული შეცდომები და შეჩერდა წარსულის ხუთ გაკვეთილზე, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ პროკურატურის ორგანოებში საკადრო პოლიტიკის საკითხებთან:

პირველი. მოდუნება კადრებში, მათ შორის ცენტრალურ აპარატში. ამ მაგნე ვითარების გასაუმჯობესებლად უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ახალი კადრები წარმოვაჩინეთ და ახლა პროკურორთა თითქმის 80 პროცენტი პირველ საკონსტიტუციო ვადაში მუშაობს, ხოლო საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალური აპარატი ერთი მესამედით განახლდა. მართალია, კადრების განყოფილების კომუნისტებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, მაგრამ ადგილი ჰქონდა ნაჩქარევ, დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებსაც, რასაც უმეტესად მხოლოდ საანკეტო მონაცემებზე ორიენტაცია იწვევდა. განყოფილებისადმი წაყენებულია კატეგორიული მოთხოვნა, რომ დასაწინაურებელი მუშაკის პოლიტიკურ და საქმიან თვისებათა შესასწავლად აუცილებელია პირდაპირი კონტაქტები, რეზერვში ჩარიცხულთა პირადი თვისებების ხანგრძლივი შესწავლა. ამ საქმეში კი განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯაროობის ატმოსფეროს შექმნას. ამჟამად, პროკურორთა დანიშვნისას გულდაგულ ვსწავლობთ პროკურატურის მთელი კოლექტივის, მისი პარტიული ორგანიზაციის აზრს, სწორია თუ არა არჩევანი, შეძლებს თუ არა დასაწინაურებელი ამხანაგი მუშაობას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ასეთივე პრინციპით ვმოქმედებთ ცენტრალური აპარატის მუშაკთა მიმართაც, განსაკუთრებით კი — საატესტაციო პრაქტიკაში.

მეორე. კადრების დაწინაურებისა და მათი მუშაობის შეფასებისას ვალდებული ვართ გავითვალისწინოთ ამხანაგების პოლიტიკურ-თეორიული მომზადებისა და იდეურ-ზნეობრივი წრთობის დონე. ამჟამად კი, როგორც აღნიშნულ პლენუმზე ითქვა, ადგილებზე ბევრ ხელმძღვანელში ჭარბობს მუშაობის ე. წ. „ადმინისტრაციულ-დაძალებითი“ სტილი. ასეთ ფაქტებს ჩვენთან-

ნაც ვხვდებით. ვფიქრობთ უნდა აღმოვფხვრათ თანამდებობრივი თაყვანისცემა და უზრუნველვყოთ თანასწორი, პირდაპირი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია აპარატის პარტიულმა კომიტეტმა, ყველა პირველადმა პარტორგანიზაციამ, თითოეულმა კომუნისტმა ბოლო მოუღონ ფორმალიზმს პარტიული განათლების ქსელის სწავლებაში. ხომ ფაქტია, რომ ბევრი მეცადინეობა მოსაწყენად ტარდება, არ იგრძნობა შემოქმედებითი სულისკვეთება, ნაკლებია საპროკურორო მუშაობის პრაქტიკასთან დაკავშირებული დისკუსიები, საინტერესო განხილვები. ვფიქრობ, ამ საკითხთა გადაჭრა საქმეს ადგილიდან დაძრავს და შედეგებიც აუცილებლად იჩენს თავს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მესამე. ამყამად ძალზე მნიშვნელოვანია დარგობრივ კადრებთან მუშაობის გარდაქმნის მიზნობრივი პოლიტიკის გამოცოცხლება. მოჩვენებითი მომთხოვნელობა და შიშველი ადმინისტრირება საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ფართოდ დაგნერგოთ მოწინავე გამოცდილება და მხარი დაუჭიროთ ინიციატივიან ადამიანებს.

მეოთხე. აუცილებელია ცენტრალური აპარატის თითოეულმა კომუნისტმა, მიუხედავად თანამდებობისა და დამსახურებისა, საღი თვალთ შეხედოს საკუთარ თავს, თვითკრიტიკულად გააანალიზოს — ასრულებს იგი მინდობილ საქმეს, შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, თუ არა! ვიყოთ გულახდილნი. აპარატში ბევრია უღისციბლინობა და ფუჭსიტყვაობა, სხვის თვალში ბეწვის შემჩნევისა, საკუთარში კი ღირეს შეუმჩნეველობის მავნე ტენდენცია. არ ყოფილა შემთხვევა, რომ კოლეგიაზე ვინმეს გულახდილად ეთქვა: დიახ, მე დავეუფვი შეცდომა! ნუთუ ყველა ასეთი უცოდველი ვართ?!

აპარატში უღისციბლინობისა და უპასუხისმგებლობის თითოეული ფაქტი მტკივნეულად აისახება დაქვემდებარებულ პროკურორატურათა მუშაობაში, მთელ საპროკურორო პრაქტიკაში. ამიტომ, მოდით, სიტყვიერად კი არა, საქმით შეექმნათ ურთიერთმომთხოვნელობის ვითარება. ვაფასებთ ჩვენს კადრებს, გზრუნავთ მათზე, მაგრამ ამას არავითარი საერთო არა აქვს ყველაფრის მიტევებასთან. თუ ადამიანი თავის ადგილზე არ აღმოჩნდა, უნდა გამოვუნახოთ მას შესაბამისი სამუშაო, რათა საქმე არ დაზარალდეს.

მეხუთე. ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზი, როგორც ეს პლენუმზე ითქვა კადრებთან მუშაობაში დემოკრატიული საწყისების სისუსტეში უნდა ვეძებოთ. საუბარია შიდაპარტიულ დემოკრატიაზე, არჩევით ორგანოთა როლის ამაღლებაზე, მათი სრული დატვირთვით ამოქმედებაზე. ამ დებულებებიდან ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ შორს გამიზნული დასკვნები უნდა გააკეთოს. ისე, კაცმა რომ თქვას, თითქოს ყველაფერი წესრიგშია; მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად. სინამდვილეში კი პარტიული ცხოვრება სუსტ ზეგავლენას ახდენს ცენტრალური აპარატის პრაქტიკულ საქმიანობაზე.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში შეექმნათ დამოუკიდებლობის, ინიციატივის, ქმედითობის, აზრთა გულახდილი გაზიარების ატმოსფერო. ახლა, როგორც არასდროს, თითოეულ კომუნისტს შესაძლებლობა აქვს ყოველმხრივ გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა.

ვერ დაუშვებთ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ჰაერში გამოკიდებული დარჩნენ ან ფორმალიზმის ჭაობში ჩაიფლონ. აქ კი განუზომლად დიდი როლი უნდა შეასრულონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ პრინციპულად

უნდა შეაფასონ მდგომარეობა, დროულად გამოავლინონ ნაკლოვანებებისა და შეცდომების კონკრეტული მიზეზები თუ ცალკეული პირები. ჭერჭერობით კი ამას ვერ ვაკეთებთ. აბა, ვის მოვთხოვეთ კონკრეტული შეცდომისათვის? აუცილებელია მწვავე კრიტიკისათვის უფრო ჯანსაღი, დემოკრატიული ვითარების შექმნა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მხედველობაში მაქვს არა მარტო კრიტიკა ზევიდან, არამედ ქვევიდან კრიტიკაც. საჭიროა, რომ თითოეული კომუნისტის საქმიანობა, მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა, შეფასდეს პირთუნელად და ობიექტურად, რათა ზუსტად ვიცოდეთ თუ ვინ როგორ მონაწილეობს გარდაქმნაში.

პარტიულმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ პროკურატურის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონონ ჯანსაღი კრიტიკის ჩაზნობის ყოველი ცდის აღმოსაფხვრელად.

პარტიულ კრებებზე კომუნისტების მიერ ჩვენი საქმიანობის ძირეული გარდაქმნის ცალკეულ საკითხებზე გამოთქმულ მოსაზრებათა ანალიზი იმის იმედს გვაძლევს, რომ ჩვენთან საჯაროობა და დემოკრატიზმი უკვე იკიდებს ფეხს. ახლა საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ მათი განვითარებისათვის.

ჩვენი მუშაობის გარდაქმნას ხელს უშლის საქმის გაჭიანურება, ქაღალდმთხვევლობა. კერძოდ, ხელმძღვანელიდან შემსრულებლამდე დოკუმენტები ხშირად 5-7 დღის შემდეგ აღწევს, ხოლო რაიმე დოკუმენტზე რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობის ხელის მოსაწერად საჭიროა რამდენიმე ხელმოწერის შეკრება. ეს ყოვლად დაუშვებელია! ასეთი მეთოდები დრომოჭმული და ბიუროკრატიულია. ისინი უნდა აღიკვეთოს უმოკლეს დროში.

რესპუბლიკის პროკურატურის კომუნისტებს მიაჩნიათ და სრულიად სამართლიანადაც, რომ ფართო საჯაროობის პირობებში, პირველყოვლისა, კოლექტივის აზრის გათვალისწინებით უნდა წყდებოდეს უფროსი პროკურორის, სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის დანიშვნის, პერსონალურ დანამატთა დადგენის, წახალისების გამოყენების საკითხები, ხოლო წლის ბოლოს განურჩევლად ყველა მუშაკმა წარადგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე, ამასთან რიგითი მუშაკებისა თუ ხელმძღვანელი ამხანაგების საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები კოლექტივში მსჯელობისა და განხილვის საგანი უნდა გახდეს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით მიგვითითებს, რომ სადაც კვლავ იგრძნობა მმართველობის დემოკრატიული მეთოდების დაუფასებლობა, კრიტიკის იგნორირება, საჯაროობისა და ქვევიდან კონტროლის შიში, იქ ჯანსაღი პროცესები ნელდება, დაბალია დისციპლინა და ორგანიზებულობა, ფეხს ითრევს სოციალისტური ნორმების განვითარებისა და განმტკიცების პროცესი.

ჩვენი საქმიანობის მთავარ მიმართულებად უნდა ვაქციოთ მ. ს. გორბაჩოვის მითითება: „ყველაზე ცუდი იქნებოდა სასურველის სინამდვილედ წარმოჩენა, შედეგების დაჩქარება, წარმატების წარმოსახვა იქ, სადაც ისინი არ არის. გაბედულად უნდა შევავიწროვოთ ისინი, ვისაც გარდაქმნაზე საუბრებით შემოფარგვლა, გარდაქმნასთან შეწყობა და მისი ყბედობამდე დაყვანა

სურს. ამ მთავარ საკითხში ჩვენი მხრიდან დათმობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. ასეთ მუშაებს დათმობა არ ექნებათ ჩვენს ცენტრალურ აპარატშიც, ხოლო ინიციატივიან, შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანებს ყოველმხრივ შეუწყობთ ხელს. და საერთოდ, ერთხელდასამუდამოდ უნდა დაიმსხვრეს გათანაბრების ელემენტი შეფასებასა და წახალისებაში. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება სრულად გამოვლინდეს ადამიანური ფაქტორი, რაც განახლების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. გარდაქმნა და განახლება მთელი ჩვენი სისტემის მუშაკთა საქმიანობის მაგისტრალური გზაა.



იუსტიციის ორგანოებში — 70

საბჭოთა სასამართლოები სამოცდაათი წლისა

აკოლონ კვიციანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

სამოცდაათი წლის წინათ, მსოფლიოში პირველი მშრომელთა სახელმწიფოს შექმნისთანავე, რევოლუციურმა მასებმა საკუთარი ინიციატივით, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერით დაიწყეს ძველი სახელმწიფო აპარატის მსხვრევა და ახალი, დემოკრატიული აპარატის შექმნა.

ახალ სახელმწიფოს ახლებური კანონები და მართლწესრიგი ესაჭიროებოდა: ბურჟუაზიულ სასამართლოს მშრომელთა ინტერესების განხორციელება არ შეეძლო. ეს კარგად იცოდა ვ. ი. ლენინმა და ამიტომ მოითხოვდა ძველი სასამართლოს შეცვლას საბჭოთა სასამართლოთი. ახალი სასამართლო საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, იმ ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი ბატონობა, ან დაეცვათ თავიანთი პრივილეგიები. მაგრამ გარდა ამისა, სასამართლოებს, თუ ისინი მოეწყობოდა რევოლუციის მონაპოვართა პრინციპებით, ეკისრებოდათ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანა იყო მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უმკაცრესი გარანტიების უზრუნველყოფა „...ჩვენ გვესაჭიროება იძულება. პროლეტარული სახელმწიფოს იმ ორგანოს, რომელიც ასეთ იძულებას ახორციელებს, უნდა წარმოადგენდნენ საბჭოთა სასამართლოები“ — წერდა ვ. ი. ლენინი.

ახლადშექმნილი საბჭოთა სასამართლოები თავდაპირველად სხვადასხვანაირად იწოდებოდნენ: დროებითი სახალხო სასამართლოები, საგანგებო რევოლუციური სასამართლოები, „საზოგადოებრივი სინდისის“ სასამართლოები,

სახალხო რევოლუციური ტრიბუნალები, მაგრამ მათი არსიც ერთი იყო და მიზანიც — ბრძოლა ხალხის მტრებთან, კონტრრევოლუციონერებთან, სამშობლოს მოღალატეებთან, ჯაშუშებთან, მათთან, ვინც ხელყოფდა სახელმწიფოსა და მშრომელთა ინტერესებს.

სასამართლო ორგანიზაცია და სამართალწარმოება მოითხოვდა მათ მოგვარებას ახალი საკანონმდებლო წესით, ამიტომ დღის წესრიგში დადგა სასამართლოს შესახებ ერთიანი კანონმდებლობის შემუშავების საკითხი. 1917 წლის 22 ნოემბერს (ახალი სტილით 5 დეკემბერს) სახკომსაბჭომ დაამტკიცა № 1 დეკრეტი სასამართლოების შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა სასამართლო სისტემას. დეკრეტმა განსაზღვრა ახალი სასამართლო სისტემის ორგანიზაციისა და საქმიანობის მნიშვნელოვანი პრინციპები. მოსამართლეთა არჩევითობა მშრომელთა მასებიდან და მხოლოდ მშრომელთა მიერ; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნაცვლად შეიქმნა სრულიად ახალი სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი; გამოცხადდა ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე; საქმის განხილვის საჯაროობა, ბრალდებულის დაცვის უფლება და სხვა.

დეკრეტის ძირითადმა დებულებებმა საკანონმდებლო განმტკიცება ჰპოვა 1918 წლის პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში, რომლის საფუძველზეც შემდგომ გამოიცა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები.

1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნამ თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია სამართლის სისტემაში და დიდი გავლენა მოახდინა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო სისტემის განვითარებაზეც, საკანონმდებლო წესით განმტკიცდა მოკავშირე რესპუბლიკებში მართლმსაჯულების განხორციელება ეროვნულ ენაზე. მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოები დაკომპლექტდა ეროვნული კადრებით. 1924 წლის კონსტიტუციის შესაბამისად და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით, შეიქმნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, რომელსაც დაეკისრა ზედამხედველობა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე და განსაკუთრებული მნიშვნელობის სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით.

ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მდიდარ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მათ შორის სასამართლოს მშენებლობაში. სწორედ ეს მდიდარი გამოცდილება გაიზიარა საბჭოთა საქართველომ, როდესაც 1921 წლის მარტში, № 6 დეკრეტის საფუძველზე, გააუქმა მენშევიკური სასამართლო და სათავე დაუდო ახალ სახალხო სასამართლოთა სისტემას.

საბჭოთა სასამართლო ორგანოები, გამოხატავდნენ რა მშრომელთა ინტერესებს, აქტიურად იბრძოდნენ სოციალიზმის მშენებლობისათვის, მტკიცედ იცავდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სჯიდნენ რა დამნაშავეს, ამავე დროს ცდილობდნენ აქტიური ზემოქმედება მოეხდინათ განსასჯელთა ცნობიერებაზე რომ დაეყენებინათ ისინი პატიოსანი ცხოვრების გზაზე. სასამართლოები სახელმწიფო განვითარების ყველა ეტაპზე უდიდეს როლს ასრულებდნენ სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, სა-

ხელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების განმტკიცების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხებში.

სამწუხაროდ, ოცდაათიან წლებში დაირღვა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების პროცესები. გაბატონებულმა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ დალი დაასვა მართლმსაჯულების ლენინური პრინციპების განხორციელებას.

დიდმა სამამულო ომმა ახალი ფურცელი ჩაწერა იუსტიციის ორგანოთა ისტორიაში, როდესაც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ქვეყნის თავისუფლება, მრავალი იურისტი წავიდა ფრონტზე თუ პარტიზანულ რაზმებში. მათ შორის ბევრი ველარ დაბრუნდა, ბევრი კი ომის ქარ-ცეცხლ გამოვლილი, ენერგიულად შეუდგა ჩვეულ საქმეს. სამამულო ომის შემდეგ თვისებრივად განვითარდა საბჭოთა სასამართლო სისტემა; სასამართლოები სახელმწიფო განვითარების ყველა ეტაპზე უდიდეს როლს ასრულებდნენ სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების განმტკიცების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხებში.

ჩამოყალიბების პირველი დღეებიდან დღემდე სახალხო სასამართლოთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა და წარმოადგენს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენების გამოტანა, სამართალში მიცემულის ქმედობის როგორც შემამსუბუქებელი ისე დამამძიმებელი გარემოებების ობიექტური გამოკვლევა, მშრომელებში იმ რწმენის დანერგვა, რომ დანაშაული ყოველთვის გამოაშკარავდება და დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება.

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში აქტიურად მიდინარეობს მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების დაცვის, სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების ყველა რგოლის მუშაობის სრულყოფის განხილვა, სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე კიდევ ერთხელ დადგა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანები: გაძლიერდეს კადრების პასუხისმგებლობა, გადაჭრით გადიდდეს საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობა, სასამართლოებისა და ადვოკატურის მუშაობის დონე, სახელმწიფო არბიტრაჟის, იურიდიული სამსახურის საქმიანობა საბჭოებში, საწარმოებში, დაწესებულებებში. უნდა მოხდეს მაღალი მოქალაქეობრიობის ჩამოყალიბება, საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგზრდობის ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდა უნდა გახდეს მათი სოციალურ-პოლიტიკური აქტივობის განვითარების, სამართალდარღვევებისადმი შეურიგებლობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება

სამწუხაროდ, ზოგიერთი სასამართლოს მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დონე ვერ პასუხობს ამ მოთხოვნებს. სასამართლოების საქმიანობაში გვხვდება უხეში შეცდომები; ზოგჯერ საშიშ დამნაშავეთა მიმართ გამოაქვთ აშკარად ლმობიერი განაჩენი. არის საპირისპირო შემთხვევებიც, როცა სასამართლოები თავისუფლების აღკვეთას უფარდებენ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს მსუბუქი დანაშაული, არ წარმოადგენენ საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებებს და მათი გამოსწორება ადვილად შეიძლება საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშეც. მართლმსაჯუ-

ლები ასეთი განხორციელება და დამნაშავეთა მიმართ ასეთი ბრძოლა რა თქმა უნდა ვერ განაწყობს მოსახლეობას სასამართლოებისადმი დიდი ნდობითა და პატივით. წარმატებების გვერდით გაგვაჩნია ნაკლიც — გაუარესდა სასამართლოთა მუშაობის ზოგიერთი მაჩვენებელი საქმეთა განხილვის ვადების დაცვის, განაჩენთა და გადაწყვეტილებათა სტაბილურობისა თუ პროფილაქტიკური მუშაობის მხრივ. ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია დაბალ პროფესიულ დონესთან დაკავშირებული სასამართლო შეცდომები, ხარვეზებია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროშიც. არასახარბიელოა სასამართლო პროცესების კულტურა, არ ხდება კანონით დაწესებული რიტუალების დაცვა, რითაც უხეშად ირღვევა სასამართლო ეთიკა. მოსამართლეები არასაკმარისად მუშაობენ სახალხო მსაჯულებთან, ზოგნი კი სათანადოდ არ აფასებენ რა სახალხო მსაჯულის როლს პროცესში, არ ითვალისწინებენ მათ აზრს და ამით არღვევენ სასამართლო განხილვის კოლეგიალობის პრინციპს. არც დამცველისა და მოსამართლის ურთიერთობაა სახარბიელო. ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან ადგილი აქვს დამცველის როლის დაკნინებას, მათ მიმართ უხეშ და უტაქტო მოპყრობას. თვით ადვოკატების მხრიდანაც ვხვდებით სასამართლოში არაეთიკური ქცევის, თავისი პროფესიული მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევებს. ამ პირობებში საჭიროა მუშაობის შეჩვეული ფორმისა და მეთოდების არა მცირედი შესწორება-შეღამაზება, არამედ მისი ძირეული გარდაქმნა, მთელი საქმიანობის წაშორება თვისობრივად და ხარისხობრივად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა მოითხოვს დროის მოთხოვნილების დონეზე ავიყვანოთ მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელი კოლეგიურობა, საჯაროობა, გადაწყვეტილებათა მიღების დემოკრატიული ფორმები, მოსახლეობასთან ანგარიშგება, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, ორგანიზებულობა, კადრების მაღალი თვისობრივი დონის უზრუნველყოფა. უნდა გამოირიცხოს უკანონობის მცირეოდენი ფაქტიც კი მართლმსაჯულების განხორციელებაში.

„გარდაქმნა, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — ეს არის საზოგადოების ენერგიული განწყობენა სოციალისტური მორალის ყოველგვარი გადახვევისაგან, ეს გახლავთ ცხოვრებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრული გატარება“. ამის გაკეთება კი ჩვენი, მართლმსაჯულების ორგანოების პირდაპირი ვალია.

ჩესუპულიკის პროკურატურის ორგანოებში კანონმდებლობის სისტემატიზაციის სრულყოფისათვის

შანა გვანცელაძე,

საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდის დარგში

„სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ პროკურატურისა და სხვა სამართალდაცვით ორგანოებს საშუალება მისცა ახალი სამართლებრივი საშუალებებით იმუშაონ სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად.

საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაცია პროკურორებისა და გამომძიებლების მიერ კანონების ღრმა შესწავლისა და მათი კვალიფიციური გამოყენების, საგამომძიებო აპარატისა და საპროკურორო ზედამხედველობის მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამიტომ არის, რომ სახელმწიფოს აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობის პირობებში, რაც განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების რეგულირებაში სამართლის როლის ამაღლებით, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პროკურატურის ორგანოებში კანონმდებლობის სწორი სისტემატიზაცია.

უკანასკნელ ხანს, საყოველთაო გარდაქმნის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სსრ ქალაქების, რაიონებისა და ტრანსპორტის პროკურატურებში კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და მისი პროპაგანდის სრულყოფისათვის განხორციელდა მრავალი ქმედითი ღონისძიება. სათანადო მუშაობა მიმდინარეობს სამართლებრივი აქტების აღრიცხვის, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების რეგისტრაციის, ახალი კანონების თაობაზე პროკურატურის მუშაკთა ოპერატიულად ინფორმირებისათვის.

ამასთან, კანონმდებლობის სისტემატიზაციის საქმეში შეიმჩნევა ცალკეული ნაკლოვანებები და ხარვეზები: ჯერ კიდევ ჯეროვნად არ სრულდება კანონმდებლობის სისტემატიზაციის სათანადო ორგანიზების ინსტრუქცია და „პროკურატურის ორგანოებში საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სპეციალური ბრძანება.

ზოგიერთ პროკურატურაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და სხვა კოდექსებსა და ნორმატულ აქტებში დამატებები და ჩანაწერები ცვლილებების შესახებ შეაქვთ დაგვიანებით და დაუდევრად. ხშირად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულბათა

ტექსტებს კოდექსების სათანადო ადგილებზე არ ათავსებენ, რაც, ცხადია, ძნელებს მათ გამოყენებას, უფრო მეტიც, იწვევს შეცდომებს კანონმდებლობის გამოყენებაში.

ცალკეული პროკურორების კანონმდებლობის სისტემატიზაციისადმი ასეთი უგულისყურობა ამ საქმის ჯეროვანი შეუფასებლობის შედეგია. მაშინ, როცა კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის სწორი ორგანიზაცია და მათი გონიერი გამოყენება არის დამნაშავეობასთან ბრძოლის, სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებისა და საპროკურორო საგამოძიებო საქმიანობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი გარანტია.

პროკურორი, რომელმაც კარგად იცის კანონი, ყურადღებით ადევნებს თვალს მის ცვლილებებს, ღრმად წვდება იმ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს, რომლებმაც გამოიწვია მისი მიღება. ასეთი მუშაკი, ცხადია, შემოქმედებითად ახორციელებს კანონის შესრულებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ორგანიზაციას, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ კანონმდებლობის კარგი ცოდნა შეუძლებელია თუნდაც ფენომენალური მეხსიერებით. ამიტომ ინფორმაციის მოზღვაგების პირობებში აუცილებელია პროკურატურის ყველა რგოლში არამარტო კანონმდებლობის სისტემატიზაცია, არამედ სისტემატიზაციის ამჟამად მოქმედი მეთოდების სრულყოფა, აგრეთვე ყველა სამართალდაცვითი ორგანოსათვის კანონმდებლობის სისტემატიზაციის ერთიანი ცენტრის შექმნა, რომელსაც პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს რაიონულ რგოლებთან.

სამწუხაროდ, კანონმდებლობის სისტემატიზაციის საქმეში დღემდე გვხვდება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები: ნორმატიული აქტების ოფიციალური წყაროების არსებული კომპლექტები, მიმდინარე კანონმდებლობის ბიულეტენები, ცნობარები, იურიდიული ლიტერატურა კარადებსა და წიგნის თაროებზე აწყვია სრულიად უსისტემოდ, მიღებული ახალი ლიტერატურა არ აღირიცხება, ბარათები არ ივსება სრულყოფილად. ყველაფერი ეს კი ძალზედ ართულებს საჭირო ცნობების მიღებას.

კანონმდებლობის სისტემატიზაციის საქმეში ასეთ დარღვევებს ხელი შეუწყო იმანაც, რომ რესპუბლიკის პროკურატურის საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდის ჯგუფი სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებს. ამის საილუსტრაციოდ იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ რაიონებისა და ქალაქების პროკურატურების კომპლექსურ შემოწმებებში ჯგუფის არც ერთ წევრს არ მიუღია მონაწილეობა.

შეუწყნარებელია, რომ ზოგიერთ პროკურატურაში ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ კანონმდებლობის სისტემატიზაციის როლს კანონიერების შემდგომი განმტკიცების, პროკურორებისა და გამომძიებლების პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების საქმეში, პროკურატურის ორგანოების ხელმძღვანელები ღრმად ვერ წვდებიან კანონმდებლობის სისტემატიზაციის შინაარსს და საჭირო დახმარებას არ უწევენ იმ პირებს, რომლებსაც დავალებული აქვთ და ასრულებენ ამ სამუშაოს. მაშინ როცა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ზემოაღნიშნულ ბრძანებაში პროკურატურის ორგანოებში კანონმდებლობის სისტემატიზაციის სრულყოფის მიზნით დასახულია კონკრეტული ღონისძიებები: დამტკიცებულია ინსტრუქცია პროკურატურის ორგანოებში კანონმდებლობის სისტემატიზაციის წარმოების წესის შესახებ და

ნორმატიული აქტების სისტემატიური კარტოთეკის კლასიფიკატორი. პროკურორებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ კანონმდებლობის სისტემატიზაციის სრულყოფისათვის მუშაობის ორგანიზაცია ზუსტად ინსტრუქციის შესაბამისად.

რაიონებისა და ქალაქების პროკურორები ვალდებული არიან უზრუნველყონ კანონმდებლობისა და იურიდიული ლიტერატურის სრული აღრიცხვა და სათანადო დაცვა, დროულად და ზუსტად ასახონ ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, სისტემატიურად აკონტროლონ პროკურატურის მუშაების მიერ ახალი კანონმდებლობის დრმა და ყოველმხრივ შესწავლის საქმე.

რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პროკურორებს დაევალოთ დაქვემდებარებულ პროკურატურებში გააძლიერონ კონტროლი კანონმდებლობის სისტემატიზაციის სრულყოფისათვის, შეიტანონ კომპლექსური შემოწმებების პროგრამებში კანონმდებლობის სისტემატიზაციის მდგომარეობის შესწავლის საკითხიც, შეაფასონ იმისდა მიხედვით თუ როგორ უწყობს იგი ხელს მუშაობის ხარისხის ამაღლებას და საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების საკითხების ოპერატიულ გადაწყვეტას, მუშაკთა ატესტაციის დროს უნდა აისახოს მოქმედი კანონმდებლობის ცოდნის დონე; პროკურორებსა და გამოძიებლებს რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და სხვ.

კანონმდებლობის სისტემატიზაცია აუცილებელია საკანონმდებლო სრულყოფის, კანონმდებლობის მოძველებული აქტებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმებისაგან განთავისუფლებისათვის, ნორმატიული აქტებით სარგებლობის გაიოლების, საზოგადოების სამართლებრივი აღზრდის, იურიდიული კულტურის დონის შემდგომი ამაღლებისათვის.



სსრ კავშირში ეროვნული თანასწორობის უზრუნველყოფის უზღაბათა გარანტია

ვახტანგ ძეცვა,

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია ერთ-ერთ პრინციპულ ამოცანად ისახავს ეროვნულ ურთიერთობათა შემდგომ სრულყოფას. „თავის საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველმხრივ ითვალისწინებს საბჭოთა საზოგადოების მრავალეროვან შემადგენლობას. განვლილი გზის შედეგები დამაჯერებლად მოწმობს:

წარსულისაგან შემორჩენილი ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაიჭრა. ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ ურთიერთობას ახასიათებს როგორც ერებისა და ეროვნებების შემდგომი აყვავება, ისე მათი განუხრელი და ახლოება, რაც მიმდინარეობს ნებაყოფლობის, თანასწორობის, ძმური თანამშრომლობის საფუძველზე. აქ შეუწყნარებელია განვითარების მომწიფებული ობიექტური ტენდენციების როგორც ყოველგვარი ხელოვნური წაბიძგება, ისე შეკავება. ამ განვითარებას შორეულ ისტორიულ პერსპექტივაში ერების სრული ერთიანობა მოსდევს¹.

საბჭოთა სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო არა მარტო აცხადებს ეროვნებათა თანასწორობას, არამედ რეალურად უზრუნველყოფს ეროვნებათა თანასწორობას. მის განხორციელებას იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ გარანტიათა სისტემით. „ერთხელ და სამუდამოდ მოისპო ყველა ფორმისა და გამოვლინების ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული არათანასწორუფლებიანობა, ათმილიონობით ადამიანის შეგნებაში დამკვიდრდა ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ყველა ხალხის ეროვნული კულტურისა და ეროვნული ღირსების პატივისცემა, საბჭოთა ხალხი თვისებრივად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობაა, რომელიც შედუღებულა ეკონომიკური ინტერესების, იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიზნების ერთიანობით“².

თანამედროვე პირობებში განუხრელად იზრდება ეროვნული თანასწორობის იურიდიული გარანტიის მნიშვნელობა, რაც დაკავშირებულია ორ ფაქტორთან: 1. კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პირობებში უსაზღვროდ იზრდება ყოველი ერისა და ხალხის წვლილი უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში; 2. საბჭოთა სოციალისტური სამართალი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მტკიცედ იცავს არა მხოლოდ ცალკეული პირების, არამედ, მთლიანად ადამიანთა სოციალურ-ეთიკური ერთობების ინტერესებს, რაც საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისა და მისი სამართლებრივი სისტემის კანონზომიერებაა.

ეროვნულ ურთიერთობათა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მხარეები რეგულირდება **სახელმწიფო სამართლით**, ამიტომ სამართლის ამ დარგს წამყვანი ადგილი უჭირავს ეროვნული თანასწორობის იურიდიული გარანტიების დადგენაში. ასეთი გარანტიები ძალზე მრავალრიცხოვანია, ამიტომ საჭიროა მათი დაჯგუფება. საბჭოთა მეცნიერები ამ საკითხს სხვადასხვაგვარად აყალიბებენ, ჩვენ კი მხოლოდ სამ სახეს გამოვყოფთ: **საერთო ანუ პირდაპირი ნორმატიულ-სამართლებრივი დამკვიდრება, გაფრთხილება და რეალიზაციის უზრუნველყოფა.**

ეროვნული თანასწორობის **საერთო ანუ ნორმატიულ-სამართლებრივი დამკვიდრება** მიზნად ისახავს სსრ კავშირის მოქალაქეთა და ადამიანთა სოციალურ-ეთიკურ ერთიანობათა თანასწორობის მოთხოვნების ჩამოყალიბებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს არის ყველა საბჭოთა ადამიანის, თანამდებობის პირის და საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოების მიერ მოცემული პრინციპის განხორციელების უფლებრივი წინამძღვარი.

გაფრთხილება, როგორც იურიდიული გარანტიის სახე, თავისთავად არის

¹ „სკკპ პროგრამა“, თბ., 1986, გვ. 65.

² მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 89.

პრევენციული ხასიათისა. იგი იცავს ეროვნული თანასწორობის სუბიექტთა ინტერესებს დაწესებული თანასწორობის შესაძლო დარღვევებისაგან. მას, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება საბჭოთა კანონმდებლობის სიის ნომერი, რომლებიც აწესებენ აკრძალვასა და დასჯას იმ მოქმედებებზე, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეყავართ ეროვნული თანასწორობის პრინციპის დარღვევამდე.

რელიზიაციის უზრუნველყოფა არის იურიდიული და ორგანიზაციული საშუალება, რაც უზრუნველყოფს იმ ნორმების სათანადო რელიზაციას, რომლებიც ამკვიდრებენ და არეგულირებენ ეროვნული თანასწორობის ურთიერთობებს.

ეროვნული თანასწორობა გვესმის როგორც ორი ელემენტის ორგანული ერთიანობა — ერისა და ეროვნებების ეროვნული თანასწორობა და საბჭოთა მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობა, და ვთვლით, რომ იურიდიულ გარანტიებს, თითოეული მითითებული პრინციპისათვის გააჩნიათ ზოგიერთი სპეციფიკა. კანონმდებლობა უნდა განხორციელდეს დიფერენცირებულად. მაგალითად, ერების თანასწორუფლებიანობის პრინციპისათვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი უფლებრივი გარანტიებია ეროვნული სახელმწიფოებრიობის ერთსახელიანი ფორმების (საბჭოთა ფედერაციის სუბიექტები) თანასწორუფლებიანობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დაიწყო, ჩვენი აზრით, საინტერესო ცდა, რათა განისაზღვროს გარკვეული პრინციპის იურიდიული ძალის ხარისხის დამოკიდებულება კანონმდებლობაში მისი გადმოცემის ფორმაზე. მაგალითად, ვ. ნ. რონჟინმა მოცემული საფუძველი მიიღო კრიტერიუმად და განასხვავა: 1. ნორმატიულ აქტში პირდაპირ დამკვიდრებული პრინციპები, 2. კანონის პრეამბულაში ან საერთო შინაარსში მოცემული და 3. ნორმებში არაპირდაპირ დამკვიდრებული და დაწესებული იურიდიული განმარტების გზით. პირველ პრინციპებს აქვს სავალდებულო ძალა, მეორეს — პირდაპირ მარეგულირებელი ზემოქმედება, მაგრამ რეგულირების მიზნით განსაზღვრავენ ნორმების შინაარსის მეტნაკლებად არსებით თვისებებს. მესამენი ფლობენ უმცირეს უფლებრივ ძალას. ამის შემდეგ ვ. ნ. რონჟინი აკეთებს დასკვნას: უფლებათა ნორმებში პრინციპების ტექსტუალური დამკვიდრების საჭიროების შესახებ.³

ამ მიზნით დავაკვირდეთ: ერებისა და ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური დამკვიდრების თუ რომელი გზა ირჩია პრაქტიკამ. როგორც ცნობილია, რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციამ სათავე დაუდო რუსეთის ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და სუვერენულობას.⁴ პირველივე საბჭოთა კონსტიტუციები (რსფსრ—1918 წ., ბელორუსიის სსრ—1919 წ., უკრაინის სსრ — 1919 წ. და სხვ.) საბჭოთა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დამამკვიდრებელ ნორმებში შეიცავდნენ დებულებას ეროვნული უმცირესობის რაიმე სახით დაჩაგვრის აკრძალვის შესახებ. 1924 წლის სსრ კავშირის ძირითად კანონში საბჭოთა ერების ეროვნული თანასწორუფლებიანობის გარანტიები ფორმულირებული იყო ეროვნული სახელმწიფოებრივი წყო-

³ იხ. ვ. ნ. რონჟინი. სოციალისტური სამართლის პრინციპების გაგებისა და სისტემის შესახებ, „მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე“, სერ. „სამართალი“, 1977; № 2, გვ. 35.

⁴ იხ. „საბჭოთა კონსტიტუციის ისტორია (დოკუმენტებში)“ 1917-1956, 1957, გვ. 58.

ბილგების ინსტიტუტის მიხედვით. ეს, კერძოდ, ვლინდებოდა სსრ კავშირის ფედერაციულ ფორმაში, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორპალატიან სტრუქტურაში, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებში. ამას გარდა, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუცია აღნიშნავს, რომ სოციალიზმი — ეს არის ეროვნული თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა, ხოლო სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია კრძალავდა ყოველგვარ ქადაგებას რასობრივი ანუ ეროვნული განსაკუთრებულობის შესახებ, სიძულვილსა და აბუჩად აგდებას.

ამგვარად, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველი ეტაპების კონსტიტუციური კანონმდებლობა ამკვიდრებდა ეროვნებებისა და ერების თანასწორუფლებიანობის პრინციპს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აკრძალვის გზით.

სსრ კავშირის კონსტიტუცია აღნიშნავს, რომ მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზოგადოება, რომელშიც ყველა კლასისა და სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობის, მათი ძმური თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი (პრეამბულა). ამასთან, სსრ კავშირის კონსტიტუცია ამკვიდრებს ჩვენს ქვეყანაში ყველა ერის, ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის თანასწორუფლებიანობას. ეს პრინციპები განსაზღვრავენ დანარჩენი კონსტიტუციური ნორმების შინაარსს.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში თანასწორუფლებიანობის შესახებ სპეციალური თავის გამოყოფის ფაქტი და ცალკე მუხლში ეროვნული და რასობრივი ნიშნებით მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპის ფორმულირება მეტყველებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ანიჭებს მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებას.

განსაკუთრებულ კვლევას მოითხოვს ეროვნული თანასწორუფლებიანობის იურიდიული გარანტიის ისეთი სახე, როგორცაა **გაფრთხილება**. იგი იცავს სუბიექტთა ინტერესებს მათი თანასწორი უფლებრივი სტატუსის შესაძლო დარღვევისაგან, რაც მკაფიოდ ვლინდება იმ ნორმებში, რომლებიც შეიცავს ეროვნული მტრობის გამჩაღებელი აგიტაციისა და პროპაგანდის აკრძალვას.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ინარჩუნებს ყველა წინა კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას და პირდაპირ კრძალავს ეროვნული და რასობრივი განსაკუთრებულობის ქადაგებას. „მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა და უგულვებელყოფის ყოველგვარი ქადაგება — კანონით ისჯება“⁵ ნათქვამია კონსტიტუციის 36-ე მუხლში. ეს დებულება გამეორებულია ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში.

ევრონული თანასწორუფლებიანობის უფლებათა ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეობაა რელიგიის უზრუნველყოფა. ეროვნულ სახელმწიფოებრივ წყობაში ამ ფუნქციას ასრულებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმომად-

5 „სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)“, თბ., 1977, გვ. 19.

გენლობის სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია თავისი გამოვლენის ძალზე მრავალფეროვანი ფორმები.

1977 წლის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, წამოყენებული იყო წინადადება „სსრ კავშირის ორპალატიანი სტრუქტურის ლიკვიდაციისა და ერთპალატიანი უმაღლესი საბჭოს შექმნის“ შესახებ. პარტიამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ეს ნაჩქარევი და მცდარი იყო, ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობის ინტერნაციონალური ბუნების გამო უმაღლესი საბჭოს პალატებს შორის სრული თანასწორობა სუფევს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 109-ე მუხლი აცხადებს: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატები თანასწორუფლებიანი არიან“. პალატების თანასწორუფლებიანობა, არსებითად, სსრ კავშირში ეროვნული თანასწორობის გამოხატულებაა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ დააწესა კავშირის საბჭოს შექმნის სხვა წესი, ვიდრე სსრ კავშირის 1946 წლის კონსტიტუციამ, რომელიც შეიცავდა წარმომადგენელთა მტკიცე ნორმას, რის შედეგადაც შეიმჩნეოდა მოცემულ პალატაში დეპუტატთა რაოდენობის ზრდა, რაც უმაღლესი საბჭოს პალატების თანასწორუფლებიანობის პრინციპის არასრული გამოხატვა იყო.

ამჟამად, თითოეული პალატა ირჩევს პალატის თავმჯდომარეს და მის ოთხ მოადგილეს (სსრ კავშირის კონსტიტუციის 111-ე მუხლი). ეს მუხლივე ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომებს რიგრიგობით უძღვებიან კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები. თითოეულ პალატას ენიჭება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში (113-ე მუხლი). სსრ კავშირის კანონი მიღებულად ითვლება, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თითოეულ პალატაში მას ხმას მისცემს პალატის დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა (114-ე მუხლი).

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმომადგენლობა გამოხატულია სსრ კავშირის სხვა ორგანოებშიც. სსრ კავშირის კონსტიტუციის 120-ე მუხლის თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ამავე დროს არიან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები (129-ე მუხლი), ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში — მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები (153-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმომადგენლობა არის ამ ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის გარანტია თვითგამორკვევის სუვერენული სახელმწიფოს ფორმით. იმ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები, რომლებსაც თავიანთ შემადგენლობაში აქვთ ავტონომიური წარმონაქმნი, შეიცავენ ნორმებს, რომლებიც აწესებენ ასეთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმომადგენლობას, მაგალითად, რსფსრ კონსტიტუციის მიხედვით რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ირჩევენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს, რომლებიც რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები არიან. ანალოგიურ ნორმას შეიცავენ საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ კონსტიტუციები. ამას გარდა, საქართველოს სსრ კონს-

ტიტუციის 123-ე მუხლი, უზბეკეთის სსრ 121-ე მუხლი და აზერბაიჯანის სსრ 123-ე მუხლი აწესებს, რომ აღნიშნული რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები. აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში თავმჯდომარის მოადგილეების უფლებით შედიან ავტონომიური ოლქის წარმომადგენლები (113-ე მუხლი), ხოლო საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ამავე დროს აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია (165-ე მუხლი). რსფსრ, საქართველოს სსრ, ტაჯიკეთის სსრ საკონსტიტუციო კანონმდებლობებში ასეთი ნორმები არ არის. მაგრამ, როგორც წესი, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევენ ავტონომიური ოლქის წარმომადგენელს,⁶ ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რიცხვში არ არის წარმომადგენელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან.⁷ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ რსფსრ კანონმდებლობაში დამკვიდრდეს ავტონომიური წარმონაქმნების წარმომადგენლობა-სახალხო დეპუტატთა საბჭოების ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში. ასეთი წარმომადგენლობა ჩვენი აზრით, შესაძლოს გახდის, საბჭოების საქმიანობაში სრულად იქნას გათვალისწინებული ეროვნებათა სპეციფიკური ინტერესი ავტონომიური წარმონაქმნების ხალხთა ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხების გადაწყვეტისას.

აფხაზეთის ასრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კორპუსის ახლანდელი შემადგენლობა უზრუნველყოფილია ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის ოპტიმალური წარმომადგენლობით: რუსი — 14 დეპუტატი, უკრაინელი — 1, ბელორუსი — 1, ქართველი — 54, სომეხი — 9, ესტონელი — 1, აფხაზი — 56, მორდოველი — 1, ოსი — 1, ბერძენი — 2.

სახელმწიფო მშენებლობაში ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის პრინციპი გარანტირებულია ეროვნებათაშორისო ურთიერთობათა სფეროში ეროვნულ ენათა თანასწორუფლებიანობითაც.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის დროს საჭიროა ყველა ეროვნებისა და ერის სრული თანასწორუფლებიანობა, სავალდებულო სახელმწიფო ენის გარეშე.⁸ ამასთან დაკავშირებით ძალზე სადაოდ გამოიყურება დ. ლ. ზლატოპოლსკის გამოხატულებაში, რომელიც რუსულ ენას უწოდებს საერთო ფედერაციულს.⁹ ეს, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება ეროვნული ენების თანასწორუფლებიანობის პრინციპს. სხვა საკითხია, როცა ერებს შორის ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობების განვითარება ობიექტურად მოითხოვს ყველაზე გავრცელებული რუსული ენის ცოდნას, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობის მიერ რუსული ენის ნებაყოფლობით ათვისების გზით.

კონსტიტუციური კანონმდებლობა თანმიმდევრულად ატარებს ეროვნული ენების თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ენების თანასწორობის კონკრე-

⁶ იხ. ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ, 1975 წლის 3 ივლისი, „ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი“, 1975, № 6, მ. 112.

⁷ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი“. 1975. № 6. მ. 111.

⁸ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 57. (რუს. ენაზე).

⁹ იხ. დ. ლ. ზლატოპოლსკი, სსრ კავშირი — ფედერაციული სახელმწიფო, გვ. 58.

ტული გამოხატულება, ის, რომ სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე (სსრ კავშირის კონსტიტუცია, 116-ე მუხლი).¹⁰

საბჭოთა მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის აუცილებელი გარანტიაა სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობა. კომუნისტურმა პარტიამ ამ საკითხზე თავის პირველივე ყრილობაზე შეიმუშავა გამოკვეთილი პოზიცია და გამოაცხადა, რომ მოსახლეობას ენიჭება უფლება მშობლიურ ენაზე მიიღოს განათლება, მშობლიურ ენაზე გამოთქვას თავისი აზრი კრებებზე, ადგილობრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში მშობლიური ენა იყოს სახელმწიფო ენის თანასწორი და სხვა.¹¹

მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობა დამკვიდრებული იყო ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში მათ შორის, ცხადია, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში (45-ე მუხლი). ეს უფლება გამოხატულია სახალხო განათლების შესახებ-სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობების საფუძვლებში (მე-3 მუხლი). ამჟამად, სსრ კავშირში სასწავლო პროცესი ხორციელდება 55 ეროვნულ ენაზე.¹²

ამასთან, ეროვნულ ენასთან ერთად ვითარდება რუსული ენის ათვისება, რომელიც საბჭოთა ხალხის მიერ ნაბაყოფლობით აღიარებულია როგორც ეროვნებათა შორის ურთიერთობათა საშუალება. ეს ენა გზას ხსნის მეცნიერების, ტექნიკის, სამამულო და მსოფლიო კულტურის მიღწევების უკეთ გაცნობისაკენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერნაციონალური აღზრდის ფაქტორი: „ჩვენი ცხოვრებისა და ერთობლივი შრომის მთელი ატმოსფერო, ოჯახი და სკოლა, არმია, კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება მოწოდებული არიან ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანებს, და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდებს, ჩამოუყალიბონ და განუვითარონ ყველაზე კეთილშობილური გრძნობები — ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობები“.¹³

დაბოლოს, ჩვენს ქვეყანაში ეროვნული თანასწორუფლებიანობის სფეროში უფლებრივი საშუალებებით უზრუნველყოფილია მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, კერძოდ, 1. მკვიდრდება თანასწორი უფლებრივი სტატუსი ყველა ერისათვის, ასევე პიროვნებებისათვის, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რასისა. 2. უფლებრივი გარანტიების კონკრეტული სახის დეტალიზაცია ხდება სამართლის ყოველი დარგის მიხედვით. 3. უფლებრივი გარანტიები ერთიანობაში რეალურ შესაძლებლობებს უქმნიან სუბიექტებს, რათა ეროვნულ ურთიერთობებში თავიანთი უფლებამოსილებანი განახორციელონ აბსოლუტურად თანასწორ პირობებში.

¹⁰ სსრ კავშირის კანონების მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე გამოქვეყნების იდეა ასახული იყო სსრ კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულებაში და 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

¹¹ იხ. „სკკპ რეზოლუციებში...“, ტ. I, გვ. 63.

¹² იხ. „თანამედროვე ეთნიკური პროცესები სსრ კავშირში“, 1975, გვ. 268, 274. რუსულ ენაზე).

¹³ „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები“, 1987 წლის 27-28 იანვარი, თბ., 1987, გვ. 52.

თბილისის სახალაფრფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის
სამართლის საკათედრო განყოფილებაში მოაღივას. იურიდიულ მეცნიერებათა
დატს. დოცენტ გიორგი ლეკვიშვილს სიუბილემო თარიღი შეუსრულდა.
წლების განმავლობაში იგი მუშაობდა შერადალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორის
მოადგილეად. იყო შერადალის საკლასიკო კოლეჯის წევრი, უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

მულოცავთ გიორგი ლეკვიშვილს სიუბილემო თარიღს და გთავაზობთ მის
სტატიას.

დისკუსია და განხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის სრულყოფისათვის

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის საკითხის სწორად
გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედობის ზუსტი კვალიფიკაციისათ-
ვის. მასში აისახება დანაშაულის სოციალური არსი, მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხა-
რისხი და სოციალურად სასარგებლო მიზნის მიღწევის გზები. იგი ხელს უწყობს საბჭოთა
მოქალაქეების მიერ სისხლისსამართლებრივი ნორმების ზუსტ აღქმა-ათვისებას და მთელი რიგი
აღმწერდელითი დონისძიებების განხორციელებას.

იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის
სისტემა მიჩნეულია როგორც გვარეობითი ობიექტის მიხედვით დაჯგუფებულ დანაშაულთა
ერთობლიობა და ამ ჯგუფებში ნორმათა განლაგების წესი. გვარეობით ობიექტში კი იგუ-
ლისხმება სისხლისსამართლებრივი ნორმით დაცულ ერთგვაროვან და ურთიერთდაკავშირებულ
საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მთელ რიგ გარემოებათა ზე-
გავლენით, იქმნებოდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა მნიშვნელობის
ზრდაც იწვევდა ცალკეულ გვარეობითი ობიექტით გაერთიანებულ ურთიერთობათა დაცვის აუ-
ცილებლობას. ამდენად, ჩვენს ქვეყანაში პერიოდულად დგებოდა სისხლის სამართლის კოდექ-
სის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის დახვეწის პრობლემა.

დღეს, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 20 დეკემბრის დადგენილებამ
„სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა
უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“, დასაბუთა და მო-
ითხოვა სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობა, კვლავ
დადგა დღის წესრიგში სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის
გადახალისებისა და სრულყოფის საკითხი.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის არსებულ სისტემაში ბევრი
რამ არის გაუმართლებელი და მცდარი, მისმა თეორიულმა დამუშავებამ ხელი უნდა შეუწყოს
საზოგადოებრივ ურთიერთობათა საერთო სისტემაში დანაშაულის როგორც გვარეობითი, ისე
უშუალო ობიექტების უფრო ღრმა შესწავლას. ჩვენის აზრით, განსაკუთრებული ნაწილის
სისტემა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი დანაშაულის ობიექტის სამწევრიან კლა-
სიფიკაციასთან, რათა არამართო ერთგვაროვანი დანაშაულები გაერთიანდეს ერთ თავში, არა-
მედ ამ თავში შემავალი ყველა კონკრეტული დანაშაულებრივი ხელყოფა ემთხვეოდეს გვარე-
ობით ობიექტს. მხოლოდ ასეთი კლასიფიკაცია მოგვცემს სასურველ შედეგს სისტემის სრულ-
ყოფის მიზნით.

ვერ დავეთანხმებით არსებულ განსხვავებას მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამარ-
თლის კოდექსების ცალკეული თავების განლაგების თანმიმდევრობაში. ვერავითარი ეროვ-
ნული თავიებულებით ვერ ავხსნით იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის

კოდექსში სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ მოთავსებულია დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ, ხოლო ზოგიერთში — დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, ან კიდევ: ერთგან ცალკე თავად არის გამოყოფილი სატრანსპორტო დანაშაული, მეორეგან კი ეს დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია მოქცეული. მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსების სისტემების შედარებისას ჩანს, რომ არსებითი სხვაობა არსებობს ამა თუ იმ დანაშაულის გვარობითი ობიექტით გაერთიანების სფეროში. მაგალითად, მკვლელობის მუქარა საქართველოს სსკ-ში გათვალისწინებულია პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, რუსის სსკ-ში კი — დანაშაულთა იმ ჯგუფში, რომლებიც ხელყოფენ საზოგადოებრივ უშიშროებას.

უკვე დიდი ხანია მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ბუნებაზე ხელმეოფი დანაშაულები დამოუკიდებელ თავში იყოს თავმოყრილი. მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული საკლასიფიკაციო კრიტერიუმები ზემოაღნიშნული ნორმების ამა თუ იმ თავში მოთავსებისათვის, დღეისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში ბუნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები სხვადასხვა თავებშია განლაგებული. ზოგიერთ კოდექსში ასეთი დანაშაულებისათვის ადგილი მიჩნეულია მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, მეორეგან — სამეურნეო დანაშაულებში, მესამეგან — როგორც სამეურნეო, ისე საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება.

საინტერესოა რომელი კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც იგი გემის კაპიტნის მიერ განსაცდელში მყოფ პირთათვის დახმარების აღმოუჩენლობას (საქართველოს სსკ-ის 132-ე მუხლი) პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს მიაკუთვნებდა, ხოლო დახმარების გაუწევლობას გემების დაჯახების დროს (საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლი) — მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

განსაკუთრებით შემჩნევა შეუსაბამოა ხელყოფის უშუალოდ ან გვარობით ობიექტებს მორის კოდექსის იმ მუხლებში, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო შეტანილი სსკ-ის მიღების შემდეგ. ცნობილია, რომ მოქმედ სსკ-ში ასევე მეტი ცვლილება და დამატებაა, რაც ცხადია, ხელს უშლის დანაშაულთა სწორ განლაგებას.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ მაგალითს: ა) საქართველოს სსკ-ის 1692 მუხლში ლაპარაკია არათანამდებობის პირის მიერ გამოძალვის გზით უკანონო გასამრჯელოს მიღებაზე იმ სამუშაოს შესრულებისათვის, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან. ეს მუხლი შეტანილია თავში სამეურნო დანაშაულის შესახებ, თუმცა უკანონო გასამრჯელოს მიღება, ვთქვათ, სამედიცინო დაწესებულებებში, სასტუმროებში და ა. შ. სრულიადაც არ ხელყოფს სახალხო მეურნეობის ინტერესებს.

ბ) 2084 მუხლი — ბოროტი ურჩობა შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნებისადმი ან ადმინისტრაციისათვის სხვაგვარი წინააღმდეგობის გაწევა მის მიერ ფუნქციების განხორციელებაში იმ პირის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის ადგილას — შეტანილია მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. თუმცა არსებითად ეს დანაშაულებრივი ქმედობა ხელყოფს არა მართლმსაჯულების ინტერესს, არამედ მმართველობის დადგენილ წესს.

აქვე მინდა ცოტა დაწვრილებით შევჩერდე მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავზე. ეს თავი შექმნილია მისი გვარობითი ობიექტის თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტთან ხარისხობრივი ერთგვაროვნების გაუთვალისწინებლად. მაგრამ, რამდენადაც იგი ჩვენს კოდექსში დამოუკიდებელ თავად არის წარმოდგენილი, მასში მხოლოდ ის ნორმები უნდა გაერთიანებულიყო, რომლებიც ხელყოფენ მართლმსაჯულების განხორციელების წესს. სინამდვილეში, ამ თავში მოთავსებულია ისეთი დანაშაულები, რომელთაც ზემოაღნიშნულ გვარობით ობიექტთან არავითარი კავშირი არა აქვთ. მაგალითად, პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევა (საქართველოს სსკ-ის 208-ე მუხლი), თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საკამოძიებო იზოლაციორებში დაკავებულია ხანმოკლე მოთავსების ადგილებსა და შრომა-გასწორებით ან სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურებში ნივთიერებების, ნივთებისა და საგნების გადაცემის წესების დარღვევა (მუხლი 2082), გადასახლების ადგილიდან ან სამკურნალო-შრომითი, ანდა შრომა-აღმშრდელობითი პროფილაქტიკური უმდიდან გაქცევა და გასახლებულის თვითნებურად დაბრუნება (მუხლი 204) და სხვა.

ასეთ შემთხვევებში ხელყოფილია არა მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია, რომელიც ამ პირთა მიმართ უკვე აღსრულდა ან უნდა აღსრულდეს, არამედ სათანადო ორგა-

ნობის სწორი საქმიანობა და ამდენად ეს დანაშაულები ხელყოფენ ჩვენს ქვეყანაში დადგენილ მმართველობის წესს.

სამეცნიერო ლიტერატურაში დავა გამოიწვია თვით მართლმსაჯულების ცნების განსაზღვრამ, რამდენადაც ამ ცნების სწორ გაგებაზეა დამოკიდებული სისხლის სამართლის კანონით დასაცავ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლების განსაზღვრა.

ზოგიერთი მეცნიერი მნიშვნელოვნად აფართოვებს მართლმსაჯულების ცნებას სუბიექტური შემადგენლობის ხარჯზე. ცხადია, ამით სისხლის სამართლის კანონის მოქმედების სფეროც ფართოვდება. სხვები მიუთითებენ დამატებით ობიექტზე და აქედან გამომდინარე, დამნაშავეთა ქმედობის დამატებით კვალიფიკაციაზე.

ვ. გლისტინი სამართლიანად თვლის, რომ მართლმსაჯულების ობიექტის შეცდომით განმარტება გაუგებრობის შედეგია¹. მართლმსაჯულების ცნება ზუსტად არის გადმოცემული სამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლებსა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებში. იგი გამოიხატება დამნაშავეთა გამოვლენასა, უდანაშაულოთა გამართლებასა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში. სისხლის სამართალწარმოების ამოცანათა გადაწყვეტა კანონით სასამართლოს, პროკურატურას, გამოძიებასა და მოკვლევის ორგანოს აქვთ დავადებული. ამ პირთა წრით არის შემოფარგლული მართლმსაჯულების ორგანოების სუბიექტური შემადგენლობა და დასაცავ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლები.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება გამოთქმული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის დასახვეწად.

ზოგი ავტორი თვლის, რომ საჭიროა მთლიანად გარდაიქმნას კოდექსის სისტემა². სხვები კმაყოფილებიან არსებული სისტემის სრულყოფით. ისინი მიიჩნევენ, რომ ნისტემა მკაცრად გვარეობითი ობიექტის მიხედვით უნდა იყოს აგებული, ამიტომ მიზანშეწონილია ერთ თავში გავერთიანოთ სოციალისტური და პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

ზოგიერთი მეცნიერი, არ უარყოფს რა გვარეობითი ობიექტის მიხედვით სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის აგების აუცილებლობას, აღნიშნავს ამ კრიტერიუმის უქმარისობას მეცნიერულად დასაბუთებული სისტემატიზაციისათვის³. მათი აზრით, სისტემის აგებისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბრალის შინაარსსაც, კერძოდ, პირის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, რაც გამოიხატება მის მიერ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის განწარმნ ან გაუფრთხილებლობით ჩადენაში.

თუ ობიექტურად დანაშაულს შეუძლია ზიანი მიაყენოს სხვადასხვა საზოგადოებრივ ინტერესს, მაშინ პირის უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდება მხოლოდ განსაზღვრული ინტერესისადმი. აქედან მათ გამოაქვთ დასკვნა, რომ გაუფრთხილებელი მკვლელობის შემადგენლობა, სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანება, სოციალისტური ან პირადი საკუთრების გაუფრთხილებლობით განადგურება ან დაზიანება და სხვ. საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს უნდა მივაკუთვნოთ, ასეთ დანაშაულთა ჩადენისას დამნაშავე უგულვებელყოფს გაფრთხილების საერთო წესებს, ამიტომ დაზარალებულის როლში შეიძლება მოგვევლინოს არა რომელიმე კონკრეტული პირი, არამედ, ყველა ადამიანი.

მ. კორჟანსკი თვლის, რომ განსაკუთრებული ნაწილის სისტემის აგებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ კრიმინოლოგიური და პენიტენციური პრაქტიკის მოთხოვნები. მას მიაჩნია, რომ ზოგიერთი დანაშაულის გაერთიანება ჯგუფებში შეიძლება მოხდეს არა მარტო ობიექტის საფუძველზე, არამედ დანაშაულის ჩადენის განზრახვის ხასიათისა და სუბიექტის პიროვნების კრიმინოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით.

ჩვენ ამ თვალსაზრისს არ ვიზიარებთ. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის საკანონმდებლო სისტემატიზაციის საფუძველი უნდა იყოს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთგვაროვნება, რომელთა დაცვა სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს. ყოველგვარ სისტემატიზაციას, ე. ი. მთელის შემადგენელ ნაწილებად დაშლას მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა,

¹ В. К. Глистин, Проблема уголовно-правовой охраны общественных отношений, Л., 1979, с. 108.

² В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификаций преступлений, М., 1972.

³ К. Ф. Тихонов, Принцип вины и вопросы совершенствования угол. законодательства, — в кн.: Становление и развитие советского уголовного законодательства, Волгоград, 1973, с. 30.

პედაგოგიური პროცესის ქვაკუთხედი

უსიყოლობიის მისწრაფებათა დოქტორის, სსრ კავშირის პედაგოგიის მისწრაფებათა აკადემიის წევრ-პროფესორი, საბარტ-ველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გომეზაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, ნოვატორი მას-წავლავლის, პროფესორ **შალვა ამონაშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი. თბილისის ჰიკემალ მასპარიმენტულ სკოლაში, სადაც იგი მოღვაწეობს, „ამონაშვილის პედაგოგიის“ გასაცნობად ჩამოდიან არამარტო ჩვენი ქვეყნის ძალაქმებრან, არამედ საზღვარგარეთიდანაც, მისი ჟიგნები, რომლებსაც საკავშირო გამოცემამლოგები მასობრივი ტირაჟებით ბიჭავან, დიდი მოწონებით სარგებლობენ. მთელი მისი მოღვაწეობა, ჟიგნა ამასწინათ გაზეთი „ნიგნსტია“, მსახურება მხოლოდ ერთს — სასკოლო საქმის განახლებას.**

ჰშიგრობთ, ჩვენი მკითხველისათვის სინტარესო იგნება ნოვატორი პედაგოგის მოსაზრებები სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე...



— ბატონო, შალვა! ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის ეგრეთწოდებულ თქვენეულ სისტემაში რა ადგილი, როლი და მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივ აღზრდას?

— რატომ „ჩემეულ“ სისტემაში? გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ მოზარდის სამართლებრივი აღზრდა პედაგოგიური პროცესის ქვაკუთხედიცაა. დიას, სწორედ აქეთეყნა მიმართული სწავლების მთელი შინაარსი. ამ მიზნით ვასწავლით სპეციალურ საგანს — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ შედეგებს ჯერ-ჯერობით ვერ ვაღწევთ. ამაზე მერტყველებს ისიც, რომ მოზარდა დანაშაულობანი არ კლებლობს. ეს მტრად შემაშფოთებელია და, ცხადია გვმართებს მეტი ვიფიქროთ უფრო ეფექტიანი პედაგოგიური გზების მოძებნა-დამუშავებაზე. მაგალითად, დაწყებითი კლასებისათვის ჩვენი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დირექტორის ლაბორატორიის მიერ შემუშავებულ პედაგოგიურ პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სამართლებრივ აღზრდას, მაგრამ ამას ვაკეთებთ არა სპეციალური საგნის მეშვეობით, არამედ პედაგოგიური პროცესის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. კერძოდ ბავშვებს თავიდანვე ვაჩვენებთ თანამშრომლობით ურთიერთობებს. თითოეულს ვებმარებთ, რათა გაცნობიეროს, რომ ის თანატოლებს შორის ცხოვრობს და ყველას თანაბარი უფლებები აქვთ. ბავშვმა უნდა იცოდეს თუ რის გაკეთება შეიძლება და რის — არა. ამ კუთხით განიხილება ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც მათ ვასწავლით.

ბავშვს უნდა გავაგებინოთ დედააზრი იმისა, თუ რა არის კარგი და რა — ცუდი, რათა ჩამოუყალიბდეს საზოგადოებრივი შეფასების უნარი იმ მოვლენების მიმართ, რაც მის ირგვლივ ხდება. შემდეგ თანდათან ბავშვებს ვაზიარებთ ეთიკის მოთხოვნებს. ამ საგანს ჩვენ, პირობითად, ვუწოდებთ „სად როგორ მოვიქცე?“ ბავშვები ქცევის ნორმებს ეუფლებიან ასეთი თემებით: მე და უფროსები, მე და უმცროსები, მე სტუმრად მივდივარ და ა. შ. მთავარი კი ის არის, რომ ვერიდებით ვერბალურ დარღვებებს და მთელი აქცენტი გადავავლებს ქცევის გამომუშავების პრაქტიკულ ვარჯიშზე, რადგან სწორედ პრაქტიკა მოწმობს, რომ ბავშვები ერთი განმარტებით როლი ეუფლებიან ამა თუ იმ ქცევას. ამიტომ ჩვენი საქმიანობის ამოსავალი „ხომ გითხარი, ასე არ გააკეთო!“ კი არ უნდა იყოს, არამედ მათი სისტემატური ზნეობრივ-ეთიკური ვარჯიში. სამწუხაროდ, ადრე ასე არ ვიქცეოდით. ახლა კი ბავშვებს კლასშივე ვავარჯიშებთ კარგი ქცევის გამოვლენაში, ურთიერთპატივისცემაში, გულისხმიერებაში, თავზიანობაში, სამართლიანობაში. ამის შემდეგ მათ აღარ უჭირთ, რომ ეს ჩვევები გამოავლინონ დერეფანში, ქუჩასა თუ ეზოში. პედაგოგიურ პროცესში აღზრდის სხვა ხერხებსა და საშუალებებსაც ვიყენებთ, მაგრამ ახლა მათზე არ შეგჩერდები და ვიტყვი, რომ მთელი ჩვენი საქმიანობის მიზანი ერთია: გამოვუმუშაოთ ბავშვებს სამართლიანობის, ობიექტურობის გრანობა, რომ თითოეულმა მათგანმა შეისისხლხორცოს — აღმიანი ადამიანისათვის არსებობს. ცხადია, თუ ამას დაწყებით კლასებში მივაღ-

წევთ, მაღალ კლასებში იგი უკვე მზად იქნება, რათა სამართლისა და სამართლიანობის სოციალურ აზრს უფრო ღრმად ჩასწვდეს.

— სიტყვამ მოიტანა და გვინტერესებს თქვენი აზრი მაღალ კლასებში სამართლის საფუძვლების სწავლების სადღეისო ვითარებაზე; რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უფრო ეფექტური გახდეს ამ კურსის სწავლება?

— დიახ, ჩვენი სურვილია მოზარდი დაუფლოს სამართლიანობას, მაგრამ რას ნიშნავს ეს? მ. კლინიჩმა კარგად შენიშნა, მოზარდებს თავიანთი სამართლებრივი კოდექსი აქვთო. მართლაც, თუ ბავშვს „ხუთი“ უნდა, მაგრამ მასწავლებელმა „სამი“ დაუწერა, მის მიაჩნია, რომ მასწავლებელი უსამართლოა. ანდა ავიღოთ ცნობილი მაგალითი: კლასში გატყდა ფანჯარა. სამწუხაროდ, მასწავლებელთა უმრავლესობა კლასს მაშინვე ასეთი კითხვით მიმართავს: — ვინ გატყნა ფანჯარა?! განა იტყვიან, თუ ვინ გატყნა? დავუშვათ ვინმემ თქვა, ეს კი გაცილებით ცუდია, რადგან მათ თავიანთი სამართლებრივი კოდექსი გააჩნიათ — გამცემი დასჯის ღირსია და დასჯიან კიდევ, როცა მასწავლებელი თვალს მიეფარება. იმის ნაცვლად, რომ გავერკვეთ ამ და სხვა მსგავსი მოვლენის არსში, მის გამოიწვევს საფუძვლებში, ვცდილობთ ერთი დამსმენად ვაქციოთ, მეორე კი — დამნაშავედ. ეს ცხადია, ყოველდღე გაუმართლებელი მეთოდია. ბავშვი რომ სამართლიანობის არსს ჩასწვდეს, უწინარესად, მიმაჩნია, რომ მან საკუთარი ზნეობრივი, მის წრეში დამკვიდრებული მორალური კოდექსის ზღვარი უნდა გადალახოს, ჩემი აზრით კი, ამ საქმეში საგანი — „სახბოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ — ბავშვს სათანადოდ ვერ ეხმარება, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული ბავშვის საკუთარი მორალური და სამართლებრივი კოდექსი და სპეციფიკის გარეშე პირდაპირ იძლევა იმ ნორმებს, რაც საზოგადოებაშია დამყარებული. დასაბეჭდი ამ მასალის მიწოდების ფორმაც, ვფიქრობთ, შესწავლის, დახსოვების ფორმაც, იმპერატიული ფორმა უნდა შეიცვალოს დისკუსიებით, კამათით, რათა ბავშვმა თვითონ გამოიყვანოს იმ საზოგადოების მორალური ნორმები, რომელშიც ცხოვრობს. ჩემი აზრით, სწორედ ასე უნდა ჩამოვყალიბოთ ბავშვის ზნეობრივი, მორალური სახე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელში შეგვრჩება კიდევ ერთი იძულებით დასაზუსტო საგანი. ამდენად, გარდასაქმნელია სწავლების ფორმა, ფართო გზა უნდა მივცეთ დემოკრატიციას, საჯაროობას, თანამშრომლობით ურთერთობებს, როცა ყველა, მათ შორის მასწავლებელიც, თანასწორია. გავიხსენოთ მარქსის სიტყვები, როცა მან ერთ-ერთი პრობა-

განდისტი გააკრიტიკა. ის რომ სწორად მოქცეულიყო, თქვა მან, თავის მოწაფეებს ეტყოდა: ამ საკითხზე არსებობს ორი აზრი, მე ჩემი აზრი არა მაქვს, ხომ ვერ გაარკვევთ თავად თუ ვინ არის ამ ორში მართალი? თუ ასე მოიქცეოდა, დასძენს მარქსი, მაშინ, ჯერ ერთი, მოწაფეები მიიღებდნენ სასარგებლო ინფორმაციას, მეორე მხრივ, მიეცემოდათ ბიძგი დამოუკიდებელი აზროვნებისათვის.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: ბავშვებს უნდა მივცეთ საშუალება, რათა არკვიონ ის მოვლენები, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ეს იქნება დანაშაული თუ კარგი ქცევა... ამ უკანასკნელსაც ხომ სჭირდება თავისი სამართალი, ჩვენ კი, სამწუხაროდ, დანაშაულს ვაზვიადებთ, კარგ საქციელს კი, ხშირად, თვალს ეუხუქავთ.

დაბოლოს, თუ სითამამედ არ ჩამომართმევთ, მიმაჩნია, რომ ბავშვს ჯერ უნდა ვასწავლოთ არა სამართლის საფუძვლები, არამედ პოქალაქეობაში მთმოდნეობა, მოქალაქეობა, ადამიანობა — მეტად ფართო გაგებით. დიახ, ადამიანი ადამიანთა შორის — აი, ეს უნდა ვასწავლოთ ბავშვებს უფრო ადრეული ასაკიდან. სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს თითოეული პედაგოგის მთელი საქმიანობა.

— თუ თვალს ადევნებთ, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე უკვე მესამე წელია იბეჭდება ელუარდ ყიფინიასა და თამაზ შავგულაძის ნაშრომი „ქმნა მართლისა სამართლისა...“, რომელსაც შეიძლება „სახალისო სამართალიც“ ვუწოდოთ. როგორც სარედაქციო ფოსტა მოწმობს, ამ პუბლიკაციებმა თურმე ხელი შეუწყო სკოლებში სამართლებრივი საფუძვლების სწავლების გაუმჯობესებას. თქვენ რას იტყვით ამის კოაბაზე?

— დიახ, ვადევნებ თვალს და ვიტყვი, რომ სასურველია ამ ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა. ეს იქნება მშვენიერი საკითხავი წიგნი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რადგან მასში სამართლის საფუძვლები გახსნილია კონკრეტული მაგალითებით, ლოგიკური მსჯელობით. ბავშვებს საშუალება ეძლევათ თვითონ გააკეთონ დასკვნები, იდაონ, იმსჯელონ, იქონიონ განსხვავებული აზრი. ეს კი უთუოდ კარგ შედეგს გამოიღებს. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ სკოლებში სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებაში ასეთმა მასალამ გარკვეული ადგილი უნდა დაიკავოს. მასწავლებლებმა ეს საგანი უნდა გაამდიდრონ ამ მშვენიერი მოთხრობების ციკლით, ხშირად მოაწყონ დისპუტები, დილოგები, გარჩევები... გახსოვთ, ალბათ, ადრე გვქონდა აღზრდის ერთი საინტერესო ფორმა, რომელიც, სამწუხაროდ მივივიწყეთ. ეს იყო ლიტერატურული გმირების გასამართლება. ვირჩევდით მოსამართლე-

ებს, მსაჯულებს, პროკურორებს, დამცველებს და კლასში ვაწყობდით საჯარო გასამართლებას. ჩემი აზრით, ეს ამდიდრებდა მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის შინაარსს.

— ყოველთვის, როცა კი სკოლაში ფეხი შემიდგამს, თვალში მცემია მოჩხუბართა რამდენიმე წყვილი ან ჯგუფი. თქვენ ერთხელ თქვით, რომ ერთმანეთისადმი „აგრესიულად“ განწყობილი ყმაწვილების „საშინაო“ საქმეებში უფროსები ნაკლებად უნდა ერეოდნენო, უმჯობესია ისინი განვაცალკევოთ, რათა თვითონვე გაარკვიონ ურთიერთობა და შემდეგ აუცილებლად შერიგდებიანო. ვაითუ, ასეთ „განცალკევებას“ და „დამოუკიდებლობას“ სავალალო შედეგი მოჰყვება?

— ვერ წარმომიდგენია სკოლა, მოჩხუბარი ბავშვების გარეშე. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი სკოლა არ მეგულება. დიახ, ბავშვებს ბუნებრივი მოთხოვნილება აქვთ საკუთარი ძალების გამოცდისა, ლიდერობის დამკვიდრებისა. როცა ვამბობ, ბავშვებმა თავიანთი ურთიერთობები თავადვე გაარკვიონ-მეთქი, იმას კი არ ვგულისხმობ, ერთმანეთისთვის ცხვირ-პირი დავამტვრევივით, „აგრესორს“ კი პასუხი არ მოვთხოვთ. მე იმ შემთხვევებზე ვამახვილებდი ყურადღებას, როცა ბავშვების ჩხუბში მშობლები ერევიან და მერე თვითონ იწყებენ ურთიერთანგარისის სწორებას, მაშინ, როცა ბავშვები მალევე რიგდებიან, მშობლები კი კარგა ხანს, თუ სამუდამოდ არა, უბრაოდ რჩებიან. განა ეს მოსაწონია? ცხადია, ყველა ფეხზღად უნდა ვიყოთ, რომ ბავშვების კინკლაობა ერთმანეთისადმი დაუნდობლობაში არ გადაიზარდოს და დროზე გავაშველოთ, მაგრამ შემდეგ გამოძიება კი არ უნდა გავმართოთ, არამედ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რათა მათი გაბზარული მეგობრობა უმტკივნეულოდ აღვადგინოთ. ამ მიზნით დაწყებით კლასებში ასეთი წესი შემოვიღეთ (ვეფქრობთ, ეს უფროსკლასელებთანაც გაამართლებს): მოჩხუბარ პატარებს თავისუფალ საკლასო ოთახში პირისპირ ვტოვებთ და ვავლებთ — აბა, შერიგდით და უფრო უკეთესი მეგობრები გახდით. ამისათვის კი ზუთ წუთს ვაძლევთ. რას ეუბნებიან იქ ერთმანეთს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შემდეგ ბავშვები მეგობრობას აგრძელებენ.

ისე, კაცმა, რომ თქვას, ამ პრობლემის გადაჭრის შესანიშნავი რეზერვი გავაჩნია, რომელსაც, ჭერჭერობით, სათანადოდ ვერ ვიყენებთ. რატომ არ შეიძლება, რომ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე ბავშვებს ერთმანეთთან ჰიდლიში დავუქმავთ ილიოთა ენერჯის გამოკვლევის მოთხოვნილება. მოვაწყოთ, მაგალითად, შეჯიბრებები ჰიდაობაში, ვასწავლოთ ბავშვებს ჩხუბში თავდაცვითი ელემენტები, სუს-

ტისადმი გამოკომაგება. ვეფქრობთ, ეს მეტად საპირო და ვადიდებელი საქმეა.

— არც თუ იშვიათად, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მოზარდი გულწრფელად აღიარებს ხოლმე: „არ ვიციოდი თუ ჩემი ასეთი მოქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდაო“. მართალია, კანონის არცოდნა პასუხისმგებლობისაგან არავის ათავისუფლებს, მაგრამ იგივე კანონის ცოდნა, დანაშაულის პროფილაქტიკის კარგი საფუძველია. თქვენ რას იტყვით ამის თაობაზე?

— რასაკვირველია, როცა იცი თუ რის უფლება გაქვს და რისი არა, ცდილობ არ ჩაიღიწიო ის, რისთვისაც დაისჯები. დიახ, სწორად ბრძანეთ, რომ კანონის ცოდნა პროფილაქტიკისათვის კარგ პირობას ქმნის, მაგრამ თუ მოზარდებს კანონის ცალკეულ საკითხებს განვუმარტავთ მკაფიო მაგალითების მოშველიებით, ცხადია, უკეთეს შედეგს მივაღწევთ. თუმცა არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ მხოლოდ კანონის ცოდნას ყოველთვის როდღი მოაქვს სასურველი ეფექტი, რადგან ერთია, რა იციან და, მეორეა, რა უნდათ, ამიტომ არის, რომ არცთუ იშვიათად, წინა პლანზე სწორედ ეს „მინდა“ დგება, ამდენად, მთელი ჩვენი ძალისხმევა უნდა წარმართოთ იქითკენ, რომ მოზარდის ცნობიერებაში გაჩენილი ეს არასასურველი „მინდა“ თანდათან, ფრთხილად გავაფერმკრთალოთ და შევეუხამოთ იგი საზოგადოებრივ მოთხოვნებს, ე. ი. შეძლებისდაგვარად უნდა დავუქმავთ ილიოთ ის მოთხოვნილებანი, რაც საზოგადოებრივად მისაღებია, დანარჩენი კი მეტად გონივრულად და ტაქტიანად უნდა ავკრძალოთ, ერთი სიტყვით, მთელი სისრულით უნდა გამოვიყენოთ მოზარდებთან თანამშრომლობითი პედაგოგიის ფართო შესაძლებლობანი.

— როგორც ვიცით, შინაგან საქმეთა ორგანოებში ფუნქციონირებენ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციები, რას იტყვით მათი საქმიანობის შესახებ?

— სამწუხაროდ, ამ ინსპექციების მუშაობას კარგად არ ვიცნობ, ამიტომ რაიმე კონკრეტულის თქმა მიჭირს. ერთი კი ცხადია: ჩვენი ინსტიტუტის პედაგოგიზაციის კაბინეტში ხშირად მოდიან მშობლები რჩევა-დარიგებისათვის — ბავშვი სახლიდან გაგვეპარა, იქურდა ან უხეშად გვექცევით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ინსპექციებისა და სახლმმართველობების ბავშვთა ოთახების თანამშრომლები სათანადოდ, ქმედით კონტაქტებს ვერ ამყარებენ ოჯახებთან. უამისოდ კი ეს რგოლები სასურველ სამსახურს ვერ გაუწევენ ბავშვთა აღზრდა-გარდაქმნის საქმეს.

— ამასწინათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბ-

ლიკის ახალგაზრდობის სამართლებრივი კულ-
ტურის ჩამოყალიბებისათვის მუშაობის გაუმ-
ჯობესების ღონისძიებათა საკითხი. ითქვა, რომ
„ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს, გან-
საკუთრებით არასრულწლოვანებს, რეალურად
ვერ წარმოუდგენიათ კანონის სოციალური რო-
ლი, სამართალი მიაჩნიათ ფორმალური აკრძალ-
ვებისა და შეზღუდვების სისტემად. თქვენი აზ-
რით, ასეთი ვითარების მკვეთრად გაუმჯობე-
სების საქმეში რა როლი უნდა ითამაშოს სკო-
ლამ?

— მართო სკოლას ნუ ვიტყვი, რადგან მხო-
ლოდ სკოლა გადამწყვეტ როლს ვერ შეასრუ-
ლებს ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდა-
ში. უნდა ვილაპარაკოთ ოჯახის, სკოლის და
მთელი საზოგადოების ერთობლივ როლზე,
მათ გავერთიანებულ მოქმედებაზე. მართალია,
სკოლა მოზარდს აძლევს სამართლის საფუძვლე-
ბის გარკვეულ ცოდნას, მაგრამ ოჯახში, კუჩაში,
საზოგადოებაში არცთუ იშვიათად ხედავს სრუ-
ლიად საწინააღმდეგოს. იქმნება დისონანსი,
ბავშვის გონებაში ისაღვრება ეჭვი, ზოგჯერ
ურწმუნობაც, ეს კი მეტად უარყოფითად მოქ-
მედებს მის მოქალაქედ ჩამოყალიბების პრო-
ცესზე. გამოდის, რომ სკოლის მიერ კეთილად
დაწყებულ საქმეს ხშირად ვერ აღრმავებს ოჯა-
ხი, საზოგადოება, სწორედ ამას ვგულისხ-
მობდით, რტა სკოლის, ოჯახისა და მთელი
საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობის გან-
მტკიცებაზე ვამახვილებდი ყურადღებას. გა-
დაუდებელ საქმედ მესახება ის, რომ საზოგად-
ოების თითოეულმა წევრმა შენიშვნებისა და
თითის ქნევის ნაცვლად, ახალგაზრდობას უჩ-
ვენოს პატიოსნების, დიდსულოვნებისა და ჭეშ-
მარტი მოქალაქეობრიობის პირადი მიაგალით.

— მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის საქ-
მეში, ცხადია, განუზომლად დიდი მნიშვნელობა
ენიჭება მასობრივ ინფორმაციას. ამ მიმართე-
ბით როგორ გესახებათ უფრნად „სახეოთა სა-
მართლის“ როლი, კონკრეტულად რა უნდა
იღონოს რედაქციამ, რათა ქმედითი დახმარება
გაუწიოს პედაგოგებს მოსწავლეთა სამართლებ-
რივი აღზრდის გაუმჯობესების საქმეში?

— უფრნალმა ერთი სასარგებლო რამ უკვე
გააკეთა და ძალიან კარგადაც. მხედველობაში
მაქვს მოთხრობათა ციკლი „ქმნა მართლისა სა-
მართლისა...“, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ
უფრნალს უფრო მეტის გაკეთებაც ხელეწიფება.
რატომ არ შეიძლება დაიბეჭდოს სტატიების
ციკლი მშობლებისათვის? განა ყველა მშობელმა
იცის თავისი უფლებები, მოვალეობები? განა არ

უნდა დავეხმაროთ მშობლებს, რათა აიმაღლონ
პასუხისმგებლობის გრძობა საკუთარი შვილის
მომავლისა და მთელი ქვეყნის წინაშე? ასეთი-
ვე საუბრების გამართვა შეიძლება პედაგოგე-
ბისთვისაც. მათ ხომ მხოლოდ ის არ მოეხთხ-
ვებათ, რაც სახელმძღვანელოებში წერია, სა-
ჭიროა იცოდნენ თუ როგორ ვითარდება საბ-
ქოთა სამართალი, ეროვნული იურიდიული აზ-
როვნება, როგორ იზადება ახალი სამართლებრი-
ვი ნორმები და სხვ. ამ საკითხების მოგვარე-
ბა, ცხადია, ხელს შეუწყობს სამართლებრივი
აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას.

— თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით „გაგვან-
დეთ“ თქვენი სამომავლო გეგმები?

— ჩემი სამომავლო გეგმები, ერთი შეხედვით,
უშუალოდ სამართლებრივ აღზრდას არ ეხება,
მაგრამ ის, რის გაკეთებასაც ჩვენ ვაპირებთ,
ემსახურება მოზარდის სწორად აღზრდის მთლი-
ან პროცესს. სამართლებრივი აღზრდა კი, რო-
გორც უკვე ვთქვით, საერთოდ აღზრდის ქვა-
კუთხედიანია. ახლა კონკრეტულად: ჩვენი ინსტი-
ტუტი ამჟამად რთული გარდაქმნის წინაშეა.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-
მიტეტის 1987 წლის 13 იანვრის დადგენილე-
ბით იქმნება ექსპერიმენტული სამეცნიერო-სა-
წარმოო პედაგოგიური გაერთიანება, რომლის
მეთაური ორგანიზაცია პედაგოგიის მეც-
ნიერებათა ინსტიტუტია. გაერთიანების მიზან-
ი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ
მეცნიერება და პრაქტიკა ერთ მთლიანო-
ბაში მოაქციოს, მეცნიერება მჭიდროდ დაუკავ-
შიროს სკოლას, ცხადია, ეს გარკვეულად შეც-
ვლის მეცნიერის პოზიციას, კერძოდ, მეცნიე-
რი, რომელიც ამუშავებს თემას აღზრდისა და
სწავლების საკითხებზე, ვალდებული იქნება თა-
ვისი თეორიული თვალსაზრისი გვიჩვენოს კონკ-
რეტულ პედაგოგიურ პროცესში. რა თქმა უნდა,
ამით მკვეთრად შეიცვლება კვლევის შინაარსი
და მეცნიერული დებულებების პრაქტიკაში და-
ნერგვის პროცესი. სხვათადაც, ღრმად მწამს,
რომ სასკოლო რეფორმის საქმე წინ ვერ წაი-
წეებს ჩემთვის, როგორც ამ გაერთიანების ხელ-
მძღვანელისათვის, ამაზე უფრო საპატიო და
რთული ამოცანა, ამჟამად არ არსებობს.

— ბატონო შალვა! ნება მიბოძეთ, ჩვენი
უფრნალის სარედაქციო კოლეგიისა და მრ-
ავალთახიანი მკითხველის სახელით დიდი მად-
ლობა გადაგინადოთ სინტერესო და გულახდი-
ლი საუბრისათვის.

ესაუბრა: გელა ზემქინიშვილი.

რვანი საბრძოლო ამოხანა

ბაბღურ ბანტურიშვილი,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საქუთრების
მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი,
მილიციის პოლკოვნიკი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სტრატეგიული კურსის განხორციელება გარკვეულწილად დამოკიდებულია შინაგან საქმეთა ორგანოების სოციალისტური საქუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატების ეფექტიან მუშაობაზე, რომლებსაც სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ევალებათ სახელმწიფო ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის და სხვა არაშრომითი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია.

მართალია, შინაგან საქმეთა ორგანოები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ უშრომელი შემოსავლების აღმოფხვრას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულება, ამ მიმართებით დავსახეთ და ვახორციელებთ მთელ რიგ კომპლექსურ ღონისძიებებს. კერძოდ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საქუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო სისტემატიურად ახორციელებს ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ადგილობრივი შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა ძალების მობილიზება და კოორდინაცია, რათა უფრო ქმედითი განდეს უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლა.

სახალხო მეურნეობის მსხვილ ობიექტებზე გულდასმით ვსწავლობთ სოციალისტური საქუთრების დაცვისა და უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას, ვავლენთ საქმოსნებს და იმ პირებს, რომლებიც ნდობას არ იმსახურებენ. სამინისტროებთან, უწყებებთან, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად ვახორციელებთ პროფილაქტიკურ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს.

1987 წელს გატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვავლინეთ და პასუხისგებაში მივეციეთ დამტაცებელთა მრავალი ჯგუფი, მექრთამე და გამოძალაველი. გასულ წელს ვამხილეთ ოჩამჩირის რაიონის საკონსერვო ქარხნის წველების საამქროს უფროსი ზ. ვ. აბრამიშვილი, რომელსაც შემოწმებით აღმოაჩნდა 9912 მანეთის ღირებულების 793 კგ. აღურიცხავი ლიმონწყავა, 8094 მანეთის 10377 კგ. შაქრის ფხენილი, 105064 მანეთის მანდარინის წველისა და 200 000 მანეთის 500 ტონა მანდარინის დანაკლისი; სულ დანაკლისმა შეადგინა 464505 მანეთი.

ვაძიებთ პროცესში ზ. ვ. აბრამიშვილთან ერთად პასუხისგებაში მივეციეთ საკონსერვო ქარხნის ყოფილი დირექტორი ა. ს. დოჩია, წარმოების უფროსი რ. გ. ციკოლია და საწყობის გამგე ვ. ჩ. აშუბა, რომელთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სსკ96¹ მუხლით. ამავე ფაქ-

ტან დაკავშირებით სსკ 96 მუხლით პასუხისგებაში მიეცით ოჩამჩირის დამზადების კანტორის 7 დამამზადებელი: მ. პ. კვაჭახია, შ. კ. ლოგუა, ტ. ო. ცვიუბა და სხვები, რომლებმაც უსაქონლო ოპერაციების განხორციელებით მიითვისეს 1.824.491 მანეთის სახელმწიფო სახსრები; პასუხი უნდა აგონ აგრეთვე გალის რაიონის დამზადების კანტორის ექვსმა დამამზადებელმა: ნ. პ. ლოგუამ, მ. პ. ჩარგანიამ და სხვებმა, რომლებმაც დაიტაცეს 140050 მანეთი ე. ი. ორივე ჯგუფმა სახელმწიფოს მიაყენა 1.964541 მანეთის ზარალი.

გასულ წელს დაგვავეთ მცხეთის რაიონის მომხმარებელთა საზოგადოების საქონელმცოდნე ა. ა. მოძმანაშვილი, რომელმაც კრასნოდარის მხარის ქ. ტიხორეცკის დამზადების ბაზიდან მიიღო 17154 მანეთის ლირებულების 9530 კგ. დაკლული გოჭები და ფიქტიური დოკუმენტაციის გაფორმებით მცხეთის მომხმარებელთა საზოგადოების 22-ე მალაზიის მეშვეობით გაყიდა ნაცვლად 2 მანეთისა 3 მანეთად და 50 კაპიკად, ხოლო თანხის სხვაობა 14295 მან. უნდა მიეთვისებინა. სახალხო სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1987 წლის ივლისში საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის მეასამე წაწილით პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატის მე-17 საწყობის გამგე ზ. კ. გოგიბერიძე და სახამებლის გადამამუშავებელი საამქროს უფროსი მ. პ. კოტარია, რომლებმაც წინასწარი მოლაპარაკებით, 800 ტონა კარტოფილზე უსაქონლო ოპერაციის განხორციელების შედეგად მიითვისეს 120000 მანეთი.

გასული წლის ოქტომბერში ვამხილეთ დანაშაულებრივი ჯგუფი ქ. თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მზა პროდუქციის საწყობის გამგის კ. მ. შოთაძის, ქ. თბილისის ავტოკოლონა № 2663-ის მძღოლ-ექსპედიტორის რ. კ. ქალდანის, საბურთალოს რაიონის კვებვაჭრობის № 2 მალაზიის გამყიდველის კ. ი. ჭითანავას და ამავე მალაზიის გამგის ჯ. დ. ხორავას შემადგენლობით, რომლებმაც წინასწარი მოლაპარაკებით შამპანური ღვინოების ქარხნიდან აღნიშნულ მალაზიაში სათანადო დოკუმენტაციის გარეშე შეიტანეს 19500 მანეთად ლირებული 3000 ლიტრი შამპანური. ჩატარებული აღწერის შედეგად შამპანური ღვინოების ქარხნის მზა პროდუქციის საწყობის მატერიალურ-პასუხისმგებელ პირს კ. მ. შოთაძეს აღმოაჩნდა 3008 ლიტრი შამპანურის დანაკლისი.

სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სახელმწიფო ქონების დატაცების და სხვა სამართალდარღვევათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ საუწყებო სარევიზიო აპარატები ხშირად შემოწმებებს აწარმოებენ ზერელედ და ფორმალურად. უფრო მეტიც, საკონტროლო ორგანოების ზოგიერთი უღირსი მუშაკი ანგარების მიზნით საკონტროლო-სარევიზიო შემოწმებების ჩატარების დროს შეგნებულად ფარავს დანაშაულს. მაგალითად, ქ. თბილისის სამეურნეო ვაჭრობის № 53 მალაზიაში (გამგე ფოცხვერაშვილი) გამოვავლინეთ 89289 მანეთის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი. დადგინდა, რომ ამ მალაზიაში ადრე ჩატარებული აღწერით აღნიშნული დანაკლისი გამოვავლინა თბილისამეურნეო ვაჭრობის რევიზორ-ინვენტარიზატორმა ნ. ა. ბეზარაშვილმა, რისთვისაც ქრთამის სახით აიღო 700 მანეთი. ცხადია, ამ მძიმე დანაშაულისათვის საკადრისად დაისჯება.

მექრთამეობაში ვამხილეთ აგრეთვე ახალციხის ქალაქვაჭრობის რევიზო-

რი გ. მ. მეტრეველი, ქ. თბილისის კალინინის რაიონის დარგთაშორისო ტერიტორიალური გაერთიანების მუშაკები დ. ლ. ნადარეიშვილი, ვ. ზ. კერესელიძე და სხვები.

გასულ წელს გამოვავლინეთ 800 ათასი მანეთის ოდენობის მიწერის ფაქტები გუდაურის სპორტული კომპლექსის მშენებლობის დროს, რომელსაც აწარმოებდა ცეკავშირის „კოოპმშენის“ ქ. თბილისის მოძრავ-მექანიზებული კოლონა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ობიექტზე ჩვენამდე საკონტროლო აზომვები ჩაატარეს ქ. თბილისის კალინინის სახელმწიფო ბანკის მუშაკებმა, მაგრამ მიწერები არ გამოუვლენიათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სამუშაოთა მწარმოებლის ი. ი. თეთრუაშვილის მიმართ.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით რესპუბლიკის სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატები ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და სახალხო მეურნეობის იმ სფეროებს, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი აღნიშნული სახის დანაშაულობანი. სწორედ ჩვენი მუშაობის გააქტიურების შედეგია ის, რომ 1987 წელს გამოძალგელებს და მექრთამეებს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვათ ფული, ქონება და სხვადასხვა ფასეულობა, რამაც 300 000 მანეთზე მეტი თანხა შეადგინა, ხოლო 1383232 მანეთზე მეტი ღირებულების ქონებას ყადაღა დაედო.

ქ. თბილისის № 106 სახლმმართველობის პასპორტისტმა ნ. ს. რაზმაძემ, ქრთამის სახით აიღო 8 ათასი მანეთი, თითქოსდა თანამდებობის პირებისათვის გადასაცემად კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში აღრიცხვაზე აყვანისათვის. სახალხო სასამართლოს მიერ მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის № 87 კათედრის ლაბორატორიის გამგე ტ. ვ. მედულაშვილი და № 41 კათედრის ლაბორანტი ლ. დ. კობახიძე, რომლებმაც აბიტურიენტთა მშობლებს თითქოსდა მათი შვილების აღნიშნულ ინსტიტუტში ჩარიცხვისათვის გამოსძალეს 31.000 მანეთი. მათ სხვადასხვა ვადით აღეკვეთათ თავისუფლება.

ფულის გამოძალვის ფაქტზე დავაკავეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კურორტების სამმართველოს საკურორტო მომსახურების ბიუროს მთავარი ბუღალტერი ნ. ი. გორელაშვილი, რომელმაც თითქოსდა კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში დახმარების აღმოჩენის და თანამდებობის პირებზე ქრთამის გადაცემის მიზნით გ. ნ. ჩხაბერიძეს ორჯერ გამოსძალა ფული 15.000 მანეთის და 47.000 მანეთის ოდენობით, ხოლო სხვადასხვა პირებს 180.000 მანეთი.

მექრთამეობისათვის ვამხილეთ თელავის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი ზ. შ. ლომიძე, რომელმაც 1200 მანეთი გამოსძალა გომილ-ოღლის ჯანმრთელობის შესახებ ცნობის გაცემისათვის.

მიმდინარე წლის იანვარში ფულის გამოძალვის ფაქტზე დავაკავეთ კალინინის რაიონის კვებვაჭრობის № 5 გასტრონომიული მაღაზიის სექციის

გამგე ა. ა. მარქარიანი, რომელმაც 200 მანეთი გამოართვა უმცროს გამყიდველს მ. ა. ფანცულაიას მისი სამუშაოზე დატოვებისათვის, თანაც იმ პირობით, რომ ყოველ მის ცვლში მუშაობის დროს გადაუხდინდა მას ამავე თანხას.

უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში რესპუბლიკის სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატები უმთავრეს ყურადღებას უთმობენ დანაშაულის პროფილაქტიკას, სახელმწიფო ქონების დატაცების, მექრთამეობის და სხვა სახის სამეურნეო დანაშაულობათა ხელშემწყობი პირობების დროულად გამოვლინებასა და აღკვეთას.

ამასთან, პრაქტიკაში დავნერგეთ სამინისტროების უწყებების, გაერთიანებებისა და მსხვილი ობიექტების ხელმძღვანელებთან პერიოდული გასაუბრებები, ოპერატიულად ვაცნობთ მათ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში არსებულ ოპერატიულ ვითარებას, ვუთითებთ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შეიძინევა საუწყებო საკონტროლო ორგანოების მუშაობაში.

ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ვახორციელებთ მოსავლის აღება-დაბინავების პერიოდში. ამის შედეგად აღკვეთეთ 200-ზე მეტი სხვადასხვა სამეურნეო დანაშაული, ამოღებულია და სახელმწიფოს ჩაბარდა 500 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან „ცეკავშირთან“, სახალხო კონტროლთან და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლებთან ერთად ვატარებთ მოულოდნელ შემოწმებებს, რომელთა შედეგადაც ვაჭრობის ობიექტებში გამოვლინდა 100 ათას მანეთზე მეტი გადამალული დეფიციტური საქონელი.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პროფილაქტიკურ მუშაობას ჯერ კიდევ აკლია ღრმა სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზი. „სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონის მოქმედებაში შესვლასთან დაკავშირებით საჭიროა გადაისინჯოს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ოპერატიული ვითარების გაჯანსაღებასთან, რაც არა მარტო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატების, არამედ რესპუბლიკის სხვა სამინისტროებისა და უწყებების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონის განხორციელებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში დღეისათვის გაცემულია კოოპერატივების შექმნის 1235 ნებართვა, მათგან უკვე ფუნქციონირებს 679 კოოპერატივი, რომლებშიც გაერთიანებულია 9223 კაცი. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთი საქმოსანი და კომბინატორი კოოპერატივს იყენებს ანგარებითი მიზნებისა და იოლი გამდიდრებისათვის. ამ დანაშაულებრივ საქმეში ისინი ზოგჯერ ზოგიერთ თანამდებობის პირსაც კი ითრევენ. მაგალითად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მივეცით ახმეტის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. ნაცვლიშვილი, რომელმაც პურის საცხობის კოოპერატივის გახსნის ნებართვის გაცემისათვის ქრთამის სახით აიღო 700 მანეთი.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონში შეიქმნა კოოპერატივი „კეთილი შრო-

მა“; რომლის თავმჯდომარედ დაამტკიცეს 1918 წელს დაბადებული ბ. ა. კიკნაველიძე, რომელიც ადრე რამდენჯერმე იყო ნასამართლელი, იგი დანაშაულებრივად დაუქავშირდა გარდაბნის რაიონის მცხოვრებ ბ. ა. მამედოვს და სხვებს, ხელშეკრულება გააფორმეს მახარაძის რაიონის ჩაის ფაბრიკის გენერალურ დირექტორთან, რომლის თანახმად მათთვის უნდა დაემზადებინათ 30 ათასი ცალი ცოცხი, რისთვისაც ჩაის ფაბრიკას უნდა გადმოერიცხა 37.500 მანეთი. ჩვენი დროული ჩარევის შედეგად სახელმწიფო სახსრების დატაცების მცდელობა აღიკვეთა.

თბილისკოოპერატივის სავაჭრო-შემსყიდველი კოოპერატივის „საბურთალოს“ სექციის გამგემ მ. ბ. კობალეიშვილმა და ამავე კოოპერატივის დამამზადებელმა, ადრე ორჯერ ნასამართლევმა ი. ო. კიკვიძემ დანაშაულებრივი კავშირი დაამყარეს და გლეხებისაგან 782 მან. და 50 კაპიკად შეისყიდეს 335 კგ ბადრიჯანი და 120 კგ ბულგარული წიწყა. 1 კგ-ში გადაიხადეს 1 მან. და 50 კაპიკი. ანგარიშსწორება კი მოახდინეს მაღაზიის სალაროდან სათანადო საბურთების გაფორმების გარეშე, პროდუქციის მაღაზიაში შეტანის შემდეგ. კიკვიძე და კობალეიშვილი შეუდგნენ აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციას — 1 კგ. 2 მანეთად, ისე, რომ შემოსავალში არ აულიათ. შემოწმებისას მათ აგრეთვე აღმოაჩნდათ ანალოგიური გზით და სათანადო საბურთების გაფორმების გარეშე მაღაზიაში შეტანილი 15.000 მანეთის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, გარდა ამისა, ცვლის დამთავრების და ნავაჭრი თანხის ინკასოზე ჩაბარების შემდეგ გადამალული აღმოჩნდა 21567 მანეთი. მ. ბ. კობალეიშვილის განმარტებით, ვინაიდან გეგმა უკვე შესრულებული ჰქონდათ ეს თანხა ნავაჭრის სახით სალაროში შემდეგ თვეში უნდა შეგვეტანათ, რაც ცხადია, საფინანსო-საკასო დისციპლინის უხეში დარღვევაა.

ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგად კოოპერატივ „საბურთალოში“ აღმოჩნდა 6588 მანეთის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი.

როგორც რეალური ვითარების ანალიზი გვიჩვენებს ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის კოოპერატივების შექმნაზე ნებართვების გაცემის საკითხი, კერძოდ, ეს ხდება სათანადო დამხმარე მეურნეობების გარეშე, რის გამოც კოოპერატივები საჭირო პროდუქტებს იძენენ საკოლმეურნეო ბაზრებში, რაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების მკვეთრ გაზრდას.

ვფიქრობთ, საჭიროა უმოკლეს პერიოდში გადაწყდეს კოოპერატივებისათვის ნედლეულის ბაზის შექმნის საკითხი, პირველ რიგში, ეს ეხებათ საზოგადოებრივი კვების სისტემაში შექმნილ კოოპერატივებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დასახული საბრძოლო ამოცანის სრულყოფილად გადაჭრის მიზნით საჭიროა სისტემატურად ვაანალიზებდეთ სოციალისტური ქონების დაცვის მდგომარეობას სახალხო მეურნეობის ცალკეულ ობიექტებზე; ამასთან, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უნდა დავსახოთ სახელმწიფო ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის და სხვა უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი.

ნარკომანიასთან ბრძოლის აქტუალური პრობლემები

ჯემალ ჯანაშია,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო
სამმართველოს ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ნარკომანიის პრობლემა ამჟამად მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას აწუხებს. ეს შეფოთება გამოწვეულია იმ უდიდესი ზიანით, რასაც ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება იწვევს. ნარკომანია დღეისათვის ორმაგ მნიშვნელობას იძენს — სოციალურს და სამართლებრივს:

სოციალური შედეგი გამოიხატება პიროვნების საზოგადოებასთან დამოკიდებულების, ოჯახური კავშირების დარღვევით, პროფესიული კვალიფიკაციის თანდათან დაკარგვით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სამუშაოსადმი თავის მინებებით მთავრდება. კერძოდ, საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, გამოკითხული ნარკომანების დაახლოებით 14 პროცენტი არ ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნარკომანია პირდაპირ კავშირშია დანაშაულთან, რადგან დანაშაულის წარმომშობი ძირითადი მიზეზები ანალოგიურია ნარკომანიის წარმოშობისა. ამასთან, ნარკომანია დამნაშავეთა გარემოში პოულობს უფრო „ნოყიერ ნიადაგს“, ვიდრე მორალურად ჯანმრთელ ადამიანთა შორის, იგი ხელს უწყობს პიროვნების დეგრადაციას, დეგრადირებული პიროვნებისაგან კი ნებისმიერი სახის ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებაა მოსალოდნელი.

ნარკომანიის და დამნაშავეობის ურთიერთკავშირი განისაზღვრება ნარკოტიკების წარმოებასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით; ნარკოტიკების მომხმარებლების მიერ ნარკოტიკების ან მისი დასამზადებელი საშუალებების ხელში ჩაგდებას მიზნით დანაშაულის ჩადენით; დანაშაულით, რომელიც ჩადენილია ნარკოტიკების უშუალო ზემოქმედებით ნარკომანიის ფსიქიკაზე.

ნარკომანი საზოგადოებაში განსაკუთრებულ პირობებშია მოქცეული, რადგან როგორც ნარკოტიკების შექმნა, ასევე მისი არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება, კანონით ისჯება, ამიტომ არის, რომ ნარკომანიის გონება მხოლოდ ერთი აზრითაა შეპყრობილი: როგორ აუაროს გვერდი კანონის მოთხოვნებს და დააღწიოს თავი მოსალოდნელ სასჯელს.

მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები გვასწავლიან: „რომ ვიმოქმედოთ გარკვეული წარმატების იმედით, კარგად უნდა ვიცნობდეთ იმ მასალას, რომელზედაც მოგვიწევს ზემოქმედების მოხდენა“¹. ამიტომ ნარკომანიის პრობლემების დასაძლევად საჭიროა ამ სფეროში კიდევ უფრო გააქტიურდეს მეცნიერული კვლევა-ძიება. შედეგები კი უნდა აისახოს სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში. სწორედ ამ გზით, ე. ი. თეორიული მასალისა და პრაქტიკული გამოცდილების შეჯერების საშუალებით შევძლებთ

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი. თხზ., მე-2 გამოც., ტ. 16, გვ. 195.

აეხსნათ, თუ რამ გამოიწვია უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ნარკოტიკების გავრცელება, რომელიც უკვე რთულ სოციალურ პრობლემად იქცა.

საქართველოს ისტორიულ წარსულში ნარკომანიის ფაქტები მეტად იშვიათი იყო. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ნარკოტიკებზე და მის მოხმარებაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 60-70-იან წლებში ყურადღების მიღმა აღმოჩნდა ნარკომანიის ჩასახვისა და გავრცელების პირველი სიმპტომები, სწრაფად იზრდებოდა ნარკოტიკების მოხმარებელთა რიცხვი. ამ აშკარად გამოჩნდა ძველი ჭეშმარიტების სისწორე — „არის მოთხოვნა, არის გასაღების ბაზაც“, ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდნენ ნარკოტიკების „შავი ბაზრები“, სულ უფრო იზრდებოდა ამ საქმით გამდიდრების სურვილით შეპყრობილ პირთა რიცხვი, რომლებმაც ისარგებლეს შესაბამისი ორგანოების ყურადღების შესუსტებით და შეძლეს საკმაოდ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების შექმნა-ჩამოყალიბება.

იმის გამო, რომ საქართველოს ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოების საკუთარი ბაზა არ გააჩნია, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ყოველდღიურ მუშაობაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მიიჩნევს ნარკოტიკების შემოზიდვის და გავრცელების წყაროებისა და არხების გადაკეტვას. ამ მიზნით საქართველოს სასახლჯრო რეგიონებში მოქმედებენ სპეციალური ოპერატიული ჯგუფები, რომლებმაც გამოააშკარავეს არა ერთი დამნაშავეთა ჯგუფი. მაგალითად, 1987 წლის ივლისში, დუშეთის რაიონის მღეთის საგუშაგოზე დააკავეს ქ. ბათუმის მცხოვრები კოპლატაძე, რომელსაც აღმოუჩინეს 1 კგ. 750 გრ. ჰაშიში, ამასთან, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგინდა მის მიერ ჩადენილი რამდენიმე ქურდობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

საერთოდ, ცნობილია, რომ ნარკომანები, როგორც წესი, ბზირად სჩადიან სხვადასხვა სახის, უმეტესად კი, ქონებრივ დანაშაულს, რადგან ნარკოტიკების შეძენას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება.

ნარკომანების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა სტრუქტურული ანალიზი ასეთ სურათს იძლევა: ნარკოტიკების მოხმარება — 41,7 პროცენტი, მკვლელობა — 3,4, გაუბატოებლობა — 4,7, ხულიგნობა — 12,8, ქონებრივი დანაშაული — 29,6, ხოლო სხვა დანაშაულობანი — 7,8 პროცენტი.

როგორც ვხედავთ ნარკოტიკების მოხმარების შემდეგ ყველაზე მეტი ქონებრივი დანაშაულია. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი ნარკოტიკების მოხმარებელი მსჯავრდებულების 40,1 პროცენტი გასამართლებულია ქონებრივი დანაშაულის ჩადენისათვის.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში შესამჩნევად გაახალგაზრდავდა ნარკოტიკების მოხმარებელთა კონტიგენტი და სულ უფრო იზრდება ნარკოტიკების მოხმარებელ ქალთა რიცხვი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს ზემოაღნიშნულ პროცესს, ის არის, რომ ნარკოტიკების მოხმარებელთა უმეტესმა ნაწილმა (ძირითადად ახალგაზრდობამ), არ იცის, თუ რა მოსდევს ნარკოტიკების მიღებას. მაგალითად, „ჰაშიშის“ (რომელიც ამჟამად ყველაზე „პოპულარულია“ ახალგაზრდებს შორის) გავრცელების მიზეზის შესწავლამ ცხადყო, რომ „ჰაშიშის“ მოხმარებელთა 90,1 პროცენტმა მისი მიღება დაიწყო ცნობისმოყვარეობის შედე-

გად, ნაცნობი ნარკომანების ზემოქმედებით². მცდარია იმის მტკიცება თითქოს „პაშივის“ მოხმარება ორგანიზმს დიდ საფრთხეს არ უქმნის, სპეციალურმა გამოკითხვებმა გვიჩვენეს, რომ თითქმის ყველა ნარკომანმა თავისი „კარიერა“, „პაშივის“ მოწვეით დაიწყო.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ნარკოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი პროფილაქტიკა მოითხოვს საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას, კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მჭიდრო, საქმიან ურთერთთანამშრომლობას. ამ მიზნით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების სამინისტროებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე გასულ წელს შეიქმნა მუშა ჯგუფი, რათა ოპერატიულად, უწყებრივი ბარიერების დროულად გადალახვით მოგვარდეს წამოჭრილი პრობლემები. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთი ერთიანი ცენტრის შექმნა საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ ყველა დაინტერესებული სამინისტროსა და უწყების ძალები ნარკომანიის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლისათვის, გავხადოთ ეს ბრძოლა უფრო შემტევი და მიზანდასახული, ზუსტად განვსაზღვროთ მოქმედების მთავარი მიმართულება, თავიდან ავიცილოთ დუბლირება.

მუშა ჯგუფი შეიქმნა ჯანმრთელობის სამინისტროს ეგიდით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უკანასკნელ ხანს მკვეთრად შეიცვალა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა გავატაროთ ღრმად მოფიქრებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროფილაქტიკური ღონისძიებები, რაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ უმთავრეს მიზანს, დავიცვათ საზოგადოება ნარკოტიზმის საშინელებისაგან. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ „კანონსაწინააღმდეგო მოქმედების (დანაშაულის) პროფილაქტიკის პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა ითვალისწინებს არა მარტო შესაბამის ობიექტებზე პროფილაქტიკურ ზემოქმედებას, არამედ ისეთი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავიცვათ საზოგადოება ანტისაზოგადოებრივი ზემოქმედებისაგან³.

უდაოდ მისაბაძი მაგალითია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების ინიციატივა, რის საფუძველზეც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ნარკოლოგიური კაბინეტები, სადაც ერთობლივად მუშაობენ ექიმ-ნარკოლოგი და სისხლის სამართლის ოპერაწმუნებელი. კაბინეტების მიზანია სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის ნარკოტიკების მომხმარებელ და გამავრცელებელთა გამოვლინება, პარტიულ და კომკავშირულ აქტივთან ერთად სპეციალური რეიდების მოწყობა, სამართლებრივი და სამედიცინო პროპაგანდა და მრავალი სხვა ღონისძიების გატარება. გასულ წელს აღნიშნულ სასწავლებლებში მკვეთრად შემცირდა ნარკომანიისთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულობანი, იკლო სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო გამოვლინებებმაც. ეს გამოცდილება ამჟამად სხვაგანაც ინერგება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს მთელ რიგ ორგანიზაციულ და პრაქტიკულ სახის ღონისძიებებს ნარკომანიისთან ბრძო-

² См.: А. Габияни, Наркотизм, Тб., 1977.

³ Аванесов Г. А., Криминология, М., 1984, стр. 387.

ლის გააქტიურებისათვის. კერძოდ, სისხლის სამართლის სამქებრო სამმართველოს ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში შეიქმნა ექსპერიმენტული მოძრავი ნარკოლოგიური ლაბორატორია, სადაც მუშაობს ექიმი-ნარკოლოგი და ექსპერტ-კრიმინალისტი. ლაბორატორიის მიზანია რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში არსებულ სპეციალურ პოსტებზე უმოკლეს დროში დადგინდეს გამოვლენილი ნარკოტიკების სახეობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკების პირველადი წყაროების ოპერატიულად აღმოჩენისათვის. ამ მიმართებით გასულ წელს წარმატებით ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რამაც განსაკუთრებული ეფექტი მოგვცა იმ რაიონებში, სადაც არ ფუნქციონირებს ნარკოლოგიური კაბინეტები. ექიმი-ნარკოლოგი ბევრს აკეთებს აგრეთვე პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ორგანიზებისა და მკურნალობის ეფექტიანობის ამალღების საქმეში.

ნარკომანთა ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია, აქ კი შევეხებით მხოლოდ რამდენიმე პრობლემას. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნებაყოფლობით მკურნალობისა და გამოკვლევის პროცესის ეფექტიანობის ამალღებას. ჩვენი აზრით, საავადმყოფოს სტაციონარში საჭიროა „შიდა რეჟიმის“ განმტკიცება, რათა გამოირიცხოს ავადმყოფებთან არასასურველი კონტაქტები, რაც წარმატებით ჩატარებული მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

რაც შეეხება სამკურნალო შრომით პროფილაქტორიუმს, რომელიც იძულებითი მკურნალობისათვის არის გამიზნული, ეს არის უკანასკნელი ზღუდე ნარკომანთა გამოსწორების საქმეში. არსებული სტრუქტურა და მკურნალობის მეთოდია აშკარად მოითხოვს დახვეწას და სრულყოფას, რადგან „მკურნალობის რა ეფექტიანობაზეა ლაპარაკი, როცა ერთად არიან მოთავსებული „ჭაშიშისტები“, რომელთაც ჯერ კიდევ შეუძლიათ თავის შეკავება, „მორფინისტები“, რომელთა განკურნება დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული, და „პოლინარკომანები“, რომელნიც ერთმანეთს უთავსებენ ნარკოტიკების ყველა სახეობას. აქ ისინი უფრო სასიკვდილო გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს“⁴. არსებული კანონმდებლობის მოთხოვნით, ნარკომანთა იძულებითი მკურნალობის მაქსიმალური ვადა 2 წელია, რომლის შემდეგაც მიუხედავად მკურნალობის შედეგისა, ისინი მიდიან სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან. ისმება კითხვა, რატომ ვუშვებთ მოსახლეობის ჯანსაღ ნაწილში ნარკომანიით ჯერ კიდევ დაავადებულ ამ საშიში „ინფექციის“ გამავრცელებლებს? ჩვენი აზრით, კანონის ეს ნორმა გადახედვასა და შესაბამისი ცვლილებების შეტანას მოითხოვს.

უკანასკნელ წლებში, ნარკომანიასთან ბრძოლის გამწვავებამ წარმოაჩინა ერთი ისეთი პრობლემა, რომელიც ხელს უწყობს მისი გავრცელების პროცესს. კერძოდ, ცნობილია, რომ მსჯავრდადებული ნარკომანების უმრავლესობა არ ცდილობს გამოსწორებას, და შეგნებულად ითრევს თავიანთ წრეში იმ მსჯავრდადებულებს, რომლებსაც ნარკომანიასთან ადრე არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ნარკომანი ბუნებით ეგოისტია, მას სურს რაც შეიძლება მეტი თანამზრახველი გაიჩინოს, ამით იგი ნარკოტიკების შოვნის დამატებით წყაროსაც შოულობს. ეს „ახალბედები“ კი იწყებენ რეჟიმის დარღვევას, აღარ მუშაობენ და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, აგრეთვე განთავისუფლ-

⁴ Газета «Труд», Курорт для наркомана, 27 января 1987 г.

ბის შემდეგაც ხშირად კვლავ სჩადიან დანაშაულს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. ესე იგი ნარკომანია დანაშაულის რეციდივის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც არის. სტატისტიკური მონაცემებით ასეთი დანაშაულის რიცხვი შრომა-გასწორების დაწესებულებების სისტემაში უკანასკნელ ხუთ წელიწადში 21,8 პროცენტით გაიზარდა. „სწორედ ამ დაწესებულებებში, კერძოდ, ხის დამამუშავებელ საწარმოებში, ჩაისახა ნარკომანიის საშიში პათოლოგიური ფორმა — „ტოქსიკომანია“⁵.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღო დროული და სწორი გადაწყვეტილება — ამ კონტიგენტის იზოლაციის მიზნით შეიქმნას სპეციალური შრომა-გასწორების დაწესებულება მხოლოდ მსჯავრდადებული ნარკომანებისათვის. აქვე მოხდება მათი დიფერენციაციაც. ამ ღონისძიებას აქვს სხვა მიზანიც, მკვეთრად გაუმჯობესდეს ნარკომანთა მკურნალობის პროცესი.

ამრიგად, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთი ორგანიზაცია ბევრად გაუმჯობესებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სხვა უფრო მძიმე სახის დანაშაულის პროფილაქტიკას, რაც დანაშაულის შემცირებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა.

⁵ «Литературная газета», 4 февраля 1987 г., Ничейная зона?

სახალხო მსაჯულის ტრიბუნა

ნდობას გამართლება უნდა

ლენა ფანჯულიძე,

ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯული

...თურმე ძველ რომში სიკვდილი მიუსაჯეს ხაბაზს, რომელსაც მკვლელობაში ედებოდა ბრალი. განაჩენი აღსრულდა, მაგრამ აღმოჩნდა — ხაბაზი უდანაშაულო იყო. სწორედ ამის შემდეგ დააწესეს რომაელებმა, რომ სასამართლო დარბაზში ყოველი პროცესის წინ ხმამალა წარმოეთქვათ სიტყვები: „გახსოვდეთ ხაბაზი“.

აი ასეთი ძნელად ასაწევი და საპატიო ტვირთია მართლმსაჯულება და მასთან ერთად სახალხო მსაჯულის როლიც. მართლმსაჯულების განხორციელების დროს ვერაფერს და ვერაფერი გიშველის, თუ საკუთარი სულის სიმტკიცემ და სიძლიერემ არ გიშველა, თუ ნათელმა გონებამ და წმინდა სინდისმა არ წარმართა შენი სიტყვა.

საბას თუ ვერწმუნებით, სიკეთე „არს წინაბჭე და ეზო კეთილშობილებისა“, ხოლო „კეთილობა ტბა რაიმე უკიდევანო“. არც დასაწყისი აქვს მას

და არც დასასრული, ყველგან და ყველაფერშია იგი განფენილი. იგი ჩვენშიც არსებობს, უბრალოდ, მისი გამოვლენაა საჭირო, საჭიროა მისი დანახვა და სხვათათვისაც დანახვება, სხვათა სულში მისი აღმოჩენა, სიკეთის ქმნის სურვილის გაღვიძება. ეს ძნელია, ძალიან ძნელი, რადგან სხვისი გზის მაჩვენებელი და სხვათა მოძღვარი თვითონ უნდა იყოს უმწიკველო, ბოროტებისაგან შორს მდგომი.

მოსამართლე და ორი სახალხო მსაჯული — აი საქმის განმხილველი, ამჟამად მოქმედი სასამართლოს შემადგენლობა. სახალხო მსაჯული იგივე სახალხო მოსამართლეა და თანაბარწილად მონაწილეობს საქმის განხილვისას წამოჭრილი ყველა საკითხის გარკვევასა და გადაწყვეტაში. როგორც წესი, მსაჯული ყველას მიმართ ობიექტური და მიუყვარებელი უნდა იყოს.

თუ ცხოვრებამ მსაჯულის კვერთხი გიბოძა, გვარიგებს ხალხური შეგონება, მხოლოდ მაშინ ატარებ კარგად მას, როცა განსჯის დროს საკუთარ თავს განსასჯელის სკამზე წარმოიდგენ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს — როგორი საშიში დამნაშავეც არ უნდა იჯდეს განსასჯელის სკამზე იგი უპირველეს ყოვლისა ადამიანია. მართლმსაჯულება კი ებრძვის არა ადამიანს, არამედ სიმანჯის გამოვლინებას მასში, უფრო სწორად მის ქმედებაში.

პროფესიით ფსიქოლოგი ვარ და ძალიან მაღელვებს არასრულწლოვანი განსასჯელების ბედი, განქორწინებათა და განქორწინებულთა დიდი არმია. მსაჯულობამ იმის შესაძლებლობა მომცა, რომ გამეკეთებინა იმ ფაქტების ზოგადი ფსიქოლოგიური ანალიზი, თუ საიდან იწყება ყველაფერი ეს, რისი ბრალია. ვისი შეცდომების შედეგია ის, რა არის ნებისმიერი ქცევის მიზეზი (რა უნდა ადამიანს) და მოტივი (რატომ უნდა), რა საზრისი დევს ამ მიზეზში, რამ უნდა აიძულოს მოზარდი იქურდოს. ხომ შეიძლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა არც იცოდეს თუ რა გზას დაადგეს, როგორ მოიქცეს, ირგვლივ მყოფთაგან ხომ არავის მოუვა აზრად ცხოვრებისეულ სირთულეებში კეთილი შეგზურობა გაუწიოს ასეთ მოზარდს. დიდი სულხანი ბრძანებდა: ქვეყნის მომავალ პატრონს მამათა მაგალითი ზრდისო. დღეს კი, სამწუხაროდ, ბევრია ისეთი ოჯახი, სადაც პატარებს ქართული ზღაპრები, ლექსები, ადამიანთა სიკეთისა და გმირობის ამსახველი ამბები სრულებით არ ესმით. ასეთ ოჯახებში საუბარია მხოლოდ ფუფუნებაზე, ფულის შოვნაზე და ვინ იცის კიდევ რა უბედურებაზე, იმ მარადიულ ღირებულებებზე კი, რომელთა შექმნას მთელმა კაცობრიობამ და მათთან ერთად ჩვენმა ერმაც საუკუნეები შეალია, კრინტს არავინ ძრავს. იქ, სადაც მხოლოდ ფულის შოვნაზეა ფიქრი, ბუნებრივია, პატიოსნებას ფასი ეკარგება. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ რითი კვინდებით და რითი ვმალდებით, თორემ მავანნი და მავანნი სახლებს აიშენებენ, აგარაკებს გამართავენ, ჯიბეებს გაისქელებენ, განცხრომას მიეცემიან, შვილებს კი დაკარგავენ, საზოგადოებას ადამიანს წაართმევენ. მერე, როცა უბედურება მიუკაჯუნებთ ხოლმე დაბნეულნი და შეშინებულნი კითხულობენ: „რატომ ჩაიდინა, აკლდა რამე?!

მოზარდებთან ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ სამწუხაროდ, ისინი გულახდილნი არ არიან. მშობლებთან, არ საუბრობენ ისეთ საკითხებზე, რაც მათ ყოველდღიურად აწუხებთ. როგორც ჩანს, მშობლისა და შვილის ურთიერთობა ჯერ კიდევ არსებულ ტრადიციულ უფროს-უმცროსის ცუდად დაკანონებულ მოდელებზე ბრუნავს. მოზარდის ორგანიზმის ბუ-

ნებრივ, ამ ასაკისათვის დამახასიათებელ დიდ ანატომიურ ცვლილებებთან ერთად კი, ძალზე სერიოზული ფსიქო-სოციალური ცვლილებები ხდება. ვაჟები ამ პერიოდში შედარებით მოუსვენარნი არიან, შეიმჩნევა მათი ფიზიკური მოდუნება, მცირდება შრომისუნარიანობა, იზღუდება ინტერესთა სფერო. უფროსების მიმართ ისინი შედარებით უხეშები, დაუნდობლებიც კი ხდებიან. ვაჟისათვის მაგალითად მამაკაცების იდეალი თითქმის ყოველთვის პირად შესაძლებლობათა მიღმა რჩება და თავს იჩენს „მტრული განწყობილება“ მთელი სამყაროს მიმართ. ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგი შარლოტა ბიულერი ამ ასაკს განვითარების ნეგატიურ ფაზას უწოდებდა რადგან სწორედ ამ პერიოდში აღინიშნება მოზარდის გაძლიერებული მისწრაფება ყველაფერი აკრძალულისა და უცნაურისადმი. ალბათ ყველაზე მეტად ამ დროს არის საჭირო მის გვერდით იდგნენ მშობლები და აღმზრდელები.

სამი წელია რაც სკოლებში „საოჯახო ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიის კურსს“ ასწავლიან. ნამდვილად დროული და საჭირო გადაწყვეტილებაა. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ამგვარ გაკვეთილებზე დიდი დაინტერესება შეიმჩნევა. მოსწავლეები გულახდილად საუბრობენ სიყვარულზე, ოჯახურ კონფლიქტებზე, ბედნიერებაზე და სხვა მსგავს კატეგორიებზე. თუმცა, ძალიან ძნელია ყველამ ხმამაღლა თქვას თავისი სულიერი განწყობილება, სინარული თუ გასაჭირი იქ, სადაც ორმოცი ბავშვი ზის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამგვარი ურთიერთობის დახვეწის მიზნით, იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოახერხოს ყველას სულში წვდომა, სასურველია კლასი რამდენიმე ჯგუფად დაიყოს.

იქნებ სკოლის ასაკშივე ეყრება საფუძველი ბევრ ისეთ ჩვევას, რაც შემდგომში ათასგვარი გადაცდომისა თუ დანაშაულის საფუძველი ხდება. განა შემადრწუნებელი არ არის, რომ კვლავ ძალიან ხშირად ინგრევა ოჯახები. ქორწინება ზოგისათვის ბედნიერებაა, ზოგისთვის დამღლეი მოვალეობა, ხოლო ერთი ნაწილისათვის — უბედურება. და მაინც, ქორწინება სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრებასთან შეჭიდება. იქნება ამიტომაც დაარქვა ქართველმა კაცმა დაოჯახებას — შეუღლება. ეტყობა ოჯახური ყოფა ადრეც არ იყო პრობლემებს მოკლებული, მაგრამ მაშინ განქორწინება ძნელი იყო არა მარტო იურიდიულად, არამედ მორალურადაც, რადგან ადამიანებს ერთიმეორის მოკრძალება და რიდი გააჩნდათ. დღეს განქორწინება თითქმის არავითარ მორალურ სირთულეს არ უკავშირდება. მაშ სად ვეძებთ ოჯახური დრამის ავბედითი მიზეზი? ხომ არ იღებს იგი სათავეს ქორწინებაშივე, უფრო სწორად — არასწორ ქორწინებაში, დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯში, სხვა ადამიანის ან საკუთარი ძალების, საკუთარი პიროვნების გადაფასებაში, ცუდ აღზრდაში?

როგორც ჩანს ის კი არ არის მთავარი, თუ როგორ პირობებში ცხოვრობს წყვილი, არამედ ის, თუ როგორი წყვილი ცხოვრობს ამა თუ იმ პირობებში.

ალბათ ისიც სასურველი იქნება, რომ ქორწინების სასახლეებსა და მამჩის განყოფილებებშიც შეიქმნას საკონსულტაციო კაბინეტები, სადაც ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები დახმარებას აღმოუჩენენ ადამიანებს სტაბილური და ბედნიერი ოჯახის შენარჩუნებისათვის.

...და მაინც, სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს ჯერ კიდევ შეი-

ნიშნება სახალხო მსაჯულთა პასიურობა, ძირითადად იგი იმითაა გამოწვეული, რომ ისინი წინასწარ არ ეცნობიან საქმის მასალებს, არ სწავლობენ დანაშულის გამომწვევ მიზეზებს, ღრმად და საფუძვლიანად არ ფიქრდებიან მომხდარ შემთხვევაზე, ფაქტზე. მსაჯულთა აქტიურობა დიდად არის განპირობებული თვითონ მოსამართლეზეც. ყველაფერი ეს კი უნდა ხდებოდეს ლამაზად, თავაზიანად და გამოზომილად, ისე, როგორც ჩვენს ცხოვრებას შეეფერება, როგორც ამას დღევანდელი მოითხოვს.

სახალხო მსაჯული სახალხო სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი ფიგურაა და მის ავტორიტეტს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. სახალხო მსაჯულის აზრსა და სიტყვას კანონის ძალა აქვს და იგი დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება. ეს უფლებები დიდი უფლებებია და მის მოპოვებას დამსახურება უნდა, ხალხის ნდობით დამოწმებული დამსახურება.

მაშ ვიყოთ ამ ნდობის ღირსნი.

მხოლოდ ციფრები

ბასულ, 1987 წელს 0,6 პროცენტით შემცირდა რესპუბლიკაში რეგისტრირებული დანაშაულობები, მათ შორის მძიმე დანაშაულმა 0,4 პროცენტით იკლო, სიმთვრალეში ჩადენილმა დანაშაულმა — 18,8 პროცენტით, ზოლო ჭგუფურმა დანაშაულმა — 20,8 პროცენტით. ნაკლები იყო ისეთი დანაშაულობებიც, როგორცაა განზრახ მკვლელობის მცდელობა (25,6 პროცენტი), სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობა (4,6 პროცენტი), უჩაღობა (79,6 პროცენტი), ხულიგნობა (15,4 პროცენტი), ავტოსაგზაო შემთხვევები (6,7 პროცენტი), არასრულწლოვანთა დანაშაული (5,5 პროცენტი) და ა. შ.

დანაშაულის საერთო რაოდენობა რესპუბლიკის 50-ზე მეტ ქალაქსა და რაიონში შემცირდა. ეს სასიკეთო ცდა მკვეთრად იგრძნობოდა გარდაბანში, ქ. თბილისის კაღინის, გლდანის და პირველი მაისის რაიონებში, ბოლნისში, ზესტაფონში, წულუკიძეში, მესტიაში, თეთრიწყაროში, საგარეჯოში, ქ. გორში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სხვა.

მძიმე დანაშაულობათა მკვეთრი კლება შეიმჩნევა წულუკიძის, ცხაკაიას, წაღვის, ბოლნისის, საგარეჯოს, ზუგდიდის რაიონებში, ქალაქებში ქუთაისსა და რუსთავში.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში გაიზარდა ისეთი დანაშაულობანი, როგორცაა: განზრახ მკვლელობა (7,6 პროცენტით), სხულის განზრახ მძიმე დაზიანება (24 პროცენტით), მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა (1,4 პროცენტით), ძარცვა (8,6 პროცენტით).

1986 წელთან შედარებით 2,2 პროცენტით მეტი გამოვლინდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-დატაცება, 4,8 პროცენტით მეტი სპეკულაცია, 0,5 პროცენტით მეტი მექრთამეობა.

მექრთამეობის გამოვლენის საქმეში სუსტად იმუშავეს ადიგენის, ასპინძის, ყაზბეგის, ყვარლის, თიანეთის, წითელწყაროს, გეგეპკორის, ზესტაფონის, საჩხერის რაიონების აღმინისტრაციულმა ორგანოებმა.

დანაშაულის საერთო რაოდენობამ 16 რეგიონში მოიმატა. ეს ფაქტი მკვეთრად შეიმჩნეოდა ახალციხის, ონის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის რაიონებში, ქუთაისში და ტყიბულში. რესპუბლიკის 80 ქალაქსა და რაიონში, მათ შორის სხვებზე მეტად გურჯაანში, ლაგოდეხში, თელავში, საჩხერეში, თბილისის 28 კომისრისა და ქუთაისის საქარხნო რაიონებში გაიზარდა მძიმე დანაშაულობები.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს საგრძნობლად გაუარესდა დანაშაულობათა განხნის საერთო მაჩვენებლები. ამ მხრივ ცუდად იმუშავეს წულუკიძის, თერჯოლის, ჩოხატაურის, წაღვის, საჩხერის, ლენტეხის, ლაგოდეხის, ჩხოროწყუს, ქუთაისის, ტყიბულისა და რუსთავის აღმინისტრაციულმა ორგანოებმა. მომხდარი დანაშაულის განხნის კარგი მაჩვენებლები აქვთ ახალქალაქის, ახალციხის, ახშეთის, ბოგდანოვკის, ყვარლის, დუშეთის რაიონებს და ქ. გორს.

ოფიციალური მასალა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961, № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 58-ე და 59-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 58.** სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენება სულით ავადმყოფების მიმართ.

იმ პირების მიმართ, რომლებმაც შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ან ასეთი ქმედობა ჩაიდინეს შეურაცხად მდგომარეობაში, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე ან სასჯელის მოხდის დროს სულით ავადდნენ, რის გამოც არ შესწევთ უნარი ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებას ან უხელმძღვანელონ მას, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიცინო ხასიათის შემდეგი იძულებითი ღონისძიებანი, რომლებსაც განაზოგადოებრივად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო დაწესებულებები:

- 1) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი მეთვალყურეობით;
- 2) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით;
- 3) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება მკაცრი მეთვალყურეობით.

მუხლი 59. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი მეთვალყურეობით სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს იმ სულით ავადმყოფის მიმართ, რომელიც ფსიქიკური მდგომარეობისა და ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ხასიათის მიხედვით საქროებს საავადმყოფოში მოთავსებას და იძულებით მკურნალობას.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება გაძლიერებული მეთვალყურეობით სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს იმ სულით ავადმყოფის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რაც დაკავშირებული არ არის მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფასთან, და რომელიც თავისი ფსიქიკური მდგომარეობით საფრთხეს არ უქმნის გარშემო მყოფთ, მაგრამ საჭიროებს საავადმყოფოში მოთავსებასა და მკურნალობას გაძლიერებული მეთვალყურეობის პირობებში.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება მკაცრი მეთვალყურეობით სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს იმ სულით ავადმყოფის მიმართ, რომელიც ფსიქიკური მდგომარეობისა და ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ხასიათის მიხედვით განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და საჭიროებს საავადმყოფოში მოთავსებასა და მკურნალობას მკაცრი მეთვალყურეობის პირობებში.

გაძლიერებული და მკაცრი მეთვალყურეობით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებულ პირებს ისეთ პირობებში ამყოფებენ, რაც გამორიცხავს მათ მიერ ახალი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის შესაძლებლობას“.

2. ამოღებულ იქნეს მე-60 და 62-ე მუხლები.

3. დამატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 1332 მუხლი:

„**მუხლი 1332.** ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება.

წინასწარი შეცნობით ფსიქიკურად ჯანმრთელი პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით

იმავე ვადით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ერთიდან სამ წლამდე ან უამისოდ“.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961, № 1, მუხ. 11) 334-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „იმ სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგენით, რომელშიც მოთავსებულია მოცემული პირი“ შეიცვალოს სიტყვებით „იმ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მთავარი ფსიქიატრის წარდგენით, რომელსაც ექვემდებარება სამედიცინო დაწესებულება, სადაც მოთავსებულია მოცემული პირი“.

III. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1988 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **პ. კვარაცხელია**.

თბილისი. 1988 წლის 15 იანვარი.

სანოტარო და მმართველის ორგანოების პრაქტიკა

უნდა შეასრულოს თუ არა სააღსრულებო წარწერა სახელმწიფო ნოტარიუსმა იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე არ აბრუნებს მის სახელზე გაქირავებულ საყოფაცხოვრებო ნივთს?

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 ივლისის დადგენილებით დამტკიცებულია ნუსხა იმ დოკუმენტებისა, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს სააღსრულებო წარწერების საშუალებით უდავო დავალიანებების ამოღება. ამ ნუსხის 35-ე პუნქტით განსაზღვრულია ხელშეკრულებით გაქირავებული საყოფაცხოვრებო ნივთით სარგებლობის შედეგად გამოწვეული დავალიანების გადახდევინება. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება არა აქვს სააღსრულებო წარწერა გასცეს მოქალაქეებზე გაქირავებული ნივთის ღირებულების გადახდისათვის, რადგან ნუსხა ითვალისწინებს მხოლოდ ნივთების ხმარებისათვის დადგენილი ღირებულების ამოღებას და არა მის მთლიან ღირებულებას.

თუ მეუღლეებმა ქორწინების რეგისტრაციის დროს თავიანთი ქორწინებამდელი გვარები დაიტოვეს, შემდგომში მათ ერთ-ერთი მეუღლის საერთო გვარის მიღება შეუძლიათ მხოლოდ გვარის შეცვლის გზით.

მმაჩის ორგანოების პრაქტიკაში ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქორწინების რეგისტრაციის დროს ორივენი თავ-თავიანთი სურვილით დაიტოვედნ ქორწინებამდელ გვარებს, მაგრამ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ კვლავ მიმართავენ მმაჩის ორგანოს და ითხოვენ ერთ-ერთი მეუღლის გვარის მიკუთვნებას.

როგორ უნდა მოიქცეს მმაჩის ორგანო ასეთ სიტუაციაში?

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-20 მუხლით დაქორწინების დროს მეუღლენი თავიანთი სურვილისამებრ აირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს თავიანთ საერთო გვარად, ანდა თითოეული დაიტოვებს თავის ქორწინებამდელ გვარს ან თავის გვარს შეუერთებს მეუღლის გვარს.

გვარის არჩევის უფლება ქორწინების რეგისტრაციის დროს და მისი რეალიზაცია საბოლოოა, ამიტომ არავითარი საფუძველი აღარ არსებობს ქორწინების სააქტო ჩანაწერებში შესწორების შეტანისათვის. მეუღლეებს შეუძლიათ საერთო საფუძველზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 26 მარტის ბრძანებულებით, „სსრ კავშირის მოქა-

ლაქეთა მიერ გვარის, სახელისა და მამის სახელის გამოცვლის წესის შესახებ“, შესაბამისად იშუამდგომლონ მხოლოდ გვარის გამოცვლისათვის.

რა შემთხვევებში დაწესდება მეურვეობა ან მზრუნველობა არასრულწლოვანისათვის?

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის შესაბამისად მეურვეობა წესდება მოზარდზე, რომელსაც არ მიუღწევია 15 წლის ასაკამდე, ხოლო მზრუნველობა — არასრულწლოვანზე 15-დან 18 წლამდე.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება იმ არასრულწლოვანებზე, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობელთა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო, დარჩნენ მზრუნველობის გარეშე.

თუ მოზარდი სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში იზრდება, მასზე მეურვეობა არ დაწესდება, მაგრამ მისი ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს ქონების მეურვე (იხ. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 128-ე, 129-ე, 130-ე, 141-ე მუხლები).

ვინ უნდა მიემართოს მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების დროს?

განცხადება მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესების შესახებ შეტანილი უნდა იყოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში სამეურვეო (სამზრუნველო) პირის ან მეურვის (მზრუნველის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დაწესებულებები და პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა, რომ არასრულწლოვანი საქირობს მეურვეობას ან მზრუნველობას, ვალდებული არიან აცნობონ ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ფაქტიური სამყოფელი ადგილის მიხედვით. (იხ. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 134-ე და 135-ე მუხლები).

ვინ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად?

მეურვედ ან მზრუნველად შეიძლება დაინიშნოს ყველა ქმედუნარიანი პირი, თუ არსებობს მისი თანხმობა. შესაძლებლობის შემთხვევაში მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აგრეთვე თვითონ მეურვეობის ქვეშ მყოფის სურვილიც. მეურვის (მზრუნველის) შერჩევისას პირადი თვისებები და მოვალეობათა შესრულების უნარი, რა დროსაც განსაკუთრებულ ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვებთან ურთიერთდამოკიდებულების უნარზე.

მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკამდე, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 138-ე და 139-ე მუხლები).

რა უფლება-მოვალეობები აქვსრია არასრულწლოვანის მეურვესა და მზრუნველს?

არასრულწლოვანის მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობებზე თითქმის ამომწურავ პასუხებს გვაძლევს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსი.

არასრულწლოვანის მეურვე და მზრუნველი მოვალეა აღზარდოს იგი, იზრუნოს მისი ფიზიკური განვითარებისა და სწავლებისათვის, მოამზადოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, აღზარდოს ის სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრად, დაიცავს მისი უფლებები და ინტერესები.

მეურვესა და მზრუნველს უფლება აქვთ სასამართლო წესით მოითხოვონ მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფი ბავშვის დაბრუნება ყველასაგან, ვინც მათ კანონიერი საფუძვლის გარეშე თავისთან ამყოფებს (143-ე მუხლი).

მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იცხოვრონ სამეურვეო (სამზრუნველო) არასრულწლოვან პირთან ერთად. ცალკეულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ შეიძლება ნებადართული იქნეს მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალ-ცალკე ცხოვრება, თუ აღნიშნული ორგანო მივა იმ დასკვნამდე, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სამზრუნველო პირის აღზარდაზე, მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. (მუხლი 146-ე).

მეურვისა და მზრუნველის მოვალეობები სრულდება უსასყიდლოდ (მუხლი 144-ე).

რესპუბლიკის ადვოკატთა კონფერენცია

თბილისში, იუსტიციის სამინისტროს სა-
პქტო დარბაზში, 1987 წლის 19 დეკემბერს ჩა-
ტარდა საქართველოს სსრ ადვოკატთა სამეც-
ნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სადაც
მოწვეულ იყვნენ რესპუბლიკის იურიდიულ
კონსულტაციათა გამგეები და ადვოკატები.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გახს-
ნა საქართველოს სსრ ადვოკატთა პრეზიდიუმის
თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა
იურისტმა ბ. სონინიძემ.

მოხსენებებით გამოვიდნენ ადვოკატთა პრეზი-
დიუმის თავმჯდომარის მოადგილე, იურიდიულ
მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ზბიჩიძე —
„სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებ-
ლობის სრულყოფის საკითხები და წინასწარი
გამოძიების სტადიაზე დამცველის მონაწი-
ლეობის გაფართოება“ და ადვოკატთა პრეზი-
დიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. მახხ-
რაძე — „საკასაციო ინსტანციის სასამართ-
ლოებში ადვოკატთა მონაწილეობის ხარისხის
შემდგომი ამაღლების შესახებ“.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი,
რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის
ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულ-
ტაციის ადვოკატებმა რ. პიტაძემ და დ. ბა-
ლათურამ, საბურთალოს რაიონის იური-
დიული კონსულტაციის ადვოკატებმა მ. ნი-
კოლაიშვილმა და ბ. მოსესიანმა, პირველი
მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ად-
ვოკატმა ი. ნანუაშვილმა, ორჯონიძის რაი-
ონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა
დ. სუხიტაშვილმა, ლენინის რაიონის იური-
დიული კონსულტაციის ადვოკატმა ი. მსიკოშ-
ვიძემ, კიროვის რაიონის იურიდიული კონსულ-
ტაციის ადვოკატმა ჯ. ბაძრაძემ და კალინინის
რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა
ნ. ნიშნიანიძემ.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებუ-
ლი პროცესუალური გარანტიების სისტემა —

აღნიშნეს მომხსენებლებმა და კამათში გამოსუ-
ლებმა — კიდევ უფრო საჭიროებს სრულ-
ყოფას, რადგან ცხოვრებამ დღის წესრიგში
მწვავედ დააყენა ბრალდებულის კანონიერი ინ-
ტერესების დაცვის სამართლებრივი საშუალებე-
ბის ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობა.
კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს აზ-
რი, რომ დამცველის დაშვება საქმეზე წინასწარი
გამოძიების უფრო ადრეულ სტადიაზე, სისხ-
ლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოების
კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი
გარანტია იქნება. წინასწარი გამოძიების სტა-
დიაზე დაცვის უფლებების გაფართოება კი
მოითხოვს პროცესუალური და ორგანიზაციული
პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტას, რაც
გულისხმობს აგრეთვე ცვლილებების შეტანას
დამცველის პროცესუალური უფლებებისა და
მოვალეობების განსაზღვრაში.

იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში მნიშ-
ვნელოვნად გაუმჯობესდა საკასაციო ინსტან-
ციების სასამართლოებში ადვოკატთა მონაწი-
ლეობისა და მათ მიერ შედგენილი საკასაციო
საჩივრების ხარისხი, ჯერ კიდევ შეინიშნება
მთელი რიგი ხარვეზები. ზოგიერთი ადვოკა-
ტი მოუშვადებელი გამოდის საკასაციო ინსტან-
ციების სასამართლოებში, სრულყოფილად არ
ეცნობა საქმის მასალებს, აყენებს უსაფუძვ-
ლო შუამდგომლობებს, საჩივრებს წერს გაუ-
მართავად, დაუსაბუთებლად, კანონის მითითების
ღარეშე.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, შეი-
მუშავა სათანადო რეკომენდაციები, რომლებიც
გაეგზავნათ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაი-
ონების იურიდიულ კონსულტაციებს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუ-
შაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს
სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თ. ნი-
ნიძემ და უურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთა-
ვარმა რედაქტორმა ლ. თაღაძემ.

სასარგებლო ღონისძიება

მართლაც საინტერესო და საქმიანი ღონისძიება მოაწყო თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ. მისი ინიციატივით გასული წლის 18 დეკემბერს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სააქტო დარბაზში ჩატარდა საქარხნო რაიონის მსაჯულებისა და ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი, რომელიც სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებაში სახალხო მსაჯულებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა.

თათბირ-სემინარზე მოწვეულ იყვნენ საქარხნო რაიონის სახალხო მსაჯულები და ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, წარმობა-დაწესებულებათა იურისკონსულტები, დაინტერესებული პირები, სტუმრები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე და ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე.

თათბირ-სემინარი გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქარხნო რაიონული საბჭოს

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. უღმენტმა. მოხსენებებით გამოვიდნენ საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ამბოკაძე და აღმასკომის მდივანი, არასრულწლოვანთა კომისიის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე კ. სვანიძე.

თათბირ-სემინარზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ს. ხახანაშვილი, მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარე ა. გაბუნია, მსაჯულები ლ. ფანჩულიძე და ა. ახვერდოევა, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ბ. იურჩენკო.

თათბირ-სემინარზე ვრცლად ისაუბრა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ და ამომწურავი პასუხები გასცა სემინარის მონაწილეთა შეკითხვებზე.

დასასრულს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქარხნო რაიონული საბჭოს აღმასკომის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ რაიონის მოწინავე სახალხო მსაჯულები და ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები.

თათბირ-სემინარის მუშაობას ესწრებოდა პარტიის თბილისის საქარხნო რაიონის რაიონის მის პირველი მდივანი ბ. შოშიაძე-შვილი.

სამართლებრივი პროპაგანდის სამდღიური ქუთაისში

ამას წინათ ქ. ქუთაისში ჩატარდა სამართლებრივი პროპაგანდის სამდღიური, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო. სამდღიურის სახელმძღვანელო პროგრამად იქცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „ავამადლოთ ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა“.

ამ საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა. ისინი შეხვდნენ და საქმიანი საუბრები ჰქონდათ ქალაქის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებთან, სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდო-

ბასთან, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. საუბრების მთავარ თემად იქცა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება გარდაქმნის მოთხოვნათა შესაბამისად.

სამართლებრივი პროპაგანდის პროფილაქტიკურ მნიშვნელობასა და კანონმდებლობის პრობლემურ საკითხებზე ისაუბრეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რაბინიძემ, მინისტრის მოადგილემ ბ. ძეგვიანი, სამმართველოს უფროსმა ვ. გიშაძემ, უფროსმა კონსულტანტებმა ზ. მესხიანი, გ. ბერიძემ და ე. ხიტიანი. მსაჯულების, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ნ. წიქარიძემ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილემ ი. ჩხეიძემ, ქ. ქუთაისის პროკურორმა

პ. ბაბილაშვილმა, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის პროკურორმა შ. შხაბაძემ, ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა რ. თიანჯაძემ, უფროსის მოადგილეებმა გ. ლობჯანიძემ და ე. ბუცხრიკიძემ, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ს. მალაქაძემ, ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ბ. შინგელიამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტმა, ადვოკატმა გ. უბრახელიძემ და სხვებმა.

სამართლებრივი პროპაგანდის სამდიური დასრულდა შემაჯამებელი შეხვედრით, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დ. ჩინლაძემ. სამდიური შეხვედრები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ წ. რატიანმა.

ჯალ მასხეთელი.

შეხვედრა მწერალთან

ამას წინათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტმა, რესპუბლიკის პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა შეხვედრა მოუწვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ჟურნალ „კრიტიკის“ მთავარ რედაქტორს, მწერალ რევაზ მიშველაძეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების, თანაშრომლებისა და სტუდენტების სახელით მწერალს მიესალმა იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ვალერიან შეტრევილი. მწერალ რევაზ მიშველაძის ნოველებ-

ში, თქვა მან, დასმულია იურიდიული პროფილის, საბუთა სამართლის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც იგი გაბედულიდ ქრულიად ახლებურად აწვდის მკითხველს? ამასთან მწერლის შემოქმედება კარგად აგრძელებს ქართულ მწერლობაში იურიდიული ანბექტების ასახვის მდიდარ ტრადიციებს.

შეხვედრაზე მსახიობებმა და სტუდენტებმა წაიკითხეს მწერლის მრავალი ნაწარმოები. ფართოდ იყო წარმოდგენილი სტუდენტთა თვითშემოქმედება.

დასასრულს, მწერალმა რევაზ მიშველაძემ პასუხი გასცა მრავალ შეკითხვას, ისაუბრა საკუთარ შემოქმედებით სამომავლო გეგმებზე და მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ელშაჰე შიზინანი, თამაზ შავგულშია

საზოგადოებრივი აზრი და დანაშაული

მოგაუგაუე ბუხართან ისხდნენ.

— სად შეეჩერდი? — გაიღმა ბიძინამ და წიგნი დაიდო მუხლზე.

— გოჩასი არ ვიცი, მაგრამ მე სულ იმ ბიჭებზე ვფიქრობ. მე მგონი გრძელიძეს შიშმა, სიმხალემ, თავშესაფრის მონახვის მოთხოვნილებამ ჩაადენინა დანაშაული. ასეა, ხომ? — დაასვენა მამიამ.

— სწორია. — დაუდასტურა ბიძინამ.

— ბაბეური არასრულფასოვნების განცდის დაძლევის მოთხოვნამ ააციდინა გზას, — განაგრძო მამიამ — სუხიაშვილს კი მომეტებული მოთხოვნილებები ჰქონდა...

— ესეც სწორია. — თავი დაუქნია ბიძინამ.

— ესე იგი, რა გამოდის... თურმე მომეტებული, მოჭარბებული მოთხოვნილება ყოფილა დანაშაულის მიზეზი... რა, არ ვარ სწორი?

— სწორი არ ხარ-მეთქი, რომ ვითხრა, გატყობ, არ დამიჯერებ. სწორიც იქნები...

— თქვი, შე კაცო, სწორი ხარ-თქვა და მორჩება საქმე.

— ეს რომ ვითხრა, მართლა მორჩება საქმე, მაგრამ გასარკვევი გვაქვს, მართლაც არის თუ არა, საერთოდ ქცევის და, მათ შორის, დანაშაულებრივი ქცევის მიზეზი მოთხოვნილება.

მამია ცეცხლს მიშტერებოდა, თუმცა, მთელი გულსყურით უსმენდა ბიძაშვილს.

— ეს წიგნი საყურადღებო გამოკვლევაა, ავტორი ცდილობს, სწორედ ჩვენს კითხვას გასცეს პასუხი. პატარ-პატარა ნაწყვეტებს წაგიკითხავთ: „იმ მიზეზთაგან, რომლებიც ადამიანის გააქტიურებას იწვევენ იდეალისტები გადაწყვეტ მნიშვნელობას შეგნების სხვადასხვა ფორ-

მას ანიჭებენ, ხოლო მატერიალისტებს განმსაზღვრელად მიაჩნიათ მოთხოვნილება, რომელიც განპირობებულია ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე საზოგადოებრივი არსებობით. მარქსიზმის ფუძემდებლები აღნიშნავენ, რომ მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა ორგანიზაცია, რასაკვირველია, ყოველთვის დამოკიდებული უკვე განვითარებულ მოთხოვნილებებზე, ხოლო თვით ამ მოთხოვნილებათა წარმოშობა, ისე, როგორც მათი დაკმაყოფილება, თვით ისტორიული პროცესია.

ჰეგელიც კი, რომელიც უზუნაეს შემოქმედად აბსოლუტურ იდეას აცხადებდა, აღიარებდა, რომ ადამიანი თავისი მოთხოვნილებით პრაქტიკულად ვარემო ბუნებას მიექუთვნება, რომ პრაქტიკული საქმიანობის შედეგად დაკმაყოფილებული მისი მოთხოვნილება, განხორციელებული მიზანი წარმოშობს ახალ მოთხოვნილებას, და ასე შემდეგ უსასრულოდამდე“. ...გესმის, გოჩა? — მოულოდნელად ბიჭს გადახედა ბიძინამ.

გოჩა უხერხულად შეიშმუშნა, მხრები აიწურა.

— კაცო! — ჩაერია მამია, — თუ რამე იცი, გვითხარი, წიგნს უშენოდაც წავეითხავთ.

ბიძინამ გაიღმა და კითხვა განაგრძო: „ადამიანთა მოთხოვნილებანი სოციალურად განპირობებულია და საზოგადოების განვითარების კვალობაზე ისინიც მუდმივ განვითარებას განიცდიან. პირველყოფილი ადამიანის მოთხოვნილებათა წრის სიღარიბე განპირობებული იყო მშინდელი ცხოვრების პრიმიტიულობით და თითქმის მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებებით ამოიწურებოდა. ცივილიზებული ადამიანის

საქართველო
საქართველო

მოთხოვნებიანი ისევე მრავალფეროვანია, როგორც მისი ცხოვრების პირობები. საზოგადოების პროგრესთან ერთად ვითარდება ადამიანის არა მხოლოდ სულიერი, არამედ, ეგრეთ წოდებული, ვიტალური მოთხოვნილებები. შიმშილი, წერდა კარლ მარქსი, არის შიმშილი, მაგრამ შიმშილი, რომელიც კმაყოფილება მოხარული ხორციით, რასაც დანით და ჩანგლით მიირთმევენ, სხვა შიმშილია, ვიდრე ის, როდესაც ხელების, ფრჩხილების და კბილების დახმარებით ყლაბავენ უმ ხორცს. ამდენად, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ადამიანის აქტივობის წყაროდ, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნილებას ასახელებენ. ეს კი ცხადად მიწოდებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნილებას ქცევის შაბლონის არჩევისთვის“...

— ასე, შე კაცო. — გააწყვეტინა მამიამ. — მაგას არ ვამბობდი მეც?! მოთხოვნილება დანაშაულის მიზეზია-თქვა!

— „ამავე დროს ადამიანის აქტივობის წყარო არ შეიძლება გავივივოთ ამა თუ იმ ქცევის შაბლონის არჩევის მიზეზთან. ამიტომ, ჩვენი აზრით დანაშაულებრივი ქცევის არჩევის მიზეზად მოთხოვნილება არ უნდა ჩაითვალოს.“

თუ ჩვენ ამა თუ იმ ქცევის შაბლონის არჩევის მიზეზად მოთხოვნილებას ჩავთვლით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ დანაშაულის ჩადენის ალბათობა დამოკიდებულია მოთხოვნილების სიძლიერეზე, ხოლო, რაც შეეხება მოტივაციის პროცესს, იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ურთიერთსაწინააღმდეგე მოთხოვნილებათა ბრძოლა, რომელშიც უფრო ძლიერი მოთხოვნილების იმპულსი იმარჯვებს. თუ მოთხოვნილების როლს ქცევის შაბლონის არჩევანში ამგვარად გავიგებთ, ადამიანი აღარ იქნება ნებისყოფის სუბიექტი და, მასთანადავ, შეუძლებელი გახდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება. უნდა აღინიშნოს, რომ არამხოლოდ ფსიქოლოგიური მეცნიერება, არამედ ყოველდღიური ცხოვრებაც გვიჩვენებს, რომ ხშირად ადამიანის მოქმედება არ არის გამოწვეული მოთხოვნილების უშუალო იმპულსით. მაგალითად, ინდოეთში არის ტომი, ვისი ადამიანი კოცონზე, რომელზედაც მიცვალებული ქმრის გვამს წვავენ ცოცხლად უნდა დამწვარიყ მიცვალებულის ცოლიც. ეს ხდებოდა ნებაყოფლობით. ამგვარი ქცევის ახსნა მოთხოვნილების იმპულსით, ვგონებ არ იქნება დამაჯერებელი“.

ბიძინამ მსმენელებს გადახედა და ხელით ანიშნა ცოტაც მაცადეთო: „ადამიანის აქტივობა ყოველთვის მოთხოვნილებით აიხსნება, მაგრამ სწორედ ასეთი ქცევის მიზეზად მოთხოვნილებას ვერ ჩავთვლით, რადგან მოთხოვნილების

დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ ვითარებაში ქცევის რამდენიმე ვარიანტი არსებობს და რომელს შეარჩევს ადამიანი ეს უკვე მოთხოვნილების ხასიათზე დამოკიდებული არ არის. შიმშილი, მაგალითად, აიძულებს ადამიანს, ეძიოს მისი დაკმაყოფილების გზები. ვთქვათ, ამ კერძო შემთხვევაში ადამიანს შეუძლია მიმართოს რამდენიმე მოქმედებას: იმუშაოს, თხოვოს სხვას საჭმელი, თუ მოიპაროს და ა. შ. ყველა ჩამოთვლილი მოქმედება ემსახურება შიმშილის დაკმაყოფილების მოთხოვნილებას. ყველა შემთხვევაში აქტივობის წყარო მოთხოვნილებაა, მაგრამ იმუშაებს კაცი და ამით იშოვის საჭმელს, სხვას თხოვს, თუ მოიპარავს, ეს უკვე შიმშილის დაკმაყოფილების მოთხოვნილებაზე არ არის დამოკიდებული. მოთხოვნილება, როგორც დიმიტრი უზნაძე მიუთითებს, წარმოადგენს ქცევის მამოძრავებელს, ადამიანის აქტივობის წყაროს. ამიტომ, ეს უკვე ავტორის მოსაზრებაა, მოთხოვნილებაში მოცემულია მისი დაკმაყოფილების ობიექტი და არა საშუალება“.

ბიძინა დადუმდა და წიგნი დახურა.

— გაიგე, გოჩა, რა მომხდარა? — თქვა მამიამ.

— სულ მთლად გასაგები არ არის, — ჩამოართვა სიტყვა ბიძინამ.

— სულ მთლად კი არა, ვერაფერი გავიგე — გამოტყდა გოჩა.

— მოთხოვნილება, რაღაცის წადილი, სურვილი, რაიმე დანაკლისის განცდაა. კაცი მის შევსებას ესწრაფვის. ფსიქოლოგების თქმით, ქცევის მამოძრავებელი ძალა მოთხოვნილების ღრმა შრეებშია ჩამარბული. იგი ყოველთვის არც არის გაცნობიერებული. ამიტომ, მარქსიზმის ფუძემდებლები მოთხოვნილებას მამოძრავებელ ძალთა მამოძრავებელ ძალას უწოდებენ. სწორედ ისინი აღძრავენ სწრაფვას, მიდრეკილებას, ნდომას... მოთხოვნილება მრავალნაირია. სასიცოცხლო, ანუ ვიტალური მოთხოვნილებები მუდმივია, თანდაყოლილი; კვების, სითბოს, გამრავლების, დასვენების, ძილის. მათი დაკმაყოფილების გარეშე კაცობრიობა ვერ იარსებებს. შექმნილი მოთხოვნილებების — გართობის, ახლობლებთან ურთიერთობის, სწავლის, შრომის, კარგად ჩაცმის, მოგზაურობის და სხვა, — გარეშე არსებობა შეიძლება, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია. მოთხოვნილებების გარეშე არ არსებობს აქტივობა; ადამიანი მათ დასაკმაყოფილებლად იღვწის. ამის მიუხედავად, იგი თავისთავად, არ არის დანაშაულის აღმძვრელი მიზეზი, მოჭარბებული რომ იყოს, მაინც. ერთიდაიგივე მოთხოვნილებამ, ვთქვათ, მოჭარბებულმა პრესტიჟულობამ შე-



იძლება ქურდობა ან კარიერისტობა დააწყებინოს კაცს. თავისთავად მოთხოვნილება კი არ არის საბრძანებო, არამედ ის თუ მის დასაკმაყოფილებლად ცუდ გზას ან ხერხს ავირჩევთ. მაგალითად, შიმშილი, ჭამის მოთხოვნილება აქტიურობას იწვევს. ობიექტივ ცნობილია — საკვები. ვთქვათ, ფულით უნდა შეიძინოს კაცმა საკვები. ფულის შოვნა სხვადასხვანაირად შეიძლება: მუშაობით, სესხებით, მათხოვრობით, ქურდობით. ვთქვათ, იმუშავა და ასე იშოვა, მისი შრომის მიზეზი რა ყოფილა?

— შიმშილი! — წამოიძახა გოჩამ.

— სწორია, — კვერი დაუკრა ბიძინამ, — ისეხებას, იმათხოვრებს თუ იქურდებს, ამ შემთხვევაში წყარო ერთია — შიმშილი. ესე იგი ერთიდაიგივე მოთხოვნილება შეიძლება სხვადასხვა ქცევის წყარო გახდეს. ჩვენ გვიანტერესებს თუ რატომ ირჩევს ხოლმე კაცი მრავალ შესაძლებელ ქცევათა შორის დანაშაულებრივს, იმის მიუხედავად, რომ მკაცრი სასჯელი მოულის? მოდი, ისევე ამ წიგნში ჩავიხედოთ...

— მაგ წიგნს რა ჰქვია, აღარ იტყვი?!

— „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა“.

— რა მართო გოჩამ უნდა გისმინოს?

— მოსწავლე ახალგაზრდობა სოციოლოგიური კვლევის საგანია, წიგნი კი ყველასათვის საინტერესოა.

— გასაგებია.

ბიძინამ კითხვა დაიწყო:

— „ქცევის ამა თუ იმ შაბლონის არჩევის მიზეზის ასახსნელად, იმის დასადგენად, თუ რატომ ხდება, რომ მრავალ შესაძლებელ ქცევათაგან, რომლებიც დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, ადამიანი სწორედ დანაშაულებრივ ქცევას ირჩევს, ჩვენ კვლავ ადამიანის სოციალიზაციის ზოგიერთ ასპექტს უნდა დავუბრუნდეთ.“

ნებისყოფა ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის. ახლადშობილი ბავშვი მოთხოვნილების სუბიექტია, ხოლო ნებისყოფის სუბიექტად იქცევა სოციალიზაციის მსვლელობაში. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს ადამიანს უნარი დაიოკოს მოთხოვნილების იმპულსი, შეასრულოს კანონის მოთხოვნა და პასუხი აგოს თავისი მოქმედებისათვის. ადამიანი ნებისყოფის სუბიექტად ყალიბდება მისი სოციალიზაციის კვალობაზე. სოციალიზაციის უნარი ადამიანს აქვს იმდენად, რამდენადაც მას ცნობიერება გააჩნია. ცნობიერების მეოხებით ადამიანი ახდენს საკუთარი თავისა და საკუთარი ქცევის ობიექტივობას, რაც თავის მხრივ თვითკონტროლის უნართანაა დაკავშირებული. თვითკონტროლი იგივე სოციალური კონტროლია, რადგან ადამიანი საკუთარ თავსა და მოქმედებებს საზოგადოების თვალთვალში აფასებს.“

— აბა, ახლა გვითარგმნე — გაიცინა მამიამ.

— ადამიანის დაბადება არ არის ნებისყოფის სუბიექტის დაბადება. ახლადშობილს მხოლოდ მოთხოვნილებები აქვს. ამ მხრივ ჩვილ ბავშვსა და ხბოს შორის, დიდი განსხვავება არ არის.

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! ხბო და ბავშვი?

— იმ თვალსაზრისით, რომ არც ერთი არ არის ნებისყოფის სუბიექტი, ორივე მოთხოვნილების სუბიექტია-მეთქი. გასაგებია?

— საესეებით! მაგრამ განსხვავება მაინც არის.

— კი, საკმაოდ მნიშვნელოვანიც. ბავშვი შეიძლება ნებისყოფის სუბიექტად იქცეს, ცხოველი კი — არა.

— მოიცა! ბავშვი შეიძლება იქცეს თუ იქცევა?!

— თუ საზოგადოებაში გაიზარდა, — გამოუმუშავდება, თუ არა და — არა. ეს არის სწორედ სოციალიზაცია, ესე იგი პიროვნების საზოგადოებაში აღზრდა, მისი ნებისყოფის სუბიექტად ჩამოყალიბება. ვთქვათ, მხოლოდ დედასთან გაიზარდა ბავშვი და მის გარდა არავინ უნახავს, სოციალიზაციას მაინც გაივლის, მისთვის დედა იქნება საზოგადოება.

— მგლებში რომ გაიზარდოს, მგელი იქნება?!

— თითქმის.

— მაუგლი ხომ მგლებში გაიზარდა? — ჩაერია გოჩამ.

— მაუგლი ნამდვილი ამბავი არ არის, კობლინგმა მოიგონა, მაგრამ ინდოეთში მართლა მოხდა მსგავსი რამ: მონადირეები მგლის ხროვას დაედევნენ. ერთი მგელი ხროვას ჩამორჩა. წამოეწივნენ. ის მგელი ადამიანი აღმოჩნდა, ოთხით დარბოდა, ყმუოდა, იკბინებოდა. თურმე თოთხმეტი წლის წინ სოფლიდან ბავშვი გაუტაცნია მგელს, ექიმებმა დაასვენეს, რომ გოგო მართლა თოთხმეტი წლის იყო. ჭკუა-გონებით მგლის დონეზე იდგა, ხოლო ოთხზე სიარულით ხერხემალი ისე ჰქონდა გამარუდებული, ვერაფრით გაიმართა წელში. მეცნიერები დაინტერესდნენ, მაგრამ ვერ გააადამიანეს, რადგან ტინი არ ჰქონდა განვითარებული. მალე მოკვდა.

— იქნებ, თავიდანვე დებილი დაიბადა? — დაეჭვდა მამია.

— შეიძლება, მაგრამ ასეთი შემთხვევა სხვაც იყო: აფრიკაში მიიმუხნეს შორის გაიზარდა გოგო. თექვსმეტი წლის იყო, როცა ნახეს — მიმუნისგან არ განსხვავდებოდა არც ქცევით, არც გონებით. ვერც მას მოუხერხეს ვერაფერი. ისიც მალე მოკვდა „უცხო“ გარემოში.

— ტელევიზორში იყო, — გამოცოცხლდა გოჩა, — ბიჭი ვაიზარდა თურმე მაიმუნებში. იპოვეს, — ჯანბრთელი იყო, სალი, სკოლაშიც დაიწყო სიარული. არაუშავს, კარგად სწავლობდა. ერთხელ ჯუნგლებში წაიყვანეს, შორიდან უღებდნენ. ბიჭი ველურ მაიმუნებს მიუახლოვდა ისინი დაფრთხნენ, და ხის წვერზე აცვივდნენ. ბიჭი კარგა ხანს ელაპარაკა მაიმუნების ენაზე. ერთმა მაიმუნმა გაბედა და შეეპასუხა, კარგა ხნის „საუბრის“ შემდეგ ის მაიმუნი ჩამოცოცდა და ბიჭს მიუახლოვდა. ბოლოს მხარზეც კი დააჯდა. ესე იგი, ბიჭი მართლაც მთ შორის გაზრდილა, რადგან მათი „ენა“ იცოდა, მაგრამ მაიმუნის დონეზე არ დარჩენილა...

— შენ ერთ რამეს არ მიაქციე ყურადღება, — ჩაერია ბიძინა, — ის ბიჭი ხუთ წლამდე აღამიანებში, შინ იზრდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა მაიმუნებშიო. ხუთი წლის ბავშვმა უკვე ორ ფეხზე სიარული, ლაპარაკი, სხვისი მოსმენა იცის, უამრავი ჩვევები აქვს გამოშეშავებული. მოკლედ, საკმაოდ სოციალიზებულია უკვე. მან არც ადამიანური დაკარგა და ცხოველურაც შეიძინა. ესე იგი, საცა იზრდება, იმ ჩვევებს იძენს, თუ ამის შესაძლებლობა დააყვე, რა თქმა უნდა. ასე რომ ბავშვს მხოლოდ საზოგადოება აქცევს ადამიანად.

— კი, ეგ ყველაფერი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ... ჩვენ ხომ დანაშაულის მიზეზებს ვიკვლევთ. რა, ცხოველთა სამყაროშიც არის დანაშაული და კოდექსი? — თვლები მოწყურა მაიამი.

— შორი გზა უნდა მოიარო, რომ შინ მშვიდობით მიხვიდე... შენს კითხვას მოკლე პასუხი არ აქვს-მეთქი! რაზე შევჩერდით?

— გამამიუნებულ გოგოზე, — წამოიძახა გოჩამ.

— შენც კი მაიმუნი ხარ! — გაიღიმა ბიძინამ, — ჰო, მხოლოდ ადამიანს აქვს სოციალიზაციის უნარი, მხოლოდ მას შეუძლია ნებისყოფის სუბიექტად იქცეს, ესე იგი შეუძლია მოთხოვნილების იმპულსი დაიოკოს. ისმის კითხვა რა თვისება აძლევს ამის უნარს? ეს თვისება ცნობიერებაა. იგი ცნობიერების საშუალებით ახერხებს საკუთარი თავის და სინამდვილის ობიექტივიზაციას. მხოლოდ ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს საკუთარი თავი, თავისი ნამდვილი და მოსალოდნელი მოქმედება, მის გარეშე ობიექტურად არსებული სინამდვილე, იმსჯელოს მასზე, შეაფასოს იგი.

— მარქსს ხომ აქვს ნათქვამი, — ჩაერია მაიამი, — ყველაზე ცუდი ხურო იმით ჯობია ყველაზე კარგ ფუტკარს, რომ ხურო ჯერ წარმოიდგენს გასაკეთებელს და შემდეგ აკეთებს, ფუტკარს კი ამის უნარი არ აქვსო.

— მთლად ასე არ უთქვამს, მაგრამ აზრი ზუსტად დაგხსომებია. ობიექტივიზაციასთან ერთად კაცს უჩნდება თვითკონტროლის უნარიც. მას შეუძლია განსაჯოს, სწორად იქცევა თუ — არა. ამას სოციოლოგები სოციალურ კონტროლს უწოდებენ, რადგან ადამიანი საკუთარ თავს და მოქმედებას საზოგადოების თვლით აფასებს. — ბიძინამ ისევ წიგნი გადაშალა — „სოციალური კონტროლი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი აზრით და არა რაიმე ოფიციალური სანქციით. თუ კაცი არ მიესაღმა ნაცნობს, ამისათვის მას არავინ დასჯის. ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება შექმნას საზოგადოებრივი აზრი, რომ ეს პიროვნება უზრუნველია. სოციალური ნორმების უზრუნველყოფის საშუალება სწორედ საზოგადოებრივი აზრია. მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა, რაში მდგომარეობს სოციალური კონტროლის ძალა, რატომ ემორჩილება ადამიანი სოციალურ ნორმებს?

სოციალური ნორმების ძალა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ ადამიანს სოციალიზაციის კვალობაზე უყალიბდება „მე“ კონცეფცია. ეს არის ადამიანის შეხედულება თავის თავზე, როგორც ობიექტურ ღირებულებაზე. მისი შექმნა გულსიმობს ობიექტივიზაციის უნარს და თვითკონტროლის წყაროდ გვევლინება.

მართალია, „მე“ კონცეფცია არის წარმოდგენა საკუთარი თავის ღირებულებაზე, მაგრამ ადამიანია აფასებს თავის თავს თავისი ჯგუფის მსოფლმხედველობით. ამიტომ საკუთარ თავის ღირებულება სოციალურ ღირებულებათა თვალსაზრისით ფასდება.

ცნობილი სოციოლოგის შიბუტანის აზრით „მე“ კონცეფცია არ არის არც თვითონ ორგანიზმი და არც მისი ანაბეჭდი, არამედ არის საკუთარ თავზე მიმართული მოქმედებათა სისტემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, „მე“ კონცეფცია არის მოქმედების ზერხი, ვინაიდან ადამიანს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი თავის მიმართ ისევე, როგორც სხვის მიმართ, ან ისე, თითქოს სხვა მოქმედებდეს მის მიმართ. და ეს იმიტომ, რომ „მე“ კონცეფცია განისაზღვრება საკუთარი თავის მიმართ მდგრადი ორიენტაციით.

„მე“ კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ იგი, უმეტეს შემთხვევაში დიდ ღირებულებას იძენს ადამიანისათვის. ამ ღირებულების შენარჩუნება და გაზრდა მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ხდება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

„მე“ კონცეფცია წარმოდგენილია სიმბოლოებით და ასეთი სიმბოლო, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სხეულია. სიმბოლოებთან პერსინფიციკრებულია ისეთი, თითქოსდა შემთხვე-

ვითი ნიშნები, როგორც არის სახელი, გვარი, პროფესია, და სხვა, მაგრამ „მე“ კონცეფცია არამცდარად არ არის ადამიანის სხეული, ან მისი სახელი თუ პროფესია და სხვა. უპირველეს ყოვლისა, იგი არის ადამიანის სტატუსი საზოგადოებაში, სტატუსი, რომელსაც მისი ნამდვილი თუ მოსალოდნელი მოქმედებანი განსაზღვრავენ. რას აძლევს ადამიანი საზოგადოებას, რას მოელიან მისგან და რას იღებს იგი საზოგადოებისაგან — ეს არის ძირითადი ადამიანის სტატუსის განმსაზღვრელი საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ, თუკი არსებობს ქვეყნის ალტერნატივა, კონკრეტული მოქმედების არჩევა დიდად არის დამოკიდებული სუბიექტის პიროვნულ ორგანიზაციაზე, მის „მე“ კონცეფციაზე. რაც შეეხება სიტუაციას იგი ქვეყნის არჩევის საშუალებას იძლევა. „მე“ კონცეფცია ადვილად ყალიბდება საზოგადოებაში, რომელშიც მონაწილეთა როლები მტკიცედ არის დადგენილი და საზოგადოებრივი სტატუსების მყარი სისტემა არსებობს. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ღირსება არის ის მოდელი, რომელსაც იგი იცავს; რამდენადაც მას საზოგადოებაში გარკვეული სტატუსი გააჩნია“.

ბიძინამ სწრაფად დახურა წიგნი და სინათლეც ჩაქრა.

— წიგნი რომ სინათლეა, ახლაც გამოჩნდა — დახურე და დაბნელდა. — ჩაიციანა მამიამ, — ისე, ზოგი ჭირი მარგებელია! ველარ წაიკითხავ მაგ წიგნს და ცოტას ჩვენს ენაზე დაილაპარაკებ.

ალის შექმნე წითლად ულაპაპებდათ სახეები. ცოტა ხნის დუმისის შემდეგ დინჯად დაიწყო ბიძინამ:

— ესე იგი, ადამიანს ცნობიერება აქვს. ამის წყალობით საკუთარი თავის, საკუთარი ნამოქმედარის ობიექტივიზაციას ახდენს, თვითკონტროლის უნარი / უჩნდება. ასე შეიმეცნებს იგი საკუთარ თავს. არკვევს ვინ არის, რას წარმოადგენს, ვის ჯობია, ვინ ჯობია, რა უნდა ქნას, რომ უკეთესი იყოს და ასე შემდეგ. საკუთარი თავის შეცნობისას ყალიბდება „მე“ კონცეფცია, ესე იგი, საკუთარი ღირებულების შეცნობა. „მე“ კონცეფცია ჩვენივე თვლით დანახული, ჩვენს მიერ შეცნობილი საკუთარი ხატია. ხორციელად საკუთარ თავს კაცი სარკეში ხედავს, მაგრამ „მე“ კონცეფცია მხოლოდ ეს არ არის. იგი მოლიანი ხატია; გარეგნობა, სხეული, გვარი, სახელი, ეროვნება და კიდევ მრავალი რამ ერთად აღებული. რა ქმნის ან როგორ იქმნება ეს ხატი?

— რა ვიცი, მხრები აიჩეჩა მამიამ — ალბათ, წარმოდგენა, ფიქრი, აზროვნება, გონიერება საერთოდ.

— სწორია, მაგრამ აზროვნებას მასალა სჭირ-

დება, საზომი, შესადარებელი. ეს მასალა არის საზოგადოებრივი აზრი. მისი საშუალებით ყალიბდება „მე“. კონცეფცია. ისეთი თითქოსდა ხელშესახები თვისებაც კი, როგორც სილამაზეა, ადამიანი განიხილავს მხოლოდმხოლოდ სოციალურ ასპექტში. იმის მიხედვით, თვლიან თუ არა მას ლამაზად... მაგალითად, აფრიკაში არსებობს ტომი, სადაც სილამაზედ ითვლება სახის ტატუირება. ქალები გულმოდგინედ ისურავენ სახეს და იკეთებენ ცხვირში უზარმაზარ რგოლებს. ისინი თავს თვლიან ლამაზად, რადგან მათ მიეკრო სოციალურ ჯგუფში სილამაზე სწორედ ასეა გაგებული. რატომ? იმიტომ, რომ იმ ტომის საზოგადოებრივი აზრი ასეთია.

— ჩვენში რომ ასე არ არის? — ჩაერია გოჩა.

— ჩვენაშიც ასეა! ჩვენ უბრალოდ სილამაზის სხვა საზომი გვაქვს. სილამაზის გაგება იცვლება, იმიტომ, რომ იცვლება მის შესახებ საზოგადოებრივი აზრი. რა არის მოდა?! ახლა რომ რომელიმე გოგოს უთხრა, ჩიხტაკობი დაიხურე და ისე წადი, ვთქვათ, უნივერსიტეტშიო, ხელში შემოგაკვდება. საკუთარი სილამაზის შეცნობა საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით ხდება. სიკეთე, ბოროტება, ზრდილობა, ვუჟაკობა, თითოეული პიროვნების ღირებულება საზოგადოებაში... ყველაფერს საზოგადოებრივი აზრი განაპირობებს. „მე“ კონცეფცია მით უფრო ადვილად ყალიბდება, რაც უფრო მყარია იმ საზოგადოების სტატუსების სისტემა. ჯარი ავიღოთ. ჯარისკაცის „მე“ ამაღლდება, თუ თვითკრობას მიაღწევს. თუ გენერალი გახდა, მისი „მე“ კონცეფცია შესაბამისად მოიმატებს. იცით რატომ?! იმიტომ, რომ მისდამი საზოგადოების დამოკიდებულება იცვლება, შეიცვლება მის მიმართ საზოგადოებრივი აზრი. „მე“ კონცეფცია ერთგვარი მდგრადობით ხასიათდება, მაგრამ მისი მდგრადობა ძირითადად სხვა ადამიანების მხარდაჭერას ემყარება. იგი შეიძლება დაირღვეს, თუ ასეთი მხარდაჭერა მოიშალა. აღიარებულ ფეხბურთელს „მე“ კონცეფცია დაუქვეითდება, როცა აღმოჩნდება, რომ მან დაკარგა. მოქნილობა, სისწრაფე და მაყურებლებმა სტვენა დაუწყეს. ყოველთვის, როცა იცვლება ადამიანის საზოგადოებრივი სტატუსი, ესე იგი, საზოგადოების დამოკიდებულება მისდამი, შესაბამისად იცვლება პიროვნების „მე“ — კონცეფცია და მისი ქვეყნის მიმართულება. ადამიანი საკმაოდ მოქნილი არსებაა და ეს მოქნილობა ყველაზე უფრო „მე“ კონცეფციის ცვალებადობით ვლინდება. განსხვავებულ ვითარებაში იცვლება ადამიანის ქვეყა, მისი როლი, როგორც ასე ვთქვათ, შემსრულებლისა. ამის შესაბამისად იგი ახდენს თავისი თავის

ობიექტივიზაციას, მუდმივად ცვალებად ვითარებასა და მუდმივად ცვალებად როლში. ამრიგად. „მე“ კონცეფცია ყაღბიდება ადამიანის სოციალიზაციის კვალობაზე და ძირითადად განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიურ სტრუქტურას. თავის მხრივ, სოციალიზაციის აუცილებელი პირობა არის ადამიანთა ურთიერთობა სოციალურ ჯგუფებში, აქ კი მათი ქცევა წარმართება სოციალური კონტროლით, რომელსაც საზოგადოებრივი აზრი უზრუნველყოფს...

— კი, ასეა! — ჩაუბროთ მამიამ, — თავმჯდომარე გვეყავდა ერთი... ისე დაიჯიგმებოდა, დალაპარაკებას ვერ ვუბედავდი. გადაირჩიეს და, მოგეცა ლხენა, ისევ იმ კაცად იქცა, რაც აღრე იყო... ისე, ჩემო ბიძინა, შენ ისევ მაგ წიგნით გველაპარაკები, რა ზეპირად იცი?

— მთავარი მომენტები, ცხადია, ზეპირად ვიცი.

ბიძინამ საკეცი შეაბრუნა ცეცხლმოკიდებულ კუნძი. ალმა მოიმატა: — ეს პრობლემები ძალიან რთულია, მრავალსტიკვობასაც ეს იწვევს. ამიტომ თუ ატყობთ, ხანდახან ნათქვამს ვუბრუნდები ხოლმე... უკეთ რომ გაიგოს გოჩამ, თუ არა, შეაქცევს იურისტობას ზურგს! — გაიცინა ბიძინამ, — თვითონტროლის უნარის გაჩენისთანავე „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბება იწყება. ამის შემდეგ მისი შენარჩუნება და ამაღლება განსაკუთრებული საზრუნავი ხდება. მართალია. ეს გაუცნობიერებელი საზრუნავია, მაგრამ ძალზე დიდ ენერჯიას იტევს. „უმე“ გადასარჩენად, შეიძლება, თავიკი მოიქვას კაცმა. ძნელი ასატანი დამცირება, აბუჩად ადგება. ეს „მე“ კონცეფცია ლახავს. საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების ძალა დიდია, რადგან მისი საშუალებით ხდება „მე“ კონცეფციის შექმნა, შენარჩუნება და მისი დონის ამაღლება... მაგალითად, ვინმეს, ვთქვათ, ივანიშვილს ნათესავი გარდაეცვალა სოფელში; ზამთრის უამინდობის გამო დაკრძალვაზე წასვლა ძნელია, თანაც ხარჯთან არის დაკავშირებული. ამას გარდა, შაბათ-კვირას სახლში საქმეებია მოსაგვარებელი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც უმეცარება სოფელში და ესწრება დაკრძალვას. ივანიშვილის ქცევა არ შეიძლება ავსნათ მოთხოვნების უშუალო იმპულსით. მას არ უნდოდა, წასვლა, მაგრამ თავს ვალდებულად თვლიდა და წავიდა. რა ავალდებულებდა ივანიშვილს დაკრძალვაზე წასულიყო?

ბიძინა შეჩერდა. თანამოსაუბრეებს გადახედა და შეუძახა:

— თქვენ გეკითხებით! რატომ წავიდა დაკრძალვაზე, რომ არ წასულიყო რა, დასჯიდნენ?

— კაი, ერთი, რას მეკითხები; ვინ დასჯიდა! უნდა დავსწრო დაკრძალვას, ჰირსულ-

ფალს მიუსამძიმრო, აბა, როგორ, წესია.

— საქმეც ეგ არის! ეს დაუწერელი წესია და სოციალური ნორმა. ამ დაუწერელი კანონების დარღვევა, ხანდახან, სისხლის სამართლის სასჯელზე უფრო მტკივნეულია. თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანს გზის გაგნება უწევს სოციალურ უფლება-მოვალეობათა რთულ ლაბირინთში. იგი ახერხებს ამას იმდენად, რამდენადაც მას წინასწარ აქვს შემუშავებული ქცევის უამრავი შაბლონი სხვადასხვა ვითარებისთვის. თუ ჩვენ ადამიანს ქცევის ერთობლივად 100 პროცენტად მივიღებთ, შეიძლება გადაუჭარბლად ითქვას, რომ ქცევათა 99 პროცენტი მოწესრიგებულია სოციალური ნორმებით. იგი სოციალურ კონტროლს ექვემდებარება და შესრულება საზოგადოებრივი აზრის ძალით არის უზრუნველყოფილი. დაწყებული ისეთი სასიცოცხლო მოთხოვნის დაკმაყოფილებით, როგორც არის ჭამა, დამთავრებული მიცვალებულის დაკრძალვით გამოწვეული ვითარებით, ყველაფერი რეგლამენტირებულია სოციალური ნორმებით. საოჯახოდ, სამეზობლოდ, საზოგადოებრივ ადგილებში თავის დასაქვრად შემუშავებულია ქცევის მრავალგვარი და რთული წესები. მათ ვერავითარი კოდექსი ვერ დაიტევს და ვერცერთი კანონმდებელი ვერ გაითვალისწინებს. თუ არა საზოგადოებრივი აზრის ძალა, მათ შესრულებას, ალბათ, ვერ უზრუნველყოფდა მილიონიანი მილიცია. კი, ყველაფერი ეს სრულდება საზოგადოებაში, ძირითადად, სოციალური კონტროლის მეშვეობით. იგი საზოგადოებრივი აზრით არის უზრუნველყოფილი.

საზოგადოებრივი აზრის ნიადაგი და სარბიელი სხვადასხვა განზომილების არის: მიკრო თუ მაკრო სოციალური ჯგუფი, ერი, მთელი სახელმწიფო, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებამ და განმტკიცებამ გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შექმნა შესაბამისი საკითხების შეფასებაში. თანაც ამ აზრს შეიძლება ჰქონდეს უკუმოქმედებითი ძალა და ადამიანის სოციალური კონტროლის წყაროდ მოგვევლინოს.

ადამიანი ერთდროულად მონაწილეობს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბებაში უკლებლივ ყველა ჯგუფის საზოგადოებრივ აზრს ემორჩილება. მან შეიძლება აიღოს ყველა ამ ჯგუფისაგან სხვადასხვა ქცევის შაბლონი, წარმოსახვით შექმნას ერთი ეტალონური ჯგუფი და მისი ღირებულებათა სისტემა თავის ღირებულებათა სისტემად გაიხადოს. მაგალითად, ქალაქში მცხოვრები მუსისა-

ივის, თუ ბავშვობა სოფლად გაატარა, იქაური ქცევის ნორმების მხოლოდ ნაწილი შეიძლება ეტალონად ექცეს. ხოლო თავის დანარჩენ საქმიანობაში იგი დემორჩილება სოციალურ ნორმებს, რომლებიც მუშათა კოლექტივში მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში მის ქცევაზე ზემოქმედებას იჭონიებს ორივე სოციალური ჯგუფის მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც მის „მე“-შია ასახული.

— ბიძინა! — შეაწყვეტინა მამიამ, — როგორ იქმნება საზოგადოებრივი აზრი?

— საზოგადოებრივი აზრი იქმნება და ყალიბდება მიკრო და მაკრო ჯგუფებში; მის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების მატერიალური ბაზა, საწარმოო ურთიერთობათა ხასიათი და, საერთოდ, წარმოების განვითარების დონე, საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური წყობა, სახელმწიფოს სტრუქტურა და ქვეყნის განვითარების დონე. ამასთან ერთად, საერთოდ, განსაკუთრებით კი მცირე სოციალურ ჯგუფებში, საზოგადოებრივი აზრის შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ მიჯნე და დადებით ტრადიციებს, ეროვნულ თავისებურებებს, კაპიტალიზმის გადმონაშთებს, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე — ადამიანთა შეგნებაში და სხვა. საზოგადოებრივი აზრი ზოგიერთი მოვლენის მიმართ ზოგჯერ სტიქიურად, მოუწყვრეველად იქმნება. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს, კინოს, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, ლიტერატურას, მეცნიერებას. სახელმწიფო ბევრ ძალას და ენერჯიას ხარჯავს ახალგაზრდობის ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდისათვის. ყოველივე ეს მიმართულია საზოგადოებრივი აზრის უნიფიკაციისაკენ, რათა მიკრო და მაკრო ჯგუფებში ცალკეული მოვლენებისადმი და ადამიანთა ქცევის შაბლონებისადმი ერთიანი სოციალისტური საზოგადოებრივი აზრი განმტკიცდეს.

— მერე, ხერხდება ერთიანი საზოგადოებრივი აზრის შექმნა? — ურწმუნოდ მოჰუტათვალეები მამიამ.

— კი, მაგრამ, ყოველთვის ვერა, რადგან ჩვენს საზოგადოებაშიც სხვადასხვა მიკრო სოციალურ ჯგუფს ამა თუ იმ სავანზე ზოგჯერ განსხვავებული აზრი აქვს. უფრო მეტიც, ზოგ მიკრო ჯგუფში რაღაც მოვლენის და ქცევის შეფასებისას ჩვენს ცხოვრებასთან შეუთავსებელი საზოგადოებრივი აზრი იმარჯვებს. ასეთი ჯგუფის სოციალიზაციამ, შეიძლება, კაცს დანაშაული ჩაადენინოს.

— ესე იგი, საზოგადოებრივი აზრი დანაშაულის მიზეზი გახდის?! — გაიკვირვა მამიამ.

— მივადექით სათქმელს. საზოგადოებრივმა აზრმა, შეიძლება, კაცს დანაშაულის ჩასადენად უბიძგოს და, აგრეთვე, პირიქით, თავი შეაკავებინოს, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა გამოიციხოს.

— აგვიხსენი, თუ ძმა ხარ, ადამიანურად!

— 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე კანონი კრძალავდა სისხლის აღრევას. ესე იგი, იკრძალებოდა სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავეებს შორის აღმავალი და დღმავალი სახით: დედა და შვილი, მამა და შვილი, ბაბუა და შვილიშვილი... ახლა კანონი აღარ კრძალავს ასეთ საქციელს.

— აუპ, — შეიცხადა მამიამ.

ბიძინამ გაიკინა:

— ალბერ კამოუს ნათქვამს თუ გავიხსენებთ, ეს ასე შეიძლება განვმარტოთ—თუ რაღაც კანონით არ არის აკრძალული, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი დაშვებულია. მართლაც, რადუნდა იმას აკრძალვა, რაც ისედაც არ ხდება. სისხლის აღრევა, ვითომ იმიტომ არ ხდებოდა, რომ სისხლის სამართლის კანონით იყო აკრძალული? მას საზოგადოებრივი აზრი კრძალავს, თანაც, ისე, რომ კვერის დაკვერა არ ჰქირდება. ასეთი კანონი საზოგადოებისათვის შეუღრავს-მყოფელიც კი იქნება. ამას წინათ, აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს პრეზიდენტი დაიჭირეს და სხვა ბრალდებებთან ერთად, კანონი-ლოზმიც წაუყენეს. იქ კაცის ხორცის ჭამა კანონით არის აკრძალული; ხომ გასაგებია, რატომ?! ჩვენში ასეთი კანონი სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენებდა კანონმდებელს, გაგაიარა აღმფოთებამ?

— ეს უკვე სხვა საქმეა. — ჩილაპარაკა მამიამ.

— წავიწიოთ წინ! საზოგადოებრივი აზრი, ხანდახან, სამართლებრივ ნორმას აბათილებს არა მასთან თანხმობის გამო, არამედ, პირიქით, მიუღებლობის გამო. 1961 წლამდე კოდექსი კრძალავდა ყალიმს... ზოგიერთ ეროვნულ ჯგუფში საცოლე თუ არ იყიდებ ისე არ გამოგატანენ. ძალიან ძვირიც არის. ახლა, ყალიმი აღარ ისჯება.

— აღარ ჰქირდებათ ყიდვა, ალბათ. — ჩაურთო გოჩამ.

— არა, პირიქით! ისე ძლიერი, ისე საყოველთაო აზრი იყო ყალიმის სასარგებლოდ, რომ კანონმა აზრი დაკარგა, იგი ვეღარ მოქმედებდა, მაკონტროლებელი ძალა არ ჰქონდა. ასეთ დროს პირიქით ხდება ხოლმე — კანონიერების პრესტიჟი ქვეითდება, ამიტომ, ჩვენში საქართველოში ეს კანონი გააუქმეს. ყალიმი თავად საზოგადოებრივმა აზრმა უნდა გააუქმოს. ეს წესი, საცოლის ყიდვა, ეროვნულ უმ-

ცირსობებში ეროვნულ თავისებურებად არის გაგებული. მის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია, სანამ მისი ძირითადი წაწილი არ შეიგნებს, რომ ეროვნული თავისებურება აქ არაფერია შუაშია.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ... — შეიშვეშნა მაშა.

— მიგზვდი, — თქვა ბიძინამ, — ჩვენ ხომ ის გვინტერესებს თუ ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრი რატომ უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას?.. ერთი ამბავი მომაგონდა. ეს იმ ერთ-ერთ სოფელში მოხდა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილა სისხლის აღების წესი... ვახტანგის ძაღლმა დაკბინა მეზობელი პეტრე. გამწარებულმა პეტრემ თოფით მოკლა ძაღლი. ვახტანგმა ეს საქციელი ოჯახის შეურაცხყოფად მიიღო. ჩამოწვა სისხლი. გართულებების თავიდან ასაცილებლად პეტრემ საკუთარი ძაღლი მოაკვლევინა ვახტანგს. თითქოს ყველაფერი ჩაიფარცხა, მაგრამ სოფელმა ეს არ ჩათვალა სისხლის აღებად. წესით ვახტანგს უნდა მოეკლა პეტრეს გვარში საუკეთესო პირი. მას დაცინვა დაუწყეს. განსაკუთრებით იფოფრებოდა დედამისი; არცხვენდა, ჭალაჩუნას, წინაპრების სახელის შემარტყვენელს უწოდებდა. თავმოებურებული კაცი თბილისიდან ჩამოსულ პეტრეს ძმას დახვდა და ნაგაბით შუბლი გაუხვრიტა, იმ დღესვე მივიდა მილიციაში და დანაშაული აღიარა... რა იყო ამ დანაშაულის მიზეზი?! მოთხოვნების იმპულსი გამოსარიცხია. ნაგანი რომ ჰქონდა ის ხომ არა?

— ნაგანი რომ არ ჰქონოდა, თოფით მოკლავდა, ნაჯახით... სხვა რამით. — გამოცოცხლდა გოჩა.

— რა თქმა უნდა! მაშ, რა იყო მიზეზი?
— სისხლის აღების წესი, — დასაცვნა მამიამ.
— ხო! ვთქვათ, არ მოეკლა, რა მოელოდა მას?
— შერტყვენა, თავის მოჭრა. — სწრაფად უსასუხა მამიამ.

— ესე იგი, მკვლელობის მიზეზი იმ სოფელში ვაბატონებული საზოგადოებრივი აზრი იყო. ვახტანგმა მშვენივრად იცოდა, რომ სისხლის აღების მოტივით კაცის მოკლა არ შერტყებოდა; დასჯიდნენ და, საკმაოდ მკაცრად. შეიძლება — სიკვდილითაც. მას თავის დაღწევის იმედით არ ჰქონდა; ამიტომ ჩაბარდა. ამის მიუხედავად მაინც მოკლა სრულიად უდანაშაულო კაცი, კარგი მეზობელი და მეგობარი. იგი კარგა ხანს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. ბოლოს საზოგადოებრივმა აზრმა გადასძალა, გაიმეტა თანშეზრდილი კაცი, გაიმეტა საკუთარი თავიც. იმ მიკრო სოციალურ ჯგუფში, სადა ის ბიჭი აღიზარდა, სისხლის აღების წესის შესრულება დიდ სოციალურ ღირებულებად ითვლებოდა და უტოლდებოდა ვაჟაკობას, ღირსებას, ოჯახის პატიოსნების დაცვას, წინა-

პართა ხსოვნის თავყანისცემას, ესე იგი, ყოველივე იმას, რაც ვახტანგის „მე“ კონცეფციაში სახიერდებოდა. წესის შეუსრულებლობა მის „მეც“ დასცემდა... ასეთი ძალა აქვს საზოგადოებრივ აზრს.

— დახვრიტეს ის ბიჭი?
— მე ვიცავდი... ვეცადე დამემტკიცებინა, რომ ის ბიჭი ბუნებით მკვლელი კი არა, პირიქით კარგი ტრაქტორისტი იყო, მანამდე არაფერი ცუდი არ ჩაედინა, არც მიმაღვა არ უცდია. იგი უფრო საზოგადოებრივი აზრის მსხვერპლი იყო. ამიტომაც თხუთმეტი წელი აკმაბრეს..

— გამოდის, რომ... ყველა დანაშაულის მიზეზი საზოგადოებრივი აზრი ყოფილა. — გაუჟვირდა გოჩას.

— არა. ასეთი რამ გამოწაკისია. ძირითადად კი საზოგადოებრივი აზრი კანონის ნორმას ეთანხმება, ხელს უწყობს მის შესრულებას. არ მოკლა. არ იქურდო, ქრთამი არ აიღო, ქალი არ გააუპატიურო, სხვისი ქონება არ დააზიანო — ეს მხოლოდ კანონის მოთხოვნა კი არ არის, არამედ, საზოგადოებრივი აზრისაც. სოციალური კონტროლი და სამართლებრივი კონტროლი რომ ერთმანეთის მოკავშირე არ იყოს, დანაშაული წალეკავდა საზოგადოებას...

ბიძინა წამოდგა და ხელები ასწია:
— დღეს მოვრჩეთ უკვე პირველი საათია...

— ერთი პატარა საკითხი კიდევ და... — არ მოეშვა მამია, — გამოდის, რომ საზოგადოებრივი აზრია გადაწყვეტი... როცა კაცი დანაშაულს სჩადის, მამიაც საზოგადოებრივ აზრს მიჰყვება...
— კი.

— საზოგადოებრივი აზრი ხომ ქურდობის, ბანდიტიზმის და ყაჩაღობის წინააღმდეგია. მაშ რატომ იყაჩაღეს იმ ბიჭებმა?

— ვითომ, გრძელიძე ანგარიშს გაუწყვეს, შენს ან იმ საზოგადოებრივ აზრს, ვისაც ემხრობი?! მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თუ რას ფიქრობს ქურდობაზე, ვთქვათ, უნივერსიტეტის პროფესორა. მისთვის მისი ამხანაგების, ქურდების, მისი ეტალონური ჯგუფის აზრია მნიშვნელოვანი...
— აღრეც ასხენე ეტალონური ჯგუფი...

— ახლავე აგისხნით... ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი შიბუტანი ამბობს, რომ „ეტალონური ჯგუფის ცნება გულისხმობს ისეთ რეალურ ან წარმოსახვით ჯგუფს, რომლის მონაწილეთა შეხედულებების სისტემას პირი იყენებს როგორც ეტალონთა სისტემას. ეტალონური ჯგუფი იმ ღირებულებათა სისტემის შემცველია, რომლებითაც ადამიანი აფასებს თავის ქცევას“. ასე რომ, პიროვნებისათვის გაბატონე-

ბულ საზოგადოებრივ აზრს მნიშვნელობა აქვს თუ ეს აზრი გაბატონდება მის ეტალონურ ჯგუფშიც. არადა, არ მიიღებს თავისი ქვეყნის წარმმართველად. ქურდის „მე“ კონცეფცია ქურდების სოციალურ ჯგუფში ყალიბდება, იქ კი ქურდობა საპატიო სოციალური ღირებულების შემცველია, აქ კაცის ფასი იმით განისაზღვრება თუ რამდენად მოხერხებული ქურდია. ხომ გახსოვთ, გრძელიძეს მთელი სისტემა ჰქონდა ამ აზრის გასამართლებლად. ასეთი აზრის წყალობით ცოცხლობს ჩვენში ქურდობა, თუ არა, დამეთანხმებით, საერთო ჯამში მას კაცისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი და ტანჯვა მოაქვს. ქურდი არ ებუება კანონებს. სხვათა საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ შეძლებისდაგვარად იცავს საკუთარი ეტალონური ჯგუფის წესებს. უცნაურად ჩანს, მაგრამ მათი წესების დარღვევა უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე კოდექსის სჯის კანონის დამრღვევს. ქურდი ცდილობს, არ დაარღვიოს ეს „წესები“ და სხვა დასაჯოს მისი დარღვევისთვის, იმიტომ, რომ მისი „მე“ კონცეფცია ამაზეა აგებული, იმ წესების არდაცვა „მეს“ დაადაბლებს.

მაშიაც წამოვღა: — ერთი აზრი მიმყვება ხინჯად. ქურდებზე და ყაჩაღებზე გასაგებია... მაგრამ არიან ისეთებიც შეხედავ, შენნარი გგონია, კაცს ჰვავს... სინამდვილეში კი... ვისზე გელაპარაკები ხომ ხვდები?

— მექრთამეებს გულსხმობ, მივხვდი...

— ჰო!

— მოკლედ თუ ვიტყვით...

— გრძლად თქვი, სად გჩქარება!

— გრძლად, მერე. მოკლედ, კი ასეა: ამ თხუთმეტი წლის წინ სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა დაიპირეს ქრთამზე, ხომ გახსოვს რაში იღებდნენ ქრთამს: უღირსს აწყოზდნენ და ღირსეულს გარეთ ტოვებდნენ. წარმოიდგინე, რამხელა სულიერი და მატერიალური ზარალი მიაყენეს ამით საქართველოს — ამის აწონვა შეუძლებელია, ქრთამი, ხომ გახსოვთ, როგორ ისჯება? ახლა, წარმოიდგინეთ, იმ ინსტიტუტის რექტორისთვის ან პარტკომისთვის რომ ეთქვა ვინმეს, ამა და ამ კაცს უჯრაში მილიონი აქვს, მიდი და მოპარეო. რას უპასუხებდა. დხეთანხმებოდა?

— სრა მგონია...

— სწორია. მიუხედავად იმისა, რომ ასე მეტს იშოვიდა და ნაკლებ საფრთხეში ჩაიგდებდა თავს, არ იქურდებდა, იმიტომ, რომ ეს საქციელი მათი ეტალონური ჯგუფისთვის მიუღებელია, მექრთამეობის მიმართ კი შემწყნარებლობას იჩენენ. ავიღოთ მეორე მაგალითიც. საქართველოს მევიდრ მოსახლეობაში მათხოვრობა

თითქმის არ არის, მაღაზიებში ზომა-წონაში მოტყუება კი ხშირია, მაშინ, როცა მათხოვრობით არანაკლებს შოულობენ, არც ხალხი დევნის და, მაინცდამაინც, არც კანონი, ზომა-წონაში მოტყუება კი დამამაძიმებელ გარემოებაში შეიდ წლამდე პატიმრობით ისჯება, ბევრსაც იჭერენ. შეადარეთ, ასეთი გამყიდველი სულ შიშშია, მას იჭერენ, სჯიან, მყიდველები ეჩხუბებიან და მათხოვარზე მეტს მაინც ვერ შოულობს, მიუხედავად ამისა, არავითარ შემთხვევაში არ იმათხოვრებს, რატომ არის ასე? იმიტომ რომ საქართველოში არ არსებობს სოციალური ჯგუფი, სადაც მათხოვარს რაიმე სოციალური სტატუსი გააჩნდეს, არავის არ სურს მათხოვრის შესაბამისი „მე“ კონცეფცია ჰქონდეს; შეიძლება იქურდოს, იყაჩაღოს, მოატყუოს, იცუღლუტოს, მაგრამ არ იმათხოვრებს. გახსოვთ, ბაბუურმა რა თქვა, ხომ არ ვიმათხოვრებდიო. 1965 წელს „ახალგაზრდა კომუნისტმა“ გამოაქვეყნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წერილი, სადაც მოცემული იყო სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი. დამამთავრებელი კლასის ერთ-ერთი მოწაფე წერდა: „მე, არ მინდა, მასწავლებელი გავხდუ, მეცოდებიან ჩვენი მასწავლებლები, იმიტომ კი არა, რომ ისინი ბევრად უფრო ღირებები არიან, ვიდრე ჩვენი სოფლის ნავთის წერტის გამყიდველი, არამედ იმიტომ, რომ სოფლის და რაიონის თავკაცობა მეტ პატივს სცემს ნავთის წერტის გამგეს, ვიდრე მასწავლებელს“. ეს, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო ნათქვამი ძალზე ნიშანდობლივია. უბედურება ის არ არის, რომ პატიოსან კაცს ზოგჯერ სიღარიბე უწყრია. არა, მთავარია, რომ ჯიბეგასქელებულ საქმოსანს შეიძლება, სოციალურად უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდეს. ზოგიერთ მიკროჯგუფში საზოგადოებრივმა აზრმა ზურგი შეაქცია „ღარიბ და პატიოსან კაცს“, „საწყლად“ მონათლა იგი. ერთი სიტყვით, დღევანდელი საუბრიდან ასეთ დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: სამართლებრივი ნორმა, კანონის აკრძალვა განსაკუთრებით ქმედითა თუ მას საზოგადოებრივი აზრი უჭერს მხარს. რაც უფრო მეტ სოციალურ ჯგუფშია გაბატონებული სამართლებრივი ნორმის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი, მით შედეგია ნია კანონი. თუ კანონის სასარგებლო საზოგადოებრივ აზრს ყველა სოციალური ჯგუფი იზიარებს სამართლებრივი ნორმის ქმედითობა საყოველთაოა.

ბიძინა ფეხზე წამოვღა და ფანჯარაში გაიხედა: — დღეს საქმარისია, დანარჩენი ხვალ...

— დღეს მართლა გვეყოფა, წავიდეთ ახლა. — თქვა მაშინ და გოჩას კარებისაკენ ანიშნა.



ცნობილი სიხლის სამართლის საქმეები

მავიის ისტორია

დიდი გულაბი

ამერიკელნი სიხილნი

ჩვენს შერთებული შტატები ომში ჩაება, ლიუჩანო კვლავინდებურად იმყოფებოდა დანემორას ციხეში, რომელსაც „ციმბირი“ შეარქვეს. კოსტელო ფრთხილად გამგებლობს ნიუ-იორკში. ჭენოვეზე ხან რომშია, ხან კი ნეპოლში ან პალერმოში. რაც შეეხება დონ კალოს, იგი უკვე კონტროლს უწევს კუნძულის თითქმის ყველს კოსკას.

ოკეანის ორივე მხარეს მათიას საოცრად მშვიდად უჭირავს თავი. მის შესახებ თითქმის აღარ ლაპარაკობენ. თუმცა მას არასოდეს არ ჰყოლია ისეთი უნარიანი და ავტორიტეტული ხელმძღვანელები, როგორც ახლა; არასოდეს არ მართავდნენ ისე კარგად და საიმედოდ, როგორც ახლა. იგი ისეთი ძლევაძმოსილი პარტნიორი გახდა, რომ მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას.

1942 წლის შემოდგომაზე სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურმა კონტაქტი დაამყარა მათიას ხელმძღვანელობის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადვოკატთან — მოზეს პოლიაკოვთან იგი მეიერ ლანსკის ოფიციალური ადვოკატია და ცნობილია როგორც მეტად მოხერხებული პიროვნება. მაგრამ მაშინ საიდუმლო სამსახურები დაინტერესებული იყვნენ არა ამ ეშმაკი ებრაელით, არამედ თვით მეთაურით — ლიუჩანოთი. ისინი შესანიშნავად არიან საქმეში ჩახედულნი და იციან, რომ მეიერ ლანსკი „დიდი ბოსის“ პირადი მეგობარია და, რომ პოლიაკოვს კარგი ურთიერთობა აკავშირებს მის ადვოკატთან ჯორჯ ვოლფთან. ცნობილი არ არის ის, თუ სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამ-

სახურის დავალებით ლიუჩანოსათვის კონკრეტულად რა უნდა ეცნობინა პოლიაკოვს, როცა ამ სამსახურის წყალობით მისთვის გააღეს დანემორას ციხის კარები და პირისპირ ელაპარაკა შერთებული შტატების ნომერ პირველ სახელმწიფო მტერს, ცნობილი არც ის არის თუ რა უთხრეს ერთმანეთს ამ ორმა ადამიანმა, მაგრამ ამის შემდეგ სულ მალე ლიუჩანო გადაიყვანეს გაცილებით კომფორტაბელურ ციხეში, ოლბანის მახლობლად. აქ უკვე თავისუფლად შეეძლო გარე სამყაროსთან დაკავშირება.

დაბოლოს, მართალია მას ოცდათხუთმეტი წლით ჰქონდა პატიმრობა მისილი, მაგრამ მისმა ძველმა მოწინააღმდეგემ თომას დიუიმ, ყოფილმა პროკურორმა, ამყამად კი ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა განაჩინა ცხრანახევარ წლამდე შეუმტირა. 1946 წლის 9 თებერვალს ლიუჩანო ნეაპოლში გაამგზავრეს.

მხოლოდ სენტორ კეფოვერის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გამოაშკარავდა ამ უცნაური დიდსულოვნების საიდუმლოება. სენტორის თქმით ლიუჩანომ ამერიკას ისეთი სამსახური გაუწია, რომ მას არ შეეძლო მადლიერების ნიშნად თავისუფლება არ მიენიჭებინა მისთვის. კეფოვერმა დიდი თავშეკავება გამოიჩინა და არ აღწერა ამ „სამსახურის“ შესტი ხასიათი. იგრძნობა, რომ მას არ უნდა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს არც ვაშინგტონი და არც პალერმო. ლეგენდა უფრო სიტყვაუხევი გამოდგა.

იგი კი გვამცნობს, რომ მაფის დახმარების წყალობით მოკავშირეებმა შეძლეს კუნძულზე გადასხდომა და მისი სრული ოკუპაცია სარეკორდო მოკლე დროში. „სცილიის განთავისუფლების“ მთელი ოპერაცია მომხადდა ლიუჩანოს საკანში, რომელმაც ჩვენთვისა და ამერიკის საიდუმლო სამსახურების შუამავლობით მოაწყო მოკავშირეთა გადასახმა. თავისთავად ცხადია, რომ მთელ ამ ისტორიაში პირველხარისხიანი როლი შეასრულა დონ კალომ. თუმცა, როგორც ცნობილია, ამერიკელებმა იჩქარეს მისი დასაჩუქრება და იგი ქალაქის მერად დანიშნეს, მაგრამ ლეგენდა უფრო შორს მიდის. მის თანახმად, ლიუჩანო ესწრებოდა სამხედრო მოქმედებათა თეატრს. იგი კუნძულზე პარაშუტით დაუშვეს გადამწყვეტ დღემდე რამდენიმე ხნით ადრე. ერთნი ამტკიცებენ, რომ იგი ნახეს ჯელეში. სხვები მოგვითხრობენ, რომ 4 ივლისის დღით პატარა თვითმფრინავმა სულ ახლოს გადაუფრინა ვილაბლოს. მან მთავარ მოედანზე გადმოავლო ყვითელ ნაჭერში გახვეული პაკეტი ლიუჩანოს ინიციალით დიდი შავი „ლ“. როგორც ჩანს, ეს იყო ბარათი, რომლითაც ამერიკელი ბოსი თავის უკანასკნელ ინსტრუქციებს აძლევდა დონ კალოს.

ლეგენდაა ეს თუ არა, სინამდვილე კი სინამდვილად რჩება. 10 ივლისს გამთენიისას მოკავშირეთა ჯარებმა გადასხმა განახორციელეს, სამი კვირის შემდეგ კი მთელი კუნძული ჩაიგდეს ხელში. ფაშისტები გარბოდნენ ბევრი კი უკვე ციხეში იყო, მაფისა, გამარჯვების დიდ ორგანიზატორს, შეეძლო ეზვიმა. სწორედ ამ მომენტში გარდაიცვალა ჩამოგდებული ბებერი მეფე — დონ ვიტო კაშო ფერო. მის გამო შური იძიეს, ხოლო იმის თაობაზე თუ ვინ გახდებოდა მისი მემკვიდრე, არავითარი ეჭვი არ არსებობდა. ახლა დონ კალო, და მხოლოდ ის, გახდა უეჭველი თავკაცი აღმდგარი „პატივცემული საზოგადოებისა“.

ქანები, იაფი ბენზინი, ტონობით სურსათი და იარაღი, სიგარეტი და ტანისამოსი, კემპარტულა ალი ბაბას გამოქვავული, რომლიდანაც მათა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ხაბადა საქონელს და ჰყიდა ოქროზე. ნუთუ ამერიკელები ბრმები იყვნენ? ეს გამორიცხული როდია. მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ მათ ყველაფერი იცოდნენ და ნებაზე მიუშვეს. მათ შორის ბევრი, როგორც მაგალითად, მათი ხელმძღვანელი, იტალიური წარმოშობის არის. მთავარი კი ისაა, რომ მათ მეტისმეტად კარგად ეცნობოდნენ ამიტომაც შემწყნარებლობას იჩენენ. იმ პირობით, თუ თვალს დახუჭავდნენ, მათ სთავაზობდნენ იმას, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ: ღვინო, თავაზიანობა და ქალები.

მაგრამ, თუმცა მაფისა შეუძლია გაღიმება, ბრწყინვალე მიღებების მოწყობა და საზეიმო ატმოსფეროს შექმნა, სულის სიღრმეში იგი მაინც ცივი და შორსმჭვრეტელია. იმ დროს, როცა მათი სტუმრები სვამენ და ერთობიან, მაფია სარგებლობს ირგვლივ გაეფეხებული უსაზღვრო უწყსრილობით, ახერხებს ტრიბუნალების არქივებში შეღწევას და მაკომპრომტირებული დოსიეების განადგურებას. მშვილობის აღდგენის შემდეგ უცებ შეინიშნეს, რომ მაფის წევრთა ყველა სასამართლო დოსიე სადღაც გამჭრალიყო. შემდეგ ხელში იგდეს მიწებს, რომლებიც ფაშისტების დროს თავადებს დაუბრუნეს. ბარონები კვლავ იძულებული შეიქნენ მიეცათ მაფისათვის თავიანთი ადგილმამულები და საცხოვრებლად ქალაქში წასულიყვნენ. მაგრამ ეს მაფის არ აკმაყოფილებს. იმისათვის, რომ საბოლოოდ დაუფლებოდნენ ხელისუფლებას, საჭირო იყო ქალაქების მმართველობის საკვანძო პოსტების — პარლამენტში დეპუტატების ადგილების, სხვადასხვა ორგანოებში ხელმძღვანელი პოსტების და სხვ. ხელში ჩაგდება.

სეპარატული მოძრაობა

კლივამოსილება და დიდება

მომდევნო სამ წელიწადში დონ კალოს მაფიამ მიადწია ძლევა მოსილებას, მან ეს შეძლო ამერიკელების, იმ სიდატაკისა და ანარქიის წყალობით, რომელიც ირგვლივ სუფევდა, იმ ომით, რომელიც სადღაც კვლავ გრძელდებოდა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო აღმინისტრაციის მეთაურობდა წარმოშობით იტალიელი, პოლკოვნიკი პოლეთი. მისი მარჯვენა ხელი და ნიღბით აღჭურვილი პირი ვინ იქნებოდა, თუ არა თვით დონ ვიტო ჩვენთვის.

ადვილი მისახვედრია, რომ მთელი მაფია, სარგებლობდა ამ წარმატებით. ამერიკული არმია — ეს არის ტექნიკა, სატვირთო ავტომან-

კუნძულზე მაფის გაბატონებამ მოსახლეობის განსაკუთრებით დამშეული გლეხობის წინააღმდეგობა გამოიწვია. ამბოხებებიც კი მოაწყვეს. მაგრამ მაფიამ სწრაფად დაამყარა წესრიგი. იგი კონტროლს უწყვეს ახალგაზრდა ბანდიტების დიდ უმრავლესობას და მათ იყენებს სოფლების ტერორიზებისათვის. მაგრამ ზოგჯერ შიმშილი შიშზე ძლიერია. 1943-1944 წლების მაკარ ზამთარში გლეხები ძალით შედიოდნენ ხორბლეულის ბედლებში ან პალერმოს ქუჩებში დემონსტრაციებს აწყობდნენ. საჭირო გახდა არმიის ჩარევა. სისხლისმღვრელმა შეტაკებამ 100-ზე მეტი ადამიანი შეიწირა.

მაფია მიხვდა, რომ საჭირო გახდა უფრო მოქ-

ნილი პოზიციის დაკავება, მთავარი კი ის იყო, რომ სიცილიელთა ყურადღება აეცილებინათ შავი ბაზრის, კორუფციისა და ძალმომრეობისათვის. მაგრამ კიდევ რა შეიძლებოდა? იმის თავი არ ჰქონდათ, რომ ხალხისთვის მიეცათ რაღაც სულიერი საზრდო. საბედნიეროდ, ლიბერალეზმში მყოფმა მეგობრებმა გაუწიეს დახმარება გართულებული ვითარებიდან თავის დასაღწევად.

ეს მეგობრები ფიქრობდნენ არა მარტო ჯიბის გასქელების ან ციხეებსა და გადასახლებაში გატყვევნილ დროის ანაზღაურებისათვის, არამედ ჰქონდათ წმინდა პატივმოყვარული პოლიტიკური გეგმებიც. მაგრამ იმ დროს, როცა ისინი თითქმის დარწმუნდნენ, რომ ფაშისმი სპეში ალარ იყო, შიშით შენიშვნა ახალი, ასევე სახიფათო მტერი — კომუნისმი, ასეთ ვითარებაში ლიბერალეზმის მაშინდელმა ლიდერმა, ყოფილმა დეპუტატ-დემოკრატმა ფინოკიარო აპრილემ წამოაყენა უბრალო წინადადება. მისი აზრით, ყველაზე კარგი იქნება „წითელი საფრთხისთვის“ წინააღმდეგობის გაწევა — ეს სიცილის გამოაყოფს იტალიისაგან და შეუერთებს შეერთებულ შტატებს, გახდის მას ამერიკის დროშის 49-ე ვარსკვლავად.

როცა დონ კალოს გაუზიარეს ეს მოსაზრება, თავდაპირველად იგი შესანიშნავ იდეად მიიჩნია. მან ამაში უმთავრესად დაინახა „პატივცემული საზოგადოების“ „კოზა ნოსტრაში“ შერწყმისა და ამით მისთვისა და მისი მეგობრებისათვის გიგანტური ბაზრის მოპოვების შესაძლებლობა. თვით ამერიკელები ამ იდეას ასევე დადებითად შეხვდნენ. ისინი, ცხადია აღფრთოვანებულნი იყვნენ ერთი ფეხით ევროპაში ყოფნის შესაძლებლობით. სიცილის წყალობით კონტროლს გაუწევდნენ მთელს ხმელთაშუაზღვის აუზს. ფინოკიარო აპრილეს წინაშე მშვენივრად აღმოჩნდა და 1943 წლის 9 დეკემბერს პალერმოში დიდი ზეიმით გამოაცხადეს სიცილიური სეპარატიზმის ქარტია.

სეპარატულ იდეას მაშინვე უდიდესი მხარდაჭერა ჰვდა წილად. სიცილიელები ბოლომდე არასოდეს არ ცნობდნენ იტალიელებს, და სულ თავიდან, 1860 წლიდან, მათ მეტ-ნაკლებად ყოველთვის მიაჩნდათ ისინი ოკუპანტებად. ფაშისმი ეს განწყობილება უფრო გამაყვავა, ამიტომ ფინოკიარო აპრილემ გადაწყვიტა, რომ დაღდა დიდი რეფერენდუმის ჩატარების ხელსაყრელი დრო. მაგრამ ინგლისელები და განსაკუთრებით რუსები არ ეთანხმებოდნენ. როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს სრულებითაც არ სურდა, რომ ამერიკელები საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ ევროპაში. მეორე მხრივ თვით იტალიაში ვითარება სწრაფად იცვლებოდა. ხელისუფლება მუსოლინის უკვე

ალარ ეჭირა ხელში. რამდენიმე ხანს სათავეში აღმოჩნდა მარშალი ბადოლიო, რომელიც თანახმა იყო ხელი მოეწერა მოკავშირეთა ზავზე და გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ მათთან გაერთიანებაზე კი, მხოლოდ იმ პირობით, თუ სიცილია იტალიას დარჩებოდა. ამერიკელებს ისღა დარჩათ, ზურგი ექციათ ფინოკიარო-აპრილესა და მისი ოცნებისათვის.

როგორ მოიქცა მათა ამერიკელთა ასეთი მკვეთრი შემობრუნების შემდეგ? მას ხომ ძალიან არ უყვარს არჩევანი. თავი დაენებებინა იმ საქმისათვის, რისთვისაც ამდენი იბრძოლა და რაც ასე ძვირი დაუჯდა? ელატა მოკავშირეებისათვის, რომლებიც მის მიმართ ესოდენ კეთილი ნებით იყვნენ განმსჯვალულნი? სიცილის საზოგადოების თვალში ისე წარმოჩენილიყო, თითქოს სხვაგან გადაბარგდა? თუ ებრძოლა იმ იდეისათვის, რომელიც როგორც აღმოჩნდა, კრახისათვის იყო განწირული? ადვილი მისახვედრია, რომ მან სწრაფად გააკეთა არჩევანი, მაგრამ მისი გამოცხადება ასევე სწრაფად შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი იძულებულია მიმართოს კვლავ ლავირებას. ერთი მხრივ, ისევე უჭერს მხარს სეპარატიზმს, რომელთა სათავეშიც იმ დროისათვის მოექცა სახელგანთქმული ბელადი, ბანიტი სალვატორე ჯულიანო. მეორე მხრივ, იგი იწყებს დაახლოებას მემარცხენე პარტიებთან, რომლებიც იცავდნენ საოლქო ავტონომიას, რაშიც მათა ხედავდა საუკეთესო სათადარიგო გამოსავალს.

გაუმარჯოს ქრისტიანულ დემოკრატებს

მაგრამ მათა სწრაფად მიხვდა, რომ ვერასოდეს შეძლებდა სოციალისტებთან და, მითუმეტეს, კომუნისტებთან მორიგებას. მას, როგორც ყოველთვის, ახლაც მსხვილი კონსერვატული პარტია სჭირდება. ქრისტიანული დემოკრატია უზრუნველყოფს მას იდეალური გადაწყვეტით. აქედან მოყოლებული იგი ემყარება მხოლოდ ამ პარტიას, გამოიყენებს მთელ თავის გავლენას და გაუწევს მას მხარდაჭერასა და დახმარებას. მაგრამ მათა ჯულიანოს ჯერ არ მიატოვებს ბედის ანაბარა, რადგან იგი შეიძლება კიდევ დასჭირდეს. მაგალითად, კომუნისტების ზოგიერთი პირველი თავადის ან ბარონის ტერორიზმისათვის. უკანასკნელ წლებში გახშირდა მოტაცებები გამოსყიდვის მოთხოვნით, პოლიტიკური შანტაჟები, მემარცხენე პარტიების შტაბ-ბინათა დარბევა-განადგურების ფაქტები. ტერორის ეს კამპანია დასრულდა 1947 წლის პირველ მაისს პორტელადელა ჯინესტრაში გამართული ხოცვა-ჟლეტით, რის შედეგადაც დაიღუპა 11 სრულიად უდანაშაულო ადამიანი.



მაფიას შეუძლია დაიკეცხოს, რომ მთელი ეს დანაშაულობანი ტყუილუბრალოდ არ ჩაუდენია. მთელი ის უსიამოვნებანი, რაც ამან მოუტანა, ანაზღაურდა 1948 წელს. მართლაც, 1948 წელი იყო ტრიუმფის წელი მისი პარტიორის—ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისათვის, რომელმაც პარლამენტის არჩევნებში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია.

მაგრამ ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს პოლიტიკა მაფიის ერთადერთი საზრუნავი იყო. იგი ერთდროულად რამდენიმე სკამზე ზის სიცილიის ოლქის შექმნა მოქმედებისა და მოგების მიღების უზარმაზარ საშუალებებს იძლევა. ბოლოსდაბოლოს, ხომ ცხადია, არწმუნებს საკუთარ თავს მაფია, რომ რამდენადაც იტალიას სურს სიცილია იყოლიოს თავისი ჩექმის ქვეშ, ბუნებრივია, იგი ბევრსაც გადაიხდის ამ პრივილეგიისათვის.

პირველი შემთხვევაა, როცა ნახევარკენტულის დროს აღსაყვამ კეთილი ნებით, მას, როგორც ჩანს, გულწრფელად სურს, რომ კენტულმა ამოქაჩოს თავისი ეკონომიკური ჩამორჩენილობა და ერთხელსადაც დაიშინოს თავი დააღწიოს საუკუნოვან სიღატაკეს. იტალია სიცილიას აძლევს მილიარდებს სკოლებისა და სავადადმოფოების აშენებისათვის, საპროექტო ნაგებობების გაფართოებისა და გზათა ქსელის განახლებისათვის, ყოველივე ეს, მართლაც რომ იღბალი და ციური მანანა იყო მაფიისათვის, რომელიც დაუყოვნებლივ მთავარ მეწარმედ იქცა კუნძულზე.

„კოზა ნოსტრა“ ომის შემდეგ

უცნაური დამთხვევით 1946 წელს ჯენოვებზე დაბრუნდა ნიუ-იორკში, ხოლო ლაკი ლიუხინოს ათავისუფლებენ. მათი გზები გადაჯაგრედინდა. იმ დროს, როცა ერთი მათგანი კვლავ იკავებს თავის ადგილს „კოზა ნოსტრას“ სათავეში, მეორე სახლდება ნეაპოლში.

ჩვენ უკვე ვთქვით, თუ გუბერნატორმა თომას დიუმი ყოფილი მტერი რატომ გაათავისუფლა და გამგზავრა საშობლოში. ასევე სანტერესოა ამერიკაში ჯენოვებზე დაბრუნების ისტორიაც.

1944 წლის 27 აგვისტოს ნოლში ჯენოვებზე დაპატიმრა ამერიკის არმიის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების სერჟანტმა ორეინჯ დიკმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა შავი ბაზრის სპექულანტებთან ბრძოლა. ახალგაზრდა კაცმა თავისი საქმე გააკეთა და არ იცოდა, რომ მან შეიპყრო მაფიის ნომერ მესამე ხელმძღვანელი და რომ მას აღარასოდეს ეყოლებოდა ამაზე უფრო დაუდევარი პატიმარი. მაგრამ იგი იმდენად გულუბრყვილო იყო,

რამდენადაც პატიოსანი. მან ხელში ჩაიგდო დანაშაულები და გაუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას უბრძანებენ თვით მართლმსაჯულების ორგანოები. ჯერ კი მან თითქმის არაფერი იცის მაფიის თაობაზე და მითუმეტეს იმაზე, თუ რა ადგილი უკავია ამ ქმს ტუსაოს. მაგრამ შექმნილი ვითარების ძალით მან მეტად სწრაფად გამოასწორა ეს ხარვეზი, ჯენოვებზე, რომელიც გაცეხებული და ამავე დროს აღზფოთებულიც იყო, რომ მას ისე მოექცენ, როგორც უბრალო პიჩოტს, თავდაპირველად სერჟანტის შეცდომა სისულელედ ან უცოდინარობად მიიჩნია. მან უბრალოდ ფული შეაძლია, რათა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა იგი და დაევიწყებინა ეს შეცდომა. მაგრამ დიკი ამ საქმეს სხვანაირად უყურებს. თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ უარყო ეს წინადადება. შემდეგ, მართალია, გაცეხებული იყო იმ მღელვარებით, რაც ამ დაპატიმრებამ მალა წრეებში გამოიწვია, მაგრამ გამოძიება მიიწვი დაიწყო. უწინარესად, მან აღმოაჩინა ჯენოვებზე ნეაპოლიტანური ბინა, რომელიც ისეთივე მდიდრული იყო, როგორც რომელიმე მილიარდერის. აქ მან სერკეტერში იპოვა საგულდაგულოდ შენახული რამდენიმე პაკეტი სარეკომენდაციო წერილებითურთ, რომლებსაც ხელს აწვრილდნენ მალაი თანამდებობის ამერიკელი ოფიცრები, აგრეთვე გამგზავრების ნებართვა. სრულიად ბუნებრივია რომ გადაწყვიტა პოლემიკა პოლემის გამოკითხვა, რომლის თარჯიმანი და ნდობით აღჭურვილი პირიც ჯენოვებზე გახლდათ. ოფიცრმა პასუხის გაცემაზე უარო განაცხადა. დიკის გული არ გაუტეხია. განაგრძო გამოძიება და მოქექა თავისი ტუსაოს ამერიკული წარსული. ახალი მოულოდნელობა: ნიუ-იორკიდან აცნობეს, რომ წერილმანი განგსტერი გვარად პიტერ ლა ტემპა, რომელიც ნარკოტიკების კონტრბანდული ვაჭრობისათვის ციხეში ზის, მზად არის დონ ვიტოს საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის 1934 წელს ჩადენილი მკვლელობის თაობაზე.

ახლა კი შეშინდა ჯენოვებზე, მას სრულებითაც არ სურს საქმე იქონიოს ნიუ-იორკის პოლიციისთან და თავისუფლების გამოსასყიდლად 250 ათას დოლარს სთავაზობს დიკს. მაგრამ სერჟანტმა საბოლოოდ გადაწყვიტა მოუსყიდველი ყოფილიყო და უარი განაცხადა. ჯენოვებზე ვერ მალავს ვერც აღზფოთებას და ვერც ზიზს. როგორ შეიძლება კაცმა, რომელსაც კვირაში მხოლოდ 210 დოლარი ხელფასი აქვს, უარი თქვას სიმდიდრეზე? მაგრამ ჯენოვებზე მალე კვლავ გაიღიმებს, ხელს მეგობრულად დაარტყამს მხარზე სერჟანტს და ეტყვის, რომ იგი სიხარულით დაბრუნდება შემერთებულ შტატებში. სერჟანტმა მალე შეიტ

ყო მისი ამ მოულოდნელი ცვლილების მიზეზი: ლა ტემპა ეს-ესაა მოწამვლით გარდაცვლილიყო ციხეში, ცოტა ხნის შემდეგ ბრუკლინში ჯენოვეზე სასამართლოს წინაშე წარსდგა და გაათავისუფლეს სამხილთა უკმარისობის გამო.

ჯენოვეზეს ნიუ-იორკში დაბრუნება სენსაციამ იყო და გარკვეული მღელვარება გამოიწვია „კოზა ნოსტრას“ ოჯახში. ახლა, როცა ლიუჩანო ნეაპოლში გააგზავნეს და რამდენიმე საიდუმლო პოლიციამ მასზე მეთვალყურეობა დააწესა, ჯენოვეზე ამერიკაში მისი ადგილის დაკავებას აპირებს. ერთადერთი კაცი, ვისაც შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის, ეს იყო ფრენკ კოსტელო. მაგრამ მას, როგორც ჩანს, არ უნდოდა დაპირისპირებოდა მრისხანე მოწინააღმდეგეს. იგი ხომ როგორც ცნობილია, ბიზნესმენი უფრო იყო, ვიდრე — განგსტერი. ჩათვალა, რომ ადგილი ყველას ეყოფა და მორიგება ჯობდა სიკვდილს, როგორც ეს უწიათ მასერიისა და მარინანოსკა.

როგორ იტყვება ზვიდი ათასი დოლარი სამ მილიონად

ჯენოვეზე კარგად ერკვეოდა ადამიანებში და სწრაფად მიხვდა, რომ მისთვის ოჯახის თავი ლიუჩანო საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. მითუმეტეს კმაყოფილია, რომ თავს არ მოიხვევს ტერორს. მართალია, იგი გამამართლეს, მაგრამ იცის, რომ პოლიცია ყურადღებით ადევნებს თვალს და ამჯერად არ სურს ხალხის ყბაში ჩაყარდნა. თუმცა იგი და კოსტელო მრავალი მნიშვნელოვანი პუნქტის თაობაზე ერთმანეთს ეთანხმებიან, კერძოდ, ნარკოტიკების კონტრაბანდული ვაჭრობის მიმართ ორივე დიდ სიფრთხილეს იჩენს. მათ ვერ გადაუწყვეტიათ „კოზა ნოსტრას“ ჩაბმა ამ მომგებიან, მაგრამ ხაფანგებით სავსე ზიფთიან სფეროში. მათ საკმაოდ კარგად იციან, რომ ნარკოტიკების საქმეთა ბიურო საშიში მოწინააღმდეგეა, არაფერზე უკან არ დაიხვევს. იმისათვის, რომ მოფიქრების დრო ჰქონოდათ და კონსულტაციები მიეღოთ ლიუჩანოსაგან, რომელიც განსაკუთრებულ სინდისის ქენჯანს არ განიცდიდა, დასაწყისისათვის თავის ხალხს აუკრძალეს ჰეროინით ვაჭრობა.

მაგრამ გამდიდრების წყურვილი დიდი იყო. მათვის წევრები არ ასრულებენ თავიანთი უფროსების მოვალეობებს. პირველად ჯენოვეზემ მისცა მათ ამის უფლება, მხოლოდ იმ პირობით თუ, ცხადია, ყველაფერს თვითონ გაუწყვედა კონტროლს. ბოლოსდაბოლოს, თუ „კოზა ნოსტრა“ არ გამოიყენებდა ამ ოქროს ძარღვს, მას ხომ სხვები გამოიყენებენ. ამიტომ ჯობია სწრაფდ მან გაუწყვიოს ექსპლოატაცია ამ ძარღვს.

განა ხშირად შეხვედებით გამდიდრების ასეთ შესაძლებლობას.

ამაში რომ დაერწმუნდეთ, საკმარისია შემდეგი გამოანგარიშება. იმ პერიოდში, რომელზეც ვლაპარაკობთ, მთელი ოპიუმი შემოდოდა თურქეთიდან, სადაც ის თავისუფლად მოჰყავდათ. ადგილზე კილოგრამ ოპიუმში იხდიან 70 დოლარს. სტამბულიდან არალეგალურად გადააქვთ ლიბანში, სადაც სპეციალიზირებულ ლაბორატორიებში გადის პირველ გადაამუშავებას — „დაწნევას“, რის შედეგადაც გადაიქცევა იმად, რასაც მორფს უწოდებენ. 100 კილოგრამი ოპიუმიდან იღებენ 10 კილოგრამ მორფს. ეს 10 კილოგრამი მორფი უკვე 15 ათასი დოლარი ღირს. შემდეგ გადააქვთ სხვა, ასევე საიდუმლო ლაბორატორიებში, მაგალითად, მარსელში; იქ იგი გადის ახალ გადაამუშავებას და წონის შეუცვლელად იქცევა სუფთა ჰეროინად. ამჯერად მისი ფასი არა ორმაგდება, არამედ სამმაგდება. მარსელში 10 კილოგრამი სუფთა ჰეროინი 50 ათასი დოლარი ღირს. მაგრამ მოგზაურობა ამით როდი მთავრდება. საფრანგეთიდან ეს ძვირადღირებული თეთრი ფხვინილი ნეაპოლის ან პალერმოს გავლით იგზავნება ამერიკაში. ის ჯერ არ გადმოუტვირთავთ, ფასმა კი უკვე მოიმატა — მარსელში თუ 50 ათასი დოლარი ღირდა, ახლა 160 ათასი ღირს. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ საბითუმო ფასია. 10 კილოგრამი სუფთა ჰეროინიდან მზადდება 700 ათასი ულუფა. თითოეული მათგანი ღირს 5 დოლარი; ახლა შეიძლება მიღებული უზარმაზარი თანხის გამოანგარიშება: 3 მილიონ დოლარზე მეტი. მაშასადამე, 7 ათასი დოლარის დახარჯვით შეიძლება 3 მილიონი დოლარის მიღება. რა თქმა უნდა, ამ თანხიდან უნდა გამოირიცხოს მრავალრიცხოვანი ხარჯები: ლაბორატორიები, ტრანსპორტირება, სხვადასხვა ჯურის შუამავლები. მიუხედავად ამისა, მოგება მაინც ფანტასტიკურია.

კონტრაბანდის ოკბანიზაციი

შთელ ამ ნარკოტიკებით კონტრაბანდულ ვაჭრობაში, რომელმაც მოკლე დროში მსოფლიო მასშტაბი შეიძინა და მის მესვეურებს უზარმაზარი სიმდიდრე მოუტანა, ლიუჩანო მეტად მნიშვნელოვან, მაგრამ საიდუმლო როლს ასრულებს.

როგორც ვიცით, იგი ნეაპოლში ტასოს ქუჩაზე მდებარე ვილაში ცხოვრობს. მისი მეგობარი ქალია ლა სკალას ყოფილი ვარსკვლავი ლამაზი იჯეა ლისონი. იმისათვის, რომ გაემართლებინა თავისი ხელგაშლილი ცხოვრება, ლიუჩანომ იყიდა სანიტარიისა და ჰიგიენის საგნებით მოვაჭრე მილაზია. იგი იშვიათად გამოდის

ყო მისი ამ მოულოდნელი ცვლილების მიზეზი: ლა ტემა ეს-ესაა მოწამვლით გარდაცვლილიყო ციხეში. ცოტა ხნის შემდეგ ბრუკლინში ჯენოვეზე სასამართლოს წინაშე წარსდგა და გაათავისუფლეს სამხილთა უკმარისობის გამო.

ჯენოვეზეს ნიუ-იორკში დაბრუნება სენსაციას იყო და გარკვეული მღელვარება გამოიწვია „კოზა ნოსტრას“ ოჯახში. ახლა, როცა ლიუჩანო ნეაპოლში გააგზავნეს და რამდენიმე საიდუმლო პოლიციამ მასზე მეთვალყურეობა დააწესა, ჯენოვეზე ამერიკაში მისი ადგილის დაკავებას აპირებს. ერთადერთი კაცი, ვისაც შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის, ეს იყო ფრენკ კოსტელო. მაგრამ მას, როგორც ჩანს, არ უნდოდა დაპირისპირებოდა მრისხანე მოწინააღმდეგეს. იგი ხომ როგორც ცნობილია, ბიზნესმენი უფრო იყო, ვიდრე — განგსტერი. ხათვალა, რომ ადგილი ყველას ეყოფა და მორიგება ჯობდა სიკვდილს, როგორც ეს ეწიათ მასერიასა და მარანძაოსკა.

როგორ იქცევა უზიდო ათასი დოლარი სამ მილიონად

ჯენოვეზე კარგად ერკვეოდა ადამიანებში და სწრაფად მიხვდა, რომ მისთვის ოჯახის თავი ლიუჩანო საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. მიუთმეტეს კმაყოფილია, რომ თავს არ მოიხვევს ტერორს, მართალია, იგი გასამართლეს, მაგრამ იცის, რომ პოლიცია ყურადღებით ადევნებს თვალს და ამჯერად არ სურს ხალხის ყბაში ჩავარდნა. თუმცა იგი და კოსტელო მრავალი მნიშვნელოვანი პუნქტის თაობაზე ერთმანეთს ეთანხმებიან, კერძოდ, ნარკოტიკების კონტრბანდული ვაჭრობის მიმართ ორივე დიდ სიფრთხილეს იჩენს. მათ ვერ გადაუწყვეტიათ „კოზა ნოსტრას“ ჩაბმა ამ მომგებიან, მაგრამ ხაფანგებით სავსე ხიფათიან სფეროში. მათ საკმაოდ კარგად იციან, რომ ნარკოტიკების საქმეთა ბიურო საშიში მოწინააღმდეგეა, არაფერზე უკან არ დაიხვეს. იმისათვის, რომ მოფიქრების დრო ჰქონოდათ და კონსულტაციები მიეღოთ ლიუჩანოსაგან, რომელიც განსაკუთრებულ სინდისს ქნეჯნას არ განიცდიდა, დასაწყისისათვის თავის ხალხს აუკრძალეს ჰეროინით ვაჭრობა.

მაგრამ გამდიდრების წყურვილი დიდი იყო. მაფის წყურები არ ასრულებენ თავიანთი უფროსების ბრძანებებს. პირველად ჯენოვეზემ მისცა მათ ამის უფლება, მხოლოდ იმ პირობით თუ, ცხადია, ყველაფერს თვითონ გაუწევენ კონტროლს, ბოლოსდაბოლოს, თუ „კოზა ნოსტრა“ არ გამოიყენებდა ამ ოკროს ძარღვს, მას ხომ სხვები გამოიყენებენ. ამიტომ ჯობია სწორედ მან გაუწიოს ექსპლოატაცია ამ ძარღვს.

განა ხშირად შეხვდებით გამდიდრების ასეთ შესაძლებლობას.

ამაში რომ დაერწმუნდეთ, საკმარისია შემდეგი გამოანგარიშება. იმ პერიოდში, რომელზეც ვლაპარაკობთ, მთელი ოპიუმი შემოდოდა თურქეთიდან, სადაც ის თავისუფლად მოჰყავდათ. ადგილზე კილოგრამ ოპიუმში იხდიან 70 დოლარს. სტამბულიდან არალეგალურად გადაიქვთ ლიბანში, სადაც სპეციალიზირებულ ლაბორატორიებში გადის პირველ გადამუშავებას — „დაწნეხვას“, რის შედეგადაც გადაიქცევა იმად, რასაც მორფს უწოდებენ. 100 კილოგრამი ოპიუმიდან იღებენ 10 კილოგრამ მორფს. ეს 10 კილოგრამი მორფი უკვე 15 ათასი დოლარი ღირს. შემდეგ გადაიქვთ სხვა, ასევე საიდუმლო ლაბორატორიებში, მაგალითად, მარსელში; იქ იგი გადის ახალ გადამუშავებას და წონის შეუცვლელად იქცევა სუფთა ჰეროინად. ამჯერად მისი ფასი არა ორმაგდება, არამედ სამმაგდება. მარსელში 10 კილოგრამი სუფთა ჰეროინი 50 ათასი დოლარი ღირს. მაგრამ მოგზაურობა ამით როდი მთავრდება. საფრანგეთიდან ეს ძვირადღირებული თეთრი ფხვნილი ნეაპოლის ან პალერმოს გავლით იგზავნება ამერიკაში. ის ჯერ არ გადმოუტვირთავთ, ფასმა კი უკვე მოიმატა — მარსელში თუ 50 ათასი დოლარი ღირდა, ახლა 160 ათასი ღირს. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ საბითუმო ფასია. 10 კილოგრამი სუფთა ჰეროინიდან მზადდება 700 ათასი ულუფა. თითოეული მათგანი ღირს 5 დოლარი; ახლა შეიძლება მიღებული უზარმაზარი თანხის გამოანგარიშება: 3 მილიონ დოლარზე მეტი. მაშასადამე, 7 ათასი დოლარის დახარჯვით შეიძლება 3 მილიონი დოლარის მიღება. რა თქმა უნდა, ამ თანხიდან უნდა გამოირიცხო მრავალრიცხოვანი ხარჯები: ლაბორატორიები, ტრანსპორტირება, სხვადასხვა ჯურის შუამავლები. მიუხედავად ამისა, მოგება მაინც ფანტასტიკურია.

კონტრბანდის ორგანიზაცია

მთელ ამ ნარკოტიკებით კონტრბანდულ ვაჭრობაში, რომელმაც მოკლე დროში მსოფლიო მასშტაბი შეიძინა და მის მესვეურებს უზარმაზარი სიმდიდრე მოუტანა, ლიუჩანო მეტად მნიშვნელოვან, მაგრამ საიდუმლო როლს ასრულებს.

როგორც ვიცით, იგი ნეაპოლში ტასოს ქუჩაზე მდებარე ვილაში ცხოვრობს. მისი მეგობარი ქალია ლა სკალას ყოფილი ვარსკვლავი ლამაზი იჭვა ლისონი. იმისათვის, რომ გაემართლებინა თავისი ხელგაშლილი ცხოვრება, ლიუჩანომ იყიდა სანტარისა და ჰიგიენის საგნებით მოვაჭრე მალაზია. იგი იშვიათად გამოდის

გარეთ, ხოლო როცა კი ცხვირს გამოჰყოფს, მას მაშინვე კვალში უდგებიან მაძებრები. ჩანს, მისი ერთადერთი გასართობი დღლია, რომელსაც რეგულარულად ესწრება. დღში ცოტას თამაშობს კიდეც და ამბობენ, რომ რამდენიმე ცხენი მას ეკუთვნოდა. თუ მას იშვიათად ნახავდით ვილის საზღვრებს მიღმა, სამაგიეროდ თავისთან იღებდა უამრავ ხალხს. ყოველი მხრიდან ჩამოსული მეგობრები რეგულარულად მოდიან აქ, რათა ისაუბრონ ან ისადილონ მასთან.

ეს არის სულ, რაც მის შესახებ ვიცით.

1947 წელს სრულიად კანონიერი პასპორტით ჰავანაში ჩადის. შეერთებული შტატები ახლოა და ოჯახის ხელმძღვანელები კასტელოს მეთაურობით ჩადიან მასთან შესახვედრად. ეს შეხვედრები ნაყოფიერი გამოდგა — საბოლოოდ გადაწყდა ნარკოტიკებით კონტრაბანდული ვაჭრობის ორგანიზების საკითხი. ნარკოტიკების საქმეთა ბიურო, რომელიც როგორც შორიდან, ისე ახლოდან თვალყურს ადევნებს ასეთი ოპერაციების მსვლელობას, დაქინებით ცდილობს, რათა ვაშინგტონმა მოსთხოვოს კუბის მთავრობას ლიუჩანოს გასახლება. კუბა ბოლოსდაბოლოს დაემორჩილება და ლიუჩანო ნეაპოლში ბრუნდება. მაგრამ საქმე გაკეთებულია, როლები განაწილებული და იმპულსი მიეცემული. ლიუჩანოს შეუძლია მხოლოდ შორიდან უყუროს მოძრაობის მძლავრ განვითარებას, მოძრაობას, რომელიც მასზე ძლიერი აღმოჩნდა და მისი შეჩერება ამიერიდან აღარავის შეეძლო, თვით ლიუჩანოსაც კი.

კუბაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი. პირველი — ყველა ნარკოტიკი გაიგზავნოს შეერთებულ შტატებში. ეს არის ქვეყანა, სადაც უკვე რეგისტრირებულია 100 ათასი ნარკომანი. ეს კი დიდ ბაზარს ქმნის. მაშ რა საჭიროა დროის სხვაგან დაკარგვა. მეორე გადაწყვეტილება — საბოლოოდ დაითრგუნოს კონკურენტი ორგანიზაცია — „სინდიკატი“.

ამ საჩოთირო ამოცანის განხორციელება, რაშიც წარმატებლობა დაუშვებელია, დავალა კასტელოს. ამერიკაში დაბრუნებისთანავე კასტელო დროს არ კარგავს და ადგენს შეტევის საკუთარ გეგმას. გადაწყვიტა დაეწყო „სინდიკატის“ მთავარი ბოსიდან — ბეგსი ზიგელიდან. ეს საქმე დავალა გამოცდილ მკვლელს, ყველაფერი ისე ხდება, როგორც პოლიციის

დეტექტივში. ზიგელი ვიზიტით ეწვია თავის მეგობარს, ლამაზმან ვირჯინი ჰილს. იგი ზანტად აბოლებდა სივარას მზით გაჩაჩახებულ ტერასაზე, როცა ტყვია პირდაპირ შუბლში მოხვდა.

დასამ და ფორთოხლები

„პატივცემული საზოგადოების“ წარმომადგენლები ესწრებიან ჰავანაში უმაღლეს დონეზე გამართულ თათბირს.

ამჯერად, სიცილის მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ კარგი სამსახური გაუწია. ამან საშუალება მისცა გამხდარიყო იგი ნარკოტიკების კონტრაბანდული ვაჭრობის მთავარი ცენტრი. ბეირუთიდან თუ მარსელიდან მოსული გემები თავისუფლად მიადგებოდნენ ხოლმე მის უკაცრიელ ნაპირებს.

1946 წელს დონ კალომ ლიუჩანოსთან ერთად პალერმოს გარეუბანში გასნა დრავეს ფაბრიკა „სიჩილიანა ფაბრიკა დი კონფეტი“. ეს იყო თეთრი ფხვნილით სავსე მეტად საინტერესო კანფეტები. ზოგიერთი მათგანი დაიკარგა თუ რომელიმე მუშა კალმა წამოაყრანტალა? ეს არ ვიცით, მაგრამ ერთ დილას გაზეთი „ავანტი“ აკეთებს სიურპრიზს: დონ კალოს დრავე იწვევს ტრანსის მდგომარეობას. ვერაფერი მოასწრო ამის შემოწმება, რადგან იმ ღამესვე მთელი ფაბრიკა სხვაგან გადაიტანეს, როცა პოლიცია მივიდა, ერთი „კანფეტიც“ კი აღარასდ იყო, სადაც გამჭარალიყო მანქანებიც.

იმის გამო, რომ პალერმოს ნავსადგური დღესაც კი ითვლება მეტად არასაიმედოდ, კონტრაბანდა მიდის კასტელამარე-დელ-გოლფოს ვაკლით. კანფეტის ნაცვლად გამოჩნდა ფორთოხალი. ცვილისაგან დამზადებულ მომხიბლავ ფორთოხლებს მარჯვედ ურევენ ნამდივლში. გარეგნულად არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ხელის შეხებით ისინი ისეთი ჰაეროვანი არიან, როგორც მათგან მოგვრილი ზმანებანი.

წარმატებით იყენებენ მესამე ხერხსაც, თუმცა ნაკლებ პოეტურს: საოჯახო ამანათები. ყოველ მესამე სიცილიელს ნათესავი ჰყავს ამერიკაში, პოლა, ჟამიდან ჟამზე რატამე არ უნდა შეახსენო მათ თავი და ამანათებით გაუგზავნო ყველი არომატული სანელებლიანი სარდინები, ფარშიანი ზეთის ხილი, დაშაქრული ლიმონი და სხვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გარეთ, ხოლო როცა კი ცხვირს გამოჰყოფს, მის მაშინვე კვალში უდგებიან მაძებრები, ჩანს, მისი ერთადერთი გასართობი დოლია, რომელსაც რეგულარულად ესწრება. დოლიში ცოტას თამაშობს კიდეც და ამბობენ, რომ რამდენიმე ცხენი მას ეკუთვნოდა. თუ მას იშვიათად ნახავდით ვილის საზღვრებს მიღმა, სამაგიეროდ თავისთან იღებდა უამრავ ხალხს. ყოველი მხრიდან ჩამოსული მეგობრები რეგულარულად მოდიან აქ, რათა ისაუბრონ ან ისაილიონ მასთან.

ეს არის სულ, რაც მის შესახებ ვიცით.

1947 წელს სრულიად კანონიერი პასპორტით ჰავანაში ჩადის. შეერთებული შტატები ახლოა და ოჯახის ხელმძღვანელები კასტელოს მეთაურობით ჩადიან მასთან შესახვედრად. ეს შეხვედრები ნაყოფიერი გამოდგა — საბოლოოდ გადაწყდა ნარკოტიკებით კონტრაბანდული ვაჭრობის ორგანიზების საკითხი. ნარკოტიკების საქმეთა ბიურო, რომელიც როგორც შორიდან, ისე ახლოდან თვალყურს ადევნებს ასეთი ოპერაციების მსვლელობას, დაჟინებით ცდილობს, რათა ვაშინგტონმა მოსთხოვოს კუბის მთავრობას ლიუჩანოს გასახლება. კუბა ბოლოსდაბოლოს დაემორჩილება და ლიუჩანო ნეაპოლში ბრუნდება. მაგრამ საქმე გაკეთებულა, როლები განაწილებული და იმპულსი მიცემული. ლიუჩანოს შეუძლია მხოლოდ შორიდან უყუროს მოძრაობის მძლავრ განვითარებას, მოძრაობას, რომელიც მასზე ძლიერი აღმოჩნდა და მისი შეჩერება ამიერიდან აღარავის შეეძლო, თვით ლიუჩანოსაც კი.

კუბაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი. პირველი — ყველა ნარკოტიკი გაიგზავნოს შეერთებულ შტატებში. ეს არის ქვეყანა, სადაც უკვე რეგისტრირებულია 100 ათასი ნარკომანი. ეს კი დიდ ბაზარს ქმნის. მას რა საჭიროა დროის სხვაგან დაკარგვა. მეორე გადაწყვეტილება — საბოლოოდ დაითრგუნოს კონკურენტი ორგანიზაცია — „სინდიკატი“.

ამ საჩოთირო ამოცანის განხორციელება, რაშიც წარუმატებლობა დაუშვებელია, დაევალოს კასტელოს. ამერიკაში დაბრუნებისთანავე კოსტელო დროს არ კარგავს და ადგენს შეტევის საკუთარ გეგმას. გადაწყვიტა დაეწყო „სინდიკატის“ მთავარი ბოსიდან — ბეგსი ზიგელიდან. ეს საქმე დაევალა გამოცდილ მკვლელს, ყველაფერი ისე ხდება, როგორც პოლიცუდის

დეტექტივში. ზიგელი ეიზიტით ეწვია თავის მეგობარს, ლამაზმან ვირჯინი ჰილს. იგი ზანტად აბოლებდა სივარას მზით გაჩახჩახებულ ტერასაზე, როცა ტყვია პირდაპირ შუბლში მოხვდა.

დასაქ და ფოტოხილავი

„პატივცემული საზოგადოების“ წარმომადგენლები ესწრებიან ჰავანაში უმაღლეს დონეზე გამართულ თათბირს.

ამჯერად, სიცილიას მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ კარგი სამსახური გაუწია. ამან საშუალება მისცა გამხდარიყო იგი ნარკოტიკების კონტრაბანდული ვაჭრობის მთავარი ცენტრი. ბერიუთიდან თუ მარსელიდან მოსული გემები თავისუფლად მიადგებოდნენ ხოლმე მის უქატირელ ნაპირებს.

1946 წელს დონ კალომ ლიუჩანოსთან ერთად პალერმოს გარეუბანში გახსნა დრაკეს ფაბრიკა „სინილიანა ფაბრიკა დი კონფეტო“. ეს იყო თეთრი ფხვნილით სავსე მეტად სანატერესო კანფეტები. ზოგიერთი მათგანი დაიკარგა თუ რომელიმე მუშა ქალმა წამოაყარაბტა? ეს არ ვიცით, მაგრამ ერთ დილას გაზეთი „ავანტი“ აკეთებს სიურპრიზს: დონ კალოს დრაკე იწვევს ტრანსის მდგომარეობას. ვერაფერი მოასწრო ამის შემოწმება, რადგან იმ ღამესვე მთელი ფაბრიკა სხვაგან გადაიტანეს, როცა პოლიცია მივიდა, ერთი „კანფეტო“ კი აღარსად იყო, სადღაც გამჭარალიყო მანქანებშიც.

იმის გამო, რომ პალერმოს ნავსადგური დღესაც კი ითვლება მეტად არასაიმედოდ, კონტრაბანდა მიდის კასტელამარე-დელ-გოლფოს გავლით. კანფეტის ნაცვლად გამოჩნდა ფორთოხალი. ცვილისაგან დამზადებულ მომხიბლავ ფორთოხლებს მარჯვედ ურჩევენ ნამდვილში. გარეგნულად არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ხელის შეხებით ისინი ისეთი ჰაეროვანი არიან, როგორც მათგან მოგვრილი ზმანებანი.

წარმატებით იყენებენ მესამე ხერხსაც, თუმცა ნაკლებ პოეტურს: საოჯახო ამანათები. ყოველ მესამე სიცილიელს ნათესავი ჰყავს ამერიკაში, პოდა, ყამიდან ქაშზე რატომ არ უნდა შეახსენო მათ თავი და ამანათებით გაუგზავნო ყველი, არომატული სანელებლიანი სარდინები, ფაშანი ზეთის ხილი, დაშაქრული ლიმონი და სხვა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ალეკსრულებელი



ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი გიორგი მოსე-შვილი ყოველთვის ობიექტურად, პატიოსნად ასრულებს სასამართლოს განაჩენსა თუ გადაწყვეტილებას, მაგრამ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ყოველთვის უსიამო განცდები ეუფლება... ბრძოლებში ნაომარს და გამოწოთობის ნერვები არ ღალატობს, არც გულჩეილია, არა, მას გული იმაზე წყდება, რომ ზოგიერთები ჯერ კიდევ თავიანთი მომხვეჭელურ თუ კანონსაწინააღმდეგო სხვა ქმედებით დიდ ზიანს აყენებენ როგორც საზოგადოებას, ისე საკუთარ თავს, ოჯახს...

— არ იცოდით, რომ არმად ნაშოვი არ შეგერგებოდათ — გულისწყრომით ეტყვის ხოლმე იგი მათ და თავისი ამ განწყობილებით ყოველთვის უკომპრომისოა ყველა იმათ მიმართ ვინც სახელმწიფო საკუთრებას ან მშრომელ ადამიანთა ქონებას ხელყოფს და უშრომელი შემოსავლით სურს ჯიბე გაისქელოს...

თბილისში ათეულ წელზე მეტია გიორგი მოსე-შვილი აღმასრულებლად მუშაობს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უსულგულოდ შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობა. იგი თავის პროფესიულ ცოდნას კარგად უხამებს პრაქტიკულ გამოცდილებას. სწორედ ამ მდიდარმა

გამოცდილებამ შეუქმნა ადამიანთა შინაგანი სამყაროს უმაღლესი ამოცნობის უნარი და მაღალი პროფესიული ინტელიცია — იგი კანონსაც განუხრებლად ასრულებს და მოქალაქეთა ღირსებებსაც პატივს სცემს, ზომიერებას კი არასოდეს კარგავს.

სასამართლოში, გიორგი მოსეშვილის სამუშაო მაგიდაზე დევს „ინსტრუქცია სააღსრულებლო წარმოების შესახებ“, სხვადასხვა კოდექსები, კომენტარები, განმარტებანი, საკანონმდებლო ცირკულარები და ყველას დაბეჯითებით უხსნის კონკრეტული საქმის ვითარებას, უთითებს კანონმდებლობის შესაბამის მუხლებს. ამიტომ არის, რომ მისი ოთახიდან მოქალაქენი კმაყოფილნი გამოდიან, რადგან რწმუნდებიან მათ მიმართ განხორციელებულ დონისძიებათა სამართლიანობაში.

— ჩვენი გიორგი, — გვითხრეს ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოში, — მუდამ შემართული, საქმიანი, ენერგიულია, მეტად მომთხოვნია საკუთარი თავისადმი. მართალია, მას თავის თავზე ხმას ვერ ამოიღებინებ, მაგრამ სამამულო ომის მძიმე გზებზე თუ შრომის სარბიელზე მიღებული ჯილდოები თავისთავად ყველაფერზე მეტყველებენ...

დაიწყო თუ არა დიდი სამამულო ომი, გიორგი მოსეშვილი საბჭოთა არმიის რიგებშია. იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ემბება უკრაინის პირველ ფრონტზე და გამორჩეული სიმამაცით უმაღლესი მიიპყრო ყველას ყურადღება, მალე დიდების მესამე ხარისხის ორდენით აჯილდოებენ, უკვე 1943 წელს კი კომუნისტური პარტიის რიგებში ღებულობენ.

ბრძოლებში ბევრჯერ დაიჭრა, მაგრამ ფრონტი მიინც არ დაუტოვებია. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგაც თავდადებით იბრძოდა და სწორედ აქ იზეიმა მტერზე საბოლოო გამარჯვებაც. ვალმოხდილი ბრუნდება ქუთაისში და ქალაქის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებლად იწყებს მუშაობას.

ახლა პატივცემული გიორგი 70 წელს გადაცილებულია, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული შემართებით იღწვის სახალხო სასამართლოს აღმასრულებლის რთულ და პასუხსაგებ პოსტზე. ამას მოწმობენ სხვადასხვა წლებში სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პრაქტიკულ გამოცდილებას.

კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ბრძანებები, დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც აღმასრულებელთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გიორგი მოსეშვილი არავის უთმობს პირველობას. მრავალჯერ დააჯილდოვეს სიგელებით, ფულადი პრემიით, ოქროს საათით. ხოლო ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი გადასცეს, ამას წინათ კი სო-

ცილისტური კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის გიორგი მოსეშვილი ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი გახდა. თავდადებული, კეთილსინდისიერი და უმწიკვლო შრომა მართლაც, როგორც ღირსეულად დაუფასეს...

აღმასრულებელ გიორგი მოსეშვილს კი კვლავ უბანში მიეჩქარება...

გივი მავისიაშვილი.

ბიბლიოგრაფია

შურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1987 წელს გამოქვეყნებულ მასალების საქმიანობა

მოწინავე სარედაქციო სტატიები და ოფიციალური მასალები

- მაღალ დონეზე ჩავატაროთ სახალხო მოსამართლეთა არჩევნები, № 1, გვ. 8-4.
- საბჭოთა ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, № 2, გვ. 8-8.
- სკკ ცენტრალურ კომიტეტში, № 2, გვ. 9-12.
- სკკ ცენტრალურ კომიტეტში, № 8, გვ. 8-6.
- დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, № 8, გვ. 7-8.
- დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, № 8, გვ. 9-11.
- დანიშვნა, № 8, გვ. 5-9.
- სკკ ცენტრალურ კომიტეტში, № 4, გვ. 8-5.
- ცნობა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ, № 4, გვ. 37.
- საქართველოს სსრ ახლადარჩეულ სახალხო მოსამართლეთა სია, № 4, გვ. 38-41.
- საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის ხანიშუშო წესდება, № 4, გვ. 48-82.
- საბჭოთა დემოკრატიის დიადი ქართია, № 5, გვ. 8-4.

- მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგანოების მუშაობის შესახებ, № 5, გვ. 5-7.
- ავამაღლოთ ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურა, № 5, გვ. 8-10.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „კანონმდებლობის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდისათვის შურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მუშაობის შესახებ“ № 5, გვ. 11-12.
- მარად ცოცხალი ოქტომბერი, № 6, გვ. 8-4.
- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, № 6, გვ. 20.
- საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე, № 6, გვ. 21.

სამოქალაქო სამართალი, კრ.ცმსი, შრომის სამართალი, სამეურნეო სამართალი, კანონის კომენტარი

- თ. ლილუაშვილი — ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები, № 1, გვ. 9-12.
- გ. შონია — მუშა-მოსამსახურეთა ახალი ტიპობრივი შრომითი შინაგანაწესი, № 1, გვ. 48-50.

სანოტარო პრაქტიკა, № 1, გვ. 51-52; № 3, გვ. 61.

დ. დევდარიანი — ახალგაზრდა სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, № 2, გვ. 61-64.

გ. ყოლბაია — დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება, № 3, გვ. 30-35.

გ. გულედიანი — აღმოფხვრათ ბინების თვითნებურად დაკავების მიზეზები, № 3, გვ. 50-53.

დ. სუხიტაშვილი — საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი, № 4, გვ. 63-68.

გ. დევდარიანი — საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების ზოგიერთი საკითხი, № 6, გვ. 26-31.

რ. რთველიაშვილი — მიწის კანონმდებლობის დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, № 6, გვ. 38-43.

სისხლის სამართალი, პროცესი, მასპარატიზა, კანონის კომენტარი, სასამართლო პრაქტიკა, გარკვეულ მოთხოვნათა, პროცესუალური და ნარკომანობათა

ა. ფალიაშვილი — არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების სამართალწარმოების თავისებურებანი, № 1, გვ. 13-17.

ბ. კეშელარია — მასალების მომზადების საოლქო ფორმა სისხლის სამართლის პროცესში, № 1, გვ. 18-20.

ნ. მენაბდე — სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა სამოქალაქო საქმეებზე, № 1, გვ. 21-24.

შ. მახარაძე — ერთიანი და კანონიერი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის № 2, გვ. 31-35.

ვ. კახრიძე — ქიმიური ხსნარებით დამუშავებული და გაუფერულებული ტექსტების აღფეხვა, № 2, გვ. 47-49.

ვ. ხომასურიძე — ნივთიერების, მასალებისა და ნაყოთობების კრიმინალისტური ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი, № 3, გვ. 42-44.

ა. კვიციანი — თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობი მიზეზები და პირობები, № 4, გვ. 13-18.

შ. ფაფიაშვილი — უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, № 4, გვ. 19-23.

ა. გაბიანი — ნარკოტიკების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, № 4, გვ. 24-27.

ა. გაბიანი — პროსტიტუციის კონკრეტულ-

სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი, № 5, გვ. 26-30.

ჭ. ბაბიაშვილი — სიახლენი ავტოსატრანსპორტო დანაშაულის კანონმდებლობაში, № 5, გვ. 31-37.

ა. ფალიაშვილი — სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, № 6, გვ. 32-37.

თეორიული საკითხები, ისტორია, სახელმწიფო სამართალი, სამართალის სამართალი

ვ. კახიძე — სასამართლო მკვერმეტყველების მოდული, № 1, გვ. 46-47.

ბ. რადიანი — ჰააგის საერთაშორისო სამართალი, № 1, გვ. 53-54.

მ. ახვლედიანი — საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის საერთაშორისო მნიშვნელობა, № 2, გვ. 19-25.

გ. ერემოვი — რეფერენდუმის ცნება, მისი როლი და მნიშვნელობა, № 3, გვ. 24-29.

ი. აქუზარია — საქართველოს სსრ პროკურატურის შექმნის საკითხისათვის, № 3, გვ. 54-56.

ი. ფუტყარაძე — ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხი საქართველოში, № 4, გვ. 6-12.

ა. დემეტრაშვილი — ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის 200 წლისთავი, № 5, გვ. 60-64.

რ. ლიბრაძე — სამართლიანობისა და სამართლის ურიტორმიკობის მარქსისტული გადაწყვეტილებისათვის, № 6, გვ. 22-25.

შ. ვანიშვილი — დაბალი ინსტანციის სასამართლოს რეორგანიზაცია საქართველოში XIX-XIX ს. ს. მიჯნაზე, № 6, გვ. 52-56.

საკვ. XXVII სერიოზიზა და გარდაქმნილადი მიძღვნილი მასალები, სამართალ-დაცვითი ორგანოების საქმიანობის პრაქტიკა, დანაშაულის პროფილაქტიკა

თ. მირესაშვილი — მასების დარაზმის ეფექტიანი რგოლი, № 1, გვ. 5-8.

ბ. კოხიძე — მიღწეულ პოზიციებს არ დავთმობთ, № 2, გვ. 13-18.

ბ. შეგვლიშვილი — დავიცავთ და განვამტკიცოთ ფასების სახელმწიფო დისციპლინა № 2, გვ. 36-40.

შ. ყარყარაშვილი — მეტი პასუხისმგებლობითა და აქტიურობით № 3, გვ. 17-23.

გ. გურული — სამართლებრივი აღზრდის საღიესო მოთხოვნები, № 3, გვ. 36-41.

- შ. ნაცვლიშვილი — სიახლე სამართლებრივი კოდნის პროპაგანდაში, № 3, გვ. 45-49.
- დ. აბაშიძე — მოზარდი თიბის მართლშეგნება და სამართლებრივი აღზრდა, № 4, გვ. 28-32.
- მ. რაზმაძე — ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ შენახვის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხი, № 4, გვ. 33-36.
- გ. შალამბერიძე — საიმედოდ დაცევით მოქალაქეთა უფლებები, № 5, გვ. 19-21.
- ა. ლუკიანივი — გარდაქმნა, დემოკრატია და კანონიერება განუყოფელია, № 6, გვ. 5-13.
- დისკუსია, კრიტიკა, საპაპშიო და რესპუბლიკური ბრძენის ფარცლებზე, მიმოსნილვა, შთაბეჭდილება, ინტერვიუ, სასამართლო დარბაზიდან, მითოდური წერილები.**
- ა. შუშანაშვილი — სამი დღე ფინელ კოლეგებთან, № 1, გვ. 32-37.
- გ. ნადარეიშვილი — სამართლის ისტორიკოსთა შეხვედრა ერევანში, № 1, გვ. 40-42.
დიპლოგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თავმჯდომარესთან, № 1, გვ. 43-45.
საეკულაციასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები, № 1, გვ. 69-70.
- ბ. გურული — რესპუბლიკური კონფერენცია, № 2, გვ. 26-30.
- გ. ბერძენიშვილი — კრიტიკული, შემტევი, უკომპრომისო, № 2, გვ. 41-46.
- რ. გილიგაშვილი — განსჯის დრმა საფუძველი, № 2, გვ. 50-55.
- ი. ფეოფანოვი — ორი სხვა, № 3, გვ. 12-16.
მეთოდური რეკომენდაციები, № 3, გვ. 59-60.
სიცოცხლის მტრები, № 3, გვ. 72.
ახალი გამოცემები, № 3, გვ. 75-76.
- ი. ხიონიდი — კანონიერებისა და მართლწერილის განმტკიცებისათვის, № 5, გვ. 22-25.
- პ. ტრუბნიკოვი, მ. ფედოტოვი — საქმე ღირსების შესახებ, № 5, გვ. 38-43.
- ს. ჯამოშკინი — კანონმდებლობის პარადოქსები, № 5, გვ. 44.
არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, № 5, გვ. 74-75.
- ა. არსენაშვილი — დაგვიანებული სამართალი № 6, გვ. 57-58.
- ნ. ნებიერიძე — ფიქრები იურიდიულ სამსახურზე, № 6, გვ. 44-47.
- ს. აღეხევევი — დიდი მეცნიერის ნაშრომი, № 6, გვ. 59-60.

- ა. მიხაილოვი, ა. ლევი — სასარგებლო წიგნი, № 6, გვ. 61.
- ზ. მეხენგისერი — სიმართლე ამერიკის იმპერიალიზმზე, № 6, გვ. 62.
- საიუბილეო და სადღესასწაულო თარიღები, მხატვრული ნაწარმოებები, თარგმანები, ჩვენი პაროქიის მოწინავენი, ინფორმაცია, ნიპროლოგი.**
- მ. კოტირაძე — ილია ჭავჭავაძის ერთი დავითი სიტყვის გამო, № 1, გვ. 25-29.
- ნ. არველაძე — სახელოვანი მამულიშვილი, № 1 გვ. 30-31.
- ა. არსენაშვილი — გამართლებული გუმანი, № 1, გვ. 38-39.
- ი. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლსა სამართლისა“ № 1, გვ. 55-6 8; № 2 გვ. 65-68; № 3, გვ. 62-71; № 4, გვ. 69-73; № 5, გვ. 69-73; № 6, გვ. 63-69.
- ინფორმაცია — № 1, გვ. 71-77; № 2, გვ. 69-75; № 3, გვ. 73-74; № 4, გვ. 74-76; № 5, გვ. 65-68; № 6, გვ. 70-74.
- ბიბლიოგრაფია — № 1, გვ. 78-80.
- ლ. კარბელაშვილი — ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი „ივერთის“ ფურცლებზე, № 2, გვ. 56-57.
- ა. არსენაშვილი — ბედნიერ დღეებს გოსურვებთ, № 2, გვ. 58.
- ბ. დავითაია — ძალა სიყვარულისა, № 2, გვ. 59.
- ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები, № 2, გვ. 76-80; № 3, გვ. 77-80; № 4, გვ. 77-80; № 5, გვ. 76-80; № 6, გვ. 75-79.
- გ. ბერძენიშვილი — დიდი ილიას სახელობისა, № 3, გვ. 57.
- გ. სოხელია — ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, № 4; გვ. 42-47; № 5, გვ. 45-50.
- ვ. ბენიძე — რესპუბლიკის უშიშროების სადარაჯოზე, № 5, გვ. 13-18.
- მ. კეკელია — ი. ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი შეხედულებებისა და ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთი საკითხი, № 5, გვ. 51-56.
- შ. მარკოზაშვილი — გლოვობდა საქართველო, № 5, გვ. 57-59.
- ვ. შადური — ყოველთვის მზადყოფნაში, № 6, გვ. 14-19.
- გ. ბერძენიშვილი — ანგარიშს აბარებს გომომიძებელი, № 6, გვ. 48-51.
- ნიკოლოზი, — № 6, გვ. 80.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 1, 1988 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР. Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВА ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6106/54



წიგნი 60353

ნიმუში 76185